საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
7 თებერვალი **სამშაბათი** 2012
№030(13636) ფასი 80 თეთრი

# 34 წუთი 22 ქულა
## მანუს რეკორდები



12

# გიორგი ძინძლაძე
## საქართველოს ნაკრები? ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის, მაგრამ...
# No Comment!




2

## მწვრთნელები აფასებენ...

დილა
**თემურ მახარაძე**
სიმპათიური გუნდი გვეყოლება

ტორპედო
**გია გეგუჩაძე**
ევროპა კატეგორიული არ იქნება

3







4

## ეს ერთი და სხვა მრავალი!

დავით თარგამაძემ შახტარის ფორმით პირველი გოლი გაიტანა

## ბულგარეთიდან მეორე ოქრო გეგეშიძემ წამოიღო

10



მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად 16

U 19

# კაჭარავას ჭანტურია დაეხმარება


გრიგოლ ჭანტურია

31 იანვარს „მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე სფფ-ის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ასაკობრივი ნაკრებების ახალი მთავარი მწვრთნელები წარადგინა.

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს **კახა კაჭარავა** გაწვრთნის. თუმცა, უცნობი დარჩა ერთი საინტერესო ფაქტი, რაც იმავე დღეებში გადაწყდა – კაჭარავამ ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად **გრიგოლ ჭანტურია** მიიწვია.

საქართველოს ეროვნული ნაკრების, ქუთაისის "ტორპედოს", "ზესტაფონისა" და სიმფეროპოლის "ტავრიას" ყოფილმა მეკარემ 2010 წლის დეკემბერში კარიერა რუსთავის "ოლიმპში" დაასრულა და მას შემდეგ უმუშევარი იყო.

*"მთელი ცხოვრება ფეხბურთში ვიყავი, მაგრამ რუსთავიდან წამოსვლის შემდეგ არც გუნდში მიმუშავია და არც საფეხბურთო სკოლაში. სტადიონი და ფეხბურთი კი ძალიან მომენატრა. ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, კახა კაჭარავამ დამირეკა და 19-წლამდელთა ნაკრებში მეკარეების გაწვრთნა შემომთავაზა. ცხადია, სიხარულით დავთანხმდი. მანამდე ნოდარ აკობიამ მითხრა, მეკარეთა მწვრთნელობას შეძლებდიო, როგორც ჩანს, რეკომენდაცია გამიწია. ნაკრებში მუშაობა საპასუხისმგებლოა და ამ ნდობისთვის მათ და ფედერაციას მადლობას ვუხდი.*

*მართალია, მწვრთნელად არასოდეს მიმუშავია, მაგრამ ტრაბახის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემს გვერდით ნაკრების ორი მეკარე გაიზარდა, ნუკრი რევიშვილი და როინ კვასხვაძე, აგრეთვე გიორგი ძაძამია, თუ გახსოვთ, ნაკრებში თემურ ქეცბაიამ ადრე ისიც მიიწვია. როდესაც ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ, სამივე პატარა ბიჭები იყო და ყველანაირად ვეხმარებოდი. თავადაც გეტყვიან, რომ მათ გაზრდაში მოკრძალებული წვლილი მეც მაქვს შეტანილი"* – ამბობს ჭანტურია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ამ ბიჭმა იცის ფეხბურთის თამაში!

## გელაშვილზე დიდი ავანსი გაიცა, საქართველოს ჩემპიონატიც შეაქეს


ნიკოლოზ გელაშვილი

*"ეს მაისური, რომელსაც ჩემს ვაჟს, კობას ვჩუქნი, ჩემს კოლექციაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს"*, - თქვა **ნიკოლოზ გელაშვილმა** მეორებუნდესლიგური დებიუტის შემდეგ. შეგახსენებთ, "ბოხუმმა" მისი ეფექტური გოლით 2:1 დაამარცხა როსტოკის "ჰანზა". ნიკამ სტუმართა კარი მოედანზე შესვლიდან 8 წუთში, ბურთთან მეორე შეხებით დალაშქრა.

გერმანული მედიის გამოხმაურების შესახებ გუშინაც გიამბეთ, დღეს კი "ბოხუმის" გულშემატკივართა მოსაზრებებს გაგაცნობთ. გერმანულ სპორტულ ფორუმებზე 26 წლის გელაშვილს უკვე არაერთი თემა მიუძღვნეს:

"პირველივე მატჩმა გვიჩვენა, რომ "ბოხუმი" სერიოზულად გაძლიერდა! კეთილი იყოს შენი მობრძანება, ნიკა!"

"დებიუტიც ასეთი უნდა! ფეხბურთელმა, რომლის შესახებაც სულ ცოტა ხნის წინ არაფერი ვიცოდით, ნახევარ ტაიმში დაგვიმტკიცა, რომ მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთ ვარსკვლავად ჩამოყალიბება შეუძლია".

"ნახეთ გელაშვილის თამაშების მომენტები ავსტრიულ "შტურმსა" და ბელგიურ "ბრიუგესთან" და დარწმუნდებით, რომ საქმე მაღალი კლასის თავდამსხმელთან გვაქვს. "შტურმისა" და "ბრიუგეს" დონის გუნდები მეორე ბუნდესლიგაში ალბათ არც არიან და თუკი ნიკამ მათთან შეძლო მაღალ დონეზე თამაში, რატომ უნდა გაუჭირდეს მეორე ბუნდესლიგასთან ადაპტაცია?".

"ქართველებს გერმანულ ფეხბურთთან ადაპტაცია არასდროს უჭირდათ და დარწმუნებული ვარ, გელაშვილი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული "ვილი" იქნება".

"გული მიგრძნობს, რომ ნიკა კიდევ ბევრ სიხარულს მოგვანიჭებს. "ბოხუმის" ხელმძღვანელობამ მის შესანარჩუნებლად ყველაფერი უნდა ილონოს და მჯერა, მომავალ სეზონში გელაშვილის გოლებით პირველ ბუნდესლიგაში გადავალთ".

"გელაშვილი პირველი ბუნდესლიგის ზოგ ფორვარდსაც კი სჯობია. საქართველოს ჩემპიონატზე არაფერი ვიცით, მაგრამ იქნებ ღირდეს, "ბოხუმმა" მასზე დასაკვირვებლად სკაუტები გაგზავნოს. მგონია, რომ საქართველოდან სხვა საინტერესო ფეხბურთელების წამოყვანაც შეგვიძლია".

"მან პირველივე მატჩით უდიდესი სიამოვნება მოგვანიჭა. ამ ბიჭმა იცის ფეხბურთის თამაში!"

დაგვეთანხმებით, ძალიან სასიამოვნოა, რომ ქართველი ფეხბურთელის მიმართ ამხელა ავანსებია გაცემული. "ბოხუმი" რიგითი გერმანული კლუბია, მაგრამ ბოლო დროს ასეთი დონის ტრანსფერებიც სანატრელი გვაქვს. ნიკას კარგი დასაწყისი გვაიმედებს, რომ იგი "ბოხუმისთვისაც" შეუცვლელი ფეხბურთელი გახდება და უფრო მაღალ დონეზე თამაშის პერსპექტივაც გაუჩნდება, რაც, უპირველესად, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ახეირებს.

დაბეჯითებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ გელაშვილი არ მიეკუთვნება იმ ფეხბურთელთა კატეგორიას, რომელსაც ქება და კარგი კონტრაქტი დათვურ სამსახურს უწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანელი ქომაგების კომენტარების გამოქვეყნებისგან თავს შევიკავებდით...

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ გერმანულმა "შპორტალმა" გელაშვილს 2,5 დაუწერა, ასეთი მაღალი შეფასება კი იმ მატჩში "ბოხუმის" შემადგენლობაში არავის დაუმსახურებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ გიორგი ქინქლაძესთან

# ამაზე კარგი რა უნდა იყოს?!

## მზე და გრეხეტბოლი

ფეხბურთი ისეთი ბაცილაა, თუ შეგეყარა, მისგან განკურნება შეუძლებელია – ეს სიტყვები **შოთა არველაძეს** ეკუთვნის, თუმცა მსგავსი სხვასაც უთქვამს სხვანაირი ენამჭევრობით.

ფეხბურთში ბევრ რამეზე დავობენ და კამათობენ, თუმცა არის ისეთი რამეებიც, რაც სადავო არ არის, მაგალითად ის, რომ 90-იანელების თაობაში ყველაზე ნიჭიერი **გიორგი ქინქლაძე** იყო.

ქინქლაძემ ფეხბურთელის კარიერა ექვსი წლის წინ დაასრულა და თითქმის ამდენი ხანი ფაქტობრივად ფეხბურთს ჩამოცილებული იყო. ქინქლაძე უფეხბურთოდ? დიახ, ასეთებიც ხდება, ოღონდაც ქინქლაძის უქმობა უსასრულო ვერ იქნებოდა – შარშან შემოდგომაზე გიო ფამაგუსტას "ანორთოსისში" მივიდა სპორტულ დირექტორად.

"ამ კლუბში 2004-05 წლებში ვთამაშობდი, მაშინ **თემურ ქეცბაიაც** "ანორთოსისში" იყო. კლუბის დირექტორატი თითქმის არ შეცვლილა და ძველმა ნაცნობებმაც აქ ჩამოსვლა შემომთავაზეს" – გვითხრა ქინქლაძემ.

მას გაცილებით უკეთეს საფეხბურთო ქვეყნებში უთამაშია და არის კი "ანორთოსისი" ის, რაც მას უნდოდა?

"როგორც უნდა იყოს, "ანორთოსისში" მუშაობა ჩემთვის საინტერესოა, რაც მთავარია, ფეხბურთში ვარ და ჯერჯერობით უკმაყოფილების არანაირი საბაბი არ გამაჩნია" – გვიპასუხა იმან, ვისაც ალბიონზე KINGladze-საც კი ეძახდნენ...

ფეხბურთელ ქინქლაძის ისტორია საოცარიც იყო და გულდასაწყვეტიც. ალბათ იმიტომაც, მას თავისებურად ესმის გამოწვევების მნიშვნელობა. "ანორთოსისი" დიდი გაქანების კლუბი არასდროს ყოფილა, თუმცა ქეცბაიას მწვრთნელობისას ბევრს მიაღწია და ვინძლო ამიტომაც მიიწვიეს იქ ახლა ქინქლაძე.

*"ძირითადად ფეხბურთელთა ტრანსფერებით ვარ დაკავებული. თუ ვინმე გასაშვებია, ესეც ჩემს კომპეტენციაში შედის. "ანორთოსისში" ჩემი რეკომენდაციით აიყვანეს დავით კვირკველია. ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები კარგად ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ გამიმართლებს. მან ჯერ მხოლოდ ორჯერ ითამაშა "ანორთოსისში" და საკმაოდ ნორმალურადაც"* – გვითხრა ქინქლაძემ და ისიც დაამატა, რომ კიდევ სურს ქართველების "ანორთოსისში" მიყვანა.

*"ამ სეზონში უკვე აღარავის არ დავიმატებთ, მაისიდან კი სატრანსფერო ბაზარზე შედარებით გავაქტიურდებით. მართალია, "ანორთოსისი" დიდი გუნდი არ არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქეცბაიამ ჩემპიონთა ლიგაზე გაიყვანა, მოსვენება დაკარგული აქვთ, იგივეს განმეორება სურთ. ვნახოთ, იქნებ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი შეგვემატოს"* – განგვიმარტა ქინქლაძემ.

"ანორთოსისი" კვიპროსის თოთხმეტგუნდიან ჩემპიონატში ამ დროისთვის მე-4 ადგილზეა და ლიდერ "ომონიას" ხუთი ქულით ჩამორჩება.

*"კლუბს ახლა იმდენი ფული არ აქვს, რამდენიც ქეცბაიას მწვრთნელობის დროს ჰქონდა, ალბათ გახსოვთ, რომ მაშინ "ანორთოსისში" ბრაზილიელი* ***სავიოც*** *კი თამაშობდა, კლუბს ჰქონდა იმის საშუალება, დიდი ხელფასი გადაეხადა ფეხბურთელებისთვის. მოგეხსენებათ, როგორია ეკონომიური სიტუაცია საბერძნეთში, კვიპროსი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და ეს საკლუბო ფეხბურთზეც მოქმედებს. მაგრამ, თუ ჩემპიონები გავხდებით, ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება. ვფიქრობ, ჩემპიონობის შანსი რეალურია".*

ქინქლაძე სპორტული დირექტორი კი არის, მაგრამ მხოლოდ მენეჯერიბით ვერ მოიკლავს საფეხბურთო ჟინს.

*"შეიძლება ითქვას, რომ ფორმა შენარჩუნებული მაქვს. არცთუ იშვიათად, მეც გავდივარ ხოლმე გუნდის ვარჯიშზე, ვთამაშობ "კვადრატს", ორკარას და გრეხეტბოლს. კვიპროსში ისეთი ამინდი და მოედნებია, ამაზე უკეთესი რა უნდა გააკეთო?!"*

ქინქლაძემ ისიც გვითხრა, არ არის გამორიცხული, საქართველოში ჩამოვიდე და ფეხბურთში დავსაქმდე, თუმცა ეს უფრო შორეული პერსპექტივა არისო.

საქართველოს ნაკრების ერთ დროს ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელს იმაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, თუ რა ხდება ჩვენს ეროვნულ გუნდში, თუ რა ტენდენციებია და ვინ ვის როგორ აკრიტიკებს.

*"ყველაფრის საქმის კურსში ვარ, ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ნაკრების გარშემო გაჩაღებულ პოლემიკას, მაგრამ არანაირი კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ"* – მოკლედ მოჭრა სიტყვა ქინქლაძემ.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ქინქლაძე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com**

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სამზადისი. დილა

# ნაგებაც და მოგებაც



კახა ალადაშვილი

გორის "დილამ" თურქულ შეკრებაზე ბოლოს ტესტ-მატჩები გამართა. ქართულ გუნდს რუმინეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ "მიოვენთან" ეს შეხვედრა წინასწარ დაგეგმილი არ ჰქონდა - მისი ჩატარება ბოლო მომენტში გადაწყდა.

**თემურ მახარაძემ** წინადღეს "ვოინტა სიბიუსთან" ნათამაშები ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენა და "დილამ" 0:2 წააგო. "გაზეტა სპორტულის" ცნობით, 57-ე წუთზე "მიოვენის" ვეტერანმა **ლეონიდ ტონი ნაიდინმა** თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა, მაგრამ 73-ე და 75-ე წუთებზე ბრაზილიელმა **რობერტო აიზამ** ორჯერ აიღო გორელთა კარი.

**დილა:** შეყრილაძე – ბეჭვაია, ქარქუზაშვილი, ახვლედიანი, ვ. ხორგუაშვილი - ხუბუა, ჯოჯუა, ნ. ნოზაძე - ახალკაცი, ბარაბაძე, მდივნიშვილი.

**შეცვლაზე:** კაშია, ხოჯავა, სადალაშვილი, ლომიძე, კანდელაკი.

5 თებერვალს "დილას" ბოლო მატჩი ბელარუსის ჩემპიონატის ლიდერთან და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მონაწილე ბორისოვის "ბატესთან" უნდა ჩაეტარებინა. მაგრამ ბოლო მომენტში ყაზახურ "კაირატს" შეუთანხმდნენ, რომელმაც გორელებამდე ჩერნოგორიულ "ზეტას" 2:1 მოუგო.

"დილა" ერთადერთი ქართული კლუბი აღმოჩნდა, რომელმაც შეკრებაზე ყაზახური კლუბი დაამარცხა – **გიორგი კახელიშვილისა და კახა ალადაშვილის** მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლებით გორელებმა 2:0 გაიმარჯვეს.

**"დილა": სკენდერი – ალადაშვილი სალუქვაძე, თოთაძე, მეგრელიშვილი - ნოზაძე, კანდელაკი, ილურიძე – კახელიშვილი, ჯიქია, ლექვთაძე**

**შეცვლაზე: ახალკაცი, ბარაბაძე, ჩაგელიშვილი, ხოჯავა.**

ამგვარად, "დილამ" თურქეთში შეკრება დაასრულა და დღეს გამთენიისას გუნდი საქართველოში დაბრუნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

# ახალი დილა

გორის "დილა" ზამთრის შესვენების დროს რადიკალურად განახლდა. გორელებმა ბევრი ცნობილი მოთამაშე მიიწვიეს: ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა, მათე ვაწაძე, ზურაბ არზიანი (ყველა - ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგა"), შოთა კაშია, გიორგი კახელიშვილი, ირაკლი ლექვთაძე (ყველა - თბილისის "დინამო"), კახა ალადაშვილი ("ზესტაფონი"), გიორგი ილურიძე ("ანჟი"), რეზო ჯიქია, ბესიკ დეკანოიძე (ორივე -'ცხინვალის "სპარტაკი"), ლექსო ინწკირველი, დავით მეგრელიშვილი, ლევან მდივნიშვილი (ყველა —"კოლხეთი"), მარინ სკენდერი (ზაგრების "დინამო"), ივანე კანდელაკი ("სკონტო"), რეზო ბარაბაძე, გიორგი ხუბუა (ორივე - უგუნდო), ბოლოს კი ლვოვის "კარპატიდან" საქართველოს ნაკრების კანდიდატი სანდრო გურული გადაიბირეს.

მოკლედ, ზამთარში გუნდში 19 (?!) ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს – ფაქტობრივად ახალ გუნდს შეთამაშება სჭირდება და ჩემპიონატის დაწყებამდე არის კი ეს შესაძლებელი? "დილას" მთავარ მწვრთნელს თემურ მახარაძეს მოსამზადებელი ეტაპისთვის მხოლოდ თვეზე ოდნავ მეტი ჰქონდა - სეზონი ხომ 14 თებერვალს განახლდება.

თურქეთში გორელებმა ორი შეხვედრა ფრედ დაასრულეს (ავსტრიულ "შტურმთან" 1:1 და რუმინულ "გაზ მეთანთან" 0:0), შემდეგ სამში დამარცხნდნენ (მეიჯორლიგის მოთამაშეების გუნდთან 0:1, "პეტროლულთან" 0:1, რუმინულ "ვოინტა სიბიუსთან" – 0:2) და მხოლოდ ბოლო მატჩი მოიგეს სერბებით გაძლიერებულ ალმატის "კაირატთან" (2:0).

"დილას" მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს თურქეთში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- შეკრება დასრულდა, ახალწვეულები საკონტროლო შეხვედრებში ნახეთ და დასკვნებსაც გამოიტანდით.**

- კარგი შეკრება გავიარეთ. თურქეთში 31 მოთამაშე ვარჯიშობდა. კარგად მახსოვს, ანთალიაში წასვლამდე მითხრეს, მცირე მოსამზადებელი დრო თქვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებსო და მართალია: რეალურად, ბევრი მოთამაშე მხოლოდ 27 იანვარს შემოგვიერთდა, ანუ გუნდის ჩამოსაყალიბებლად მხოლოდ 8 დღე მქონდა. სხვა სახის პრობლემებიც იყო. მაგალითად, არზიანს "კაირატთან" თამაშის უფლება არ ჰქონდა, სამწუხაროდ, ვერ ვათამაშებდით ტრავმირებულ ვაწაძეს, კაშიასაც მიკროტრავმა ჰქონდა, ბევრი კი წონაში მომატებული ჩამოვიდა და ა.შ. მაგრამ ეს ის საკითხებია, რომლებიც უნდა მოვაგვაროთ. მაგრამ ყველამ მოუმატა.

**- არზიანს რატომ არ ჰქონდა თამაშის უფლება?**

- ზურას "ვოლგასთან" ურთიერთობა ჯერაც გასარკვევი აქვს.

**- გურულის დამატება გადაწყვეტილი ყოფილა.**



- დიახ, ასეა, სანდრო თბილისში შემოგვიერთდება.

**- შეკრებაზე ერთხელაც არ უთამაშია მათე ვაწაძეს. დღემდე ვერ მომჯობინდა?**

- ჩვენთან არის, ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ ტრავმა ბოლომდე ვერ მოირჩინა. თუმცა, იმედია, თამაშს მალე შეძლებს.

აქვე ვიტყვი, რომ გვსურდა განუგრავას დამატებაც, მაგრამ გუნდს პირობებზე ვერ შეუთანხმდა.

**- კონტრაქტი ვის გაუფორმდება?**

- ამ დროისთვის ბევრთან არც გაფორმებულა: "დილას" ფეხბურთელები არიან თოთაძე, მეგრელიშვილი, ინწკირველი, ბეჭვაია, ლექვთაძე, კაშია, კახელიშვილი, ალადაშვილი.

**- არზიანის ამბავი გასაგებია. რაც შეეხება სალუქვაძეს, ვაწაძეს და ილურიძეს?**

- მათი ყოფილი კლუბებიდან გათავისუფლების ფურცელს ველით.

**- ხორვატი მეკარე სკენდერის საკითხიც გადაწყდა?**

- დიახ, ის ჩვენთან იქნება.

**- მას ზაგრების "დინამოში" ორი წელი არ უთამაშია და ეს არ ეტყობა?**

- რა თქმა უნდა, ეტყობა, მაგრამ მისი მაღალი კლასიც შესამჩნევი იყო: უთამაშებლობის კვალობაზეც კარგად გამოიყურებოდა. ცუდი ფეხბურთელი არ იყო სერბი კრნჟინაცი, მაგრამ გავუშვით, რადგან ლეგიონერი ადგილობრივზე უკეთესი უნდა იყოს.

**- ამდენ ახალწვეულს როგორ დაიმატებთ?**

- რატომ ვერ დავიმატებთ?

**- განაცხადში გარკვეული რაოდენობის მოთამაშეთა შეყვანა შეიძლება, პირველ წრეში კი "დილას" ისედაც ბევრი მოთამაშე ჰყავდა.**

- ლიმიტი არის, მაგრამ იმდენ მოთამაშეს დავიმატებთ, ლიმიტს რომ არ გადავაჭარბოთ.

**- საკონტროლო მატჩებზე რას იტყვით?**

- საკმაოდ ძლიერ გუნდებს შევხვდით. მაგალითად "გაზ მეთანს", რომელმაც ევროპის ლიგის მიმდინარე გათამაშებიდან გერმანული "მაინცი" გააგდო. ჯერაც აუწყობელი გუნდით ეს პატარა ამბავი არ იყო.

მთელი შეკრება შემადგენლობის ბირთვის გამოიკვეთას დავუთმეთ და ვფიქრობ, ოპტიმალურ ვარიანტს მივუახლოვდით. საქართველოში რომ ჩამოვალთ, კიდევ ერთი თამაშის ჩატარება გვინდა.

**- თქვენი აზრით, "დილასგან" გაზაფხულზე რას უნდა ველოდოთ?**

- ერთი კვირის გუნდია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, გარკვეული დროის შემდეგ ძალიან კარგი, სიმპათიური კოლექტივი გვეყოლება. მაგრამ პოტენციალის გამოსავლენად დრო გვჭირდება.

**- საშინაო მატჩებს სად ჩაატარებთ?**

- ჯერ არ ვიცით. სავარაუდოდ, თბილისის რომელიმე სტადიონზე ან გორში "ქართლზე". საზოგადოებისთვის კიდევ რაიმე კითხვა პასუხგაუცემელი რომ არ დარჩეს, პრესკონფერენციას ჩავატარებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო



მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპი ქუთაისის „ტორპედომ" მეორე ადგილით ჩაამთავრა. თქმა რაც უნდა, ასეთი გუნდისგან კვლავაც მაღალ შედეგს ელიან. „ტორპედომ" სეზონის განახლებისთვის მზადება თბილისში დაიწყო, შემდეგ ქუთაისში გააგრძელა პროცესი, მერე კი თურქეთშიც იყო და საკონტროლო შეხვედრები გამართა.

გია გეგუჩაძემ „ტორპედო" მაშინ ჩაიბარა, სეზონი უკვე დაწყებული რომ იყო. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ერთი მოსამზადებელი პერიოდი უკვე გაიარა და საინტერესოა, რა სიახლეები შეიტანა ახალმა მწვრთნელმა.

გეგუჩაძეს გუშინ დავუკავშირდით და მეტწილად „ტორპედოს" თურქულ სამზადისზე ვესაუბრეთ.

# გია გეგუჩაძე: ევროპა კატეგორიული არ იქნება

დრო გუნდის შექმნაში უნდა დავხარჯოთ

**- შეკრებაზე შედეგი უმთავრესი არ არის, თუმცა „ტორპედო" ამბიციურ გუნდად ითვლება და ალბათ, მისგან ყველა მეტს ელოდა...**

- შედეგი მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ იყო გადამწყვეტი. ბევრი რამ იყო გასარკვევი, თუნდაც ის, რამდენად ჩაჯდებოდნენ ახალწვეულები ჩვენს სქემებში. ფეხბურთელებისა და რგოლებს შორის შეთამაშება – თურქულ შეკრებაზე ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით. ერთი სიტყვით, თურქული შეკრება დადებითად უნდა შეფასდეს, ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ და კარგად დავინახე ის, თუ რა მიმართულებით უნდა წარვმართოთ მუშაობა.

**- თურქეთში გამართულ საკონტროლო მატჩებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ „ტორპედოსთვის" პრობლემურია ცენტრალური თავდამსხმელის პოზიცია. ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ ვახტანგ კვარაცხელიამ თურქულ შეკრებამდე მძიმე ტრავმა მიიღო...**

- გეთანხმებით, კვაარცხელია მართლაც მნიშვნელოვანი დანაკლისია, მან აქილევსის მყესი გაიწყვიტა და სამწუხაროდ, ამ სეზონში ვერ შეძლებს თამაშს. „ტორპედოში" თავდამსხმელის საკითხი ღიად რჩება. ამ პოზიციაზე რევაზ გოცირიძესა და ნიკა საბანაძეს მოუწევთ თამაში, თუმცა გაძლიერებაზეც ვფიქრობთ. ისიც უნდა ითქვას, რომ გოლის გატანა მხოლოდ ნომინალური თავდამსხმელის საქმე არ არის და ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ.

**- როგორც ჩანს, შესაძლოა, „ტორპედომ" კიდევ ერთი თავდამსხმელი დაიმატოს – ლეგიონერის მოწვევას ხომ არ აპირებთ?**

- არ არის გამორიცხული, რომ ახალი თავდამსხმელი მოვიყვანოთ. ამ ეტაპზე ლეგიონერის მოწვევისგან კი თავს შევიკავებთ.

**- კვარაცხელიას გარდა ტრავმირებული კიდევ ვინ არის?**

- დავით გამეზარდაშვილს, დავით დილმელაშვილსა და ალექსანდრე კვახაძეს მიკროტრავმა აქვთ, სეზონის განახლებისთვის კი ისინი სრულ მზადყოფნაში იქნებიან.

**- თურქეთში ალბათ რამდენიმე ტაქტიკური სქემა მოსინჯეთ. უფრო რომელს ანიჭებთ უპირატესობას?**

- 4-4-2, 4-3-3, 4-5-1...რამდენიმე ვარიანტი მოვსინჯეთ და კარგია, რომ ფეხბურთელთა კონტინგენტი ამის საშუალებას გვაძლევს. ჩვენთვის ამომავალი წერტილი ის არის, რომ მძლავრად გამოვიყურებოდეთ შეტევაში, თუმცა ეს დაცვის საზიანოდ არ უნდა მოხდეს.

**- თურქეთში გამართული ტესტ-მატჩებისგან შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „ტორპედო" აქცენტს აკეთებდა მარჯვენა ფლანგზე თავისუფალი სივრცის შექმნაზე და იქიდან გრიგოლ დოლიძის ინდივიდუალურ თამაშზე...**

- ეს მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტი იყო, სხვა სქემებსაც ვამუშავებდით. ჩვენ, ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაყალიბებთ და ვცდილობთ, რომ ფეხბურთელების კარგი თვისებები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. თურქული შეკრებით ფეხბურთელებმა ბევრი რამ შეიძინეს, ბევრიც კიდევ სამუშაო გვაქვს.

**- ალბათ, ყურადღებით ადევნებთ თვალყურს, თუ როგორ ემზადებიან სეზონის განახლებისთვის სხვა მოწინავე გუნდებიც. როგორ ფიქრობთ, ძალათა რა ბალანსია შექმნილი და როგორია მასში „ტორპედოს" პოზიციები?**

- კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, „ტორპედოს" ამ ეტაპზე ერთი მიმართულება აქვს: სრულფასოვან, ძლიერ გუნდად ჩამოყალიბება. პირველ პლანზე შედეგი კი იქნება, მაგრამ გუნდის ჩამოყალიბებაც მნიშვნელოვანია – „ტორპედოს" საქართველოს ფარგლებს გარეთაც უნდა შეეძლოს შედეგის მიღწევა.

**- ამ სეზონში კი „ტორპედოს" მიზანი, ალბათ, ევროსარბიელზე მოხვედრაა...**

- ეს არ იქნება კატეგორიული მოთხოვნა. თუ გავალთ ევროპაზე, ხომ კარგი, თუ არა და, ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. ერთი სიტყვით, უკეთესი იქნება, თუ დროს გუნდის შექმნაში დავხარჯავთ.

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი

# ისევ მარცხი, ისევ დიდი ანგარიშით

**ტიმიშოარა–ზესტაფონი 3:0**

1:0 აქსენტე (11), 2:0 აქსენტე (33), 3:0 პოპოვიჩი (82)

**ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე – თ. ღონღაძე (46. თ. გრიგალაშვილი), გ. ონიანი (46. კობახიძე), საჯაია, ელიავა (46. გაგოშიძე) – აფციაური (46. რაჟამაშვილი), ბაბუნაშვილი (72. შ. გრიგალაშვილი), გორგიაშვილი (46. მენთეშაშვილი), შ. გრიგალაშვილი (46. სამუშია) – დვალი (46. შარიქაძე), წინამძღვრიშვილი

**სათადარიგო:** მამალაძე

"ზესტაფონმა" "მარბელას თასზე" მეორე მატჩი ჩაატარა და მეორე მარცხი განიცადა. სულ კი, შეგახსენებთ, საქართველოს ჩემპიონებმა ესპანურ შეკრებაზე სამი შეხვედრა გამართეს და სამწუხაროდ, სამივე დიდი ანგარიშით წააგეს.

დიდი იმედი გვქონდა, რომ "ზესტაფონი" ნავსს ამჯერად მაინც გატეხდა, მით უფრო, რომ რუმინეთის რანგით მეორე დივიზიონის "ტიმიშოარა" სახელითა და კლასით "დნიპროსა" და "რუბინს" საგრძნობლად ჩამოუვარდება. თუმცა ,ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი წარმატებასთან არც გუშინ ყოფილა ახლოს.

მატჩის დეტალური მიმოხილვა ნამდვილად არ ღირს. მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ "ზესტაფონს" **როინ კვასხვაძე** და **ზურაბ მენთეშაშვილი** დაუბრუნდნენ. სხვადასხვა მიზეზის გამო, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ **გიორგი ხიდეშელი, ალექსი ბენაშვილი, გოგა ბერაია და აბაიომი ოვონიკოკო**.

"მარბელას თასზე" ფეროელები ბოლო მატჩს 9 თებერვალს გამართავენ და იმისთვის იბრძოლებენ, რომ ტურნირი ბოლო ადგილზე არ დაასრულონ. "ზესტაფონის" მეტოქე სამარის "კრილია სოვეტოვი" იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მერანი

# მეგრელაძისთვის კარი ღიაა

## დღეს სომხებთან სპარინგია

"მერანი" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას მარტვილში განაგრძობს, დღეს კი ურეკში ჩავა, სადაც ამხანაგურად სომხურ "ულისს" შეხვდება. ცნობისთვის, სომხეთის ჩემპიონები რამდენიმე დღეა, რაც საქართველოს შავიზღვისპირეთში ვარჯიშობენ და გუშინ პირველლიგელ ბათუმის "დინამოსთან" 0:1 დამარცხდა.

"მერანის" შემადგენლობა უკვე დაკომპლექტებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. შეგახსენებთ, გუნდს დაუბრუნდა კოტდივუარელი ფორვარდი **მუნინი ტაპე**, რომელიც სამშობლოში პირადი პრობლემების გამო იყო წასული და მის ჩამოსვლას "მერანში" აღარც ელოდნენ.

ტაპეს დაბრუნების მიუხედავად, "მერანის" მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ჟვანია** თავისი გუნდის რიგებში სიამოვნებით იხილავდა **გიორგი მეგრელაძეს**, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ გამოცდილი თავდამსხმელი მამის გარდაცვალების გამო მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებს.

*"მინდა, გიორგის "ლელოს" საშუალებითაც მივმართო და ვუთხრა, რომ მას კვლავ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. "მერანში" ყველას ძალიან გაგვეხარდება, თუ იგი გადაწყვეტილებას შეცვლის და ჩვენთან მოვა. რასაკვირველია, მეგრელაძეს "მერანში" ყოველგვარი სინჯების გარეშე ვეპატიჟებით"*, - გვითხრა ჟვანიამ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



ბუბა დაუშვილი (მარცხნივ)

# დაუშვილი: კარპატის ყველაზე ძვირი შენაძენი!

მცირე ხნის წინ, "ლელო" წერდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა **ბუბა (მურთაზ) დაუშვილმა** „კარპატისთან" ზაფხულში კონტრაქტი რომ გააფორმა, მისი ყოფილი კლუბი "ზესტაფონი" კომპენსაციის სახით 360 ათას ევროს, ანუ 472 330 დოლარს მიიღებდა.

მართალია, კონტრაქტის დასრულების შემდეგ 21 წელს გადაცილებული ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდა, მაგრამ ხელშეკრულება 21-წლამდე გააფორმა, კლუბი კი 23 წლამდე (22 წლისამ) დატოვა და ახალი კლუბი ვალდებული იყო, დაუშვილის გამზრდელი კლუბისთვის კომპენსაცია გადაეხადა – "ზესტაფონს" კი ამ ბიჭზე მართლაც დიდი ამაგი აქვს და ბუბა ამას ყოველთვის ამბობდა.

რაც უნდა დაუჯერებლად გეჩვენოთ, ბუბა დაუშვილი ლვოვის "კარპატისთვის" ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი ყოფილა.

| | |
|---|---|
| 1. მურთაზ დაუშვილი | 360.000 |
| 2. სერგეი კოვალჩუკი | 250.000 |
| 3. სერგეი კიზნეცოვი | 200.000 |
| 4. მარტინ ბოგატინოვი | 150.000 |
| 5. მაციე ნელეპა | 150.000 |

* თანხები მოცემულია ევროებში

**მერაბ მამულაშვილი**

# თარგამაძე, ეს ერთი და სხვა მრავალი!

გუშინ ქართველმა ლეგიონერმა **დავით თარგამაძემ** პირველად გაიტანა დონეცკის „შახტარის" მაისურით. მართალია, ეს ამხანაგურ მატჩში მოხდა, უკრაინული გრანდის ესპანურ შეკრებაზე. „შახტარისა" და შვედური „კალმარის" ტესტმატჩი ესპანეთშივე დაიგეგმა. და აი, მატჩის 42-ე წუთზე, როცა აღმოსავლეთევროპელები 2:0-ს იგებდნენ , **ილსინიოს** ნაცვლად მინდორზე თარგამაძე გამოჩნდა. 22 წლის გარემარბის გამოსვლას შვედების გოლი დაემთხვა, თუმცა მალე თავად ქართველმა გაისროლა - მარცხენა ფლანგიდან **ვილიანმა** ჩამოაწოდა, **სელეზნიოვმა** კიდევ უფრო სიღრმისკენ გააკეთა გადაცემა და ჩვენებურმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა - 3:1. 82-ე წუთზე ის დუბლს შეასრულებდა, რომ არა სკანდინაველთა მცველის თავგანწირვა. საბოლოოდ, „შახტარმა" 5:1 მოიგო. ეს იყო შეკრების ბოლო მატჩი, დღეს გუნდი შინ, დონეცკში ბრუნდება.

გთავაზობთ „შახტარის" ოფიციალური საიტის მცირე ინტერვიუს ჩვენებურთან.

**- დღეს მარცხენა ფლანგი ძალიან აქტიური იყო, სწორედ იქიდან ჩამოწოდებულის შემდეგ გაიტანე, როგორ დაგამახსოვრდა ეს გოლი?**

- ვილიანმა და ჟენია სელეზნიოვმა ბრწყინვალედ ითამაშეს, პასი მივიღე და კარში დავარტყი. რა თქმა უნდა, ბრწყინვალეა, რომ ასე გამოვიდა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი გუნდის დიდი ანგარიშით გამარჯვებაა. ორივე ტაიმში კარგად ვითამაშეთ, კომპაქტურად და მეტოქეს ვაჯობეთ.

**- ეს შენი პირველი გოლია „შახტარის" რიგებში...**

- ძალიან კარგია, რომ უკვე დღეს შევძელი გატანა. მიხარია.

**- გუნდი ბევრს თამაშობს, შენც უკვე გამოხვედი რამდენჯერმე, ეს დააჩქარებს ადაპტაციას გუნდში?**

- ჯერ კიდევ დიდი ხანი არაა, რაც „შახტარში" ვარ. ალექსანდრ სპირიდონი მიხსნის ხოლმე, რა გავაკეთო შეტევაში და რა, დაცვისას. თამაშები კი ახალ თანაგუნდელებთან შესაჩვევად ზედგამოჭრილია.

**- არ გეშინია, თბილი ესპანეთიდან გაყინულ დონეცკში მოხვედრა?**

- ძალიან ცუდია, რომ ცივა, მაგრამ, როგორმე გადავიტან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


დავით თარგამაძე

ქართველები უცხოეთში

# ფავორიტის სტატუსი

ზამთრის შეკრება დაასრულა ბაქოს „ინტერმა" — ქართველი მწვრთნელების, **კახა ცხადაძისა** და **გიორგი ჩიხრაძის** დამოძღვრილი გუნდი თითქმის 3 კვირის განმავლობაში ანთალიაში ემზადებოდა. აზერბაიჯანის ჩემპიონატის ყველაზე „ქართულმა" გუნდმა თურქეთში 6 საკონტროლო მატჩი ჩაატარა: თურქულ „ქონიას" (3:2) და ავსტრიულ „შტურმს" (2:1) მოუგო, ალბანეთის ჩემპიონ „შკენდერბრეუსთან", უკრაინულ „ვოლინთან" და ყაზახურ „ჟეტისუსთან" შეხვედრები ერთნაირი ანგარიშით (0:0) დაამთავრა, ხოლო გერმანულ „კარლსრუესთან" (რომლის კაპიტანიც **ალექსანდრე იაშვილი** გახლავთ) 1:3 დამარცხდა. აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც: „კარლსრუეს" კარში „ინტერმა" კიდევ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯებმა ორივე გააუქმეს. ყველაზე უცნაური კი ის ფაქტი იყო, რომ არბიტრები... აზერბაიჯანელები გახლდნენ!

ამ საკონტროლო მატჩებში, როგორც წესი, ძირითად შემადგენლობაში ინყებდნენ თამაშს „ინტერის" ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელები: 32 წლის **გიორგი ლომაია,** 30 წლის **ილია კანდელაკი,** 32 წლის **ვალერი აბრამიძე** და 24 წლის **ბაჩანა ცხადაძე.** სხვათა შორის, თურქულ შეკრებაზე ჩატარებულ შეხვედრებში „ინტერმა" მეტოქის კარში 6 გოლი გაიტანა და აქედან ორი ბურთი ბაჩანა ცხადაძის ანგარიშზეა („კარლსრუესთან" და „შტურმთან"). სამწუხაროდ, შეკრებაზე ტრავმა მიიღო და ბოლო საკონტროლო მატჩი („ჟეტისუსთან") გამოტოვა „ინტერის" ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ილია კანდელაკმა. ეგ კი-არა, დიდია იმის ალბათობაც, რომ ამ გამოცდილმა უნივერსალმა აზერბაიჯანის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩიც გამოტოვოს. სეზონი კი აზერბაიჯანში 10 თებერვალს განახლდება და ამ ქვეყნის ჩემპიონატში მოასპარეზე 12-ვე გუნდმა მეორე ეტაპის დაწყებამდე ოთხ-ოთხი მატჩი უნდა ჩაატაროს. ამის შემდეგ კი ორი ექვსგუნდიანი ტურნირიც დაიწყება, ოღონდ, საქართველოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, აზერბაიჯანში ყველა გუნდს უნარჩუნდება პირველ ეტაპზე მოგროვილი ქულები. იმასაც შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძისა და გიორგი ჩიხრაძის დამოძღვრილ „ინტერს" 18 ტურის შემდეგ 36 ქულა აქვს და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ „ნეფთჩის". საჩემპიონო ამბიციის გარდა „ინტერი" აზერბაიჯანის თასზეც აგრძელებს ბრძოლას — მეოთხედფინალშია გასული, სადაც ორმატჩიანი დაპირისპირება ელოდება ლენქორანის „ხაზართან". შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძისა და გიორგი ჩიხრაძის დამოძღვრილი „ინტერი" 2010 წელს აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, შარშან კი დსთ-ს თასზე გაიმარჯვა.


გიორგი ჩიხრაძე (მარცხნივ) და კახა ცხადაძე

**გია გაგოშიძე**

ბენდელას თასი



# სამი გაირკვა...

საქართველოში ერთობ პოპულარული და ტრადიციული ტურნირი „ბენდელას თასი" წლეულს ოცდამეერთედ ტარდება და გადამწყვეტი მატჩების დროც დადგა. გუშინ სამი მეოთხედფინალური შეხვედრა ჩატარდა და სამი ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვა: „დინამო" (თბილისი) — „მეტალურგი" 8:1, აეტი — „ზოოვეტი" 2:3, „ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯია" 0:2. ნახევარფინალში თბილისის „დინამო" „ვიტ ჯორჯიას" დაუპირისპირდება, მეორე წყვილს კი „ზოოვეტი" და „სპარტაკი" — „ტორპედოს" შორის გამარჯვებული შეადგენს. „სპარტაკი" — „ტორპედოს" მეოთხედფინალური მატჩი დღეს, „ავაზა-ვისოლის" სტადიონზე ჩატარდება (დასაწყისი — 14 საათი და 30 წუთი).

როგორც ტურნირის უცვლელმა ორგანიზატორმა **ქართლოს ჭუმბურიძემ** გვაცნობა, ნახევარფინალები 9 თებერვალს ჩატარდება (სავარაუდოდ — რუსთავსა და მცხეთაში); ფინალი კი 11 თებერვალს არის დანიშნული და გადამწყვეტ შეხვედრას „ბენდელას" სტადიონი უმასპინძლებს. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ „ბენდელას თასის" წლევანდელი გათამაშება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აქტიური მხარდაჭერით ტარდება.

სავარაუდო ტრანსფერი

# ჭელიძეს კაირატში სინჯავენ

გორის "დილამ" თურქულ შეკრებაზე ბოლო მატჩი ყაზახურ "კაირატს" 2:0 მოუგო. ალმატელთა გუნდმა ჩვენი ყურადღება იმით მიიქცია, რომ მის ძირითად შემადგენლობაში **ზაზა ჭელიძემ** ითამაშა.

24 წლის ცენტრალური ნახევარმცველი შარშან ბრესტის "დინამოში" ცნობილ ბელარუსი მწვრთნელის, **იური პუნტუსის** ხელმძღვანელობით თამაშობდა. მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ("დინამო" ხელფას-პრემიებს დროულად ველარ უხდიდა) ბრესტელები კონტრაქტის გაწყვეტაზე დაითანხმა.

იანვარში ის ფოთის "კოლხეთში" მიიწვიეს, მაგრამ მაშინაც ვწერდით, რომ მიწვევებს სხვა ქვეყნის კლუბებიდანაც ელოდა. საბოლოოდ ფეხბურთელი ყაზახეთში აღმოჩნდა. მისი მენეჯერის **ვახტანგ ხაინდრავას** თქმით, ჭელიძის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

"კაირატი" შარშან 12-გუნდიან ყაზახეთის ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გავიდა. მაგრამ ამან არ მოგატყუოთ - დეკემბერში ყველაზე ცნობილი ყაზახური კლუბის სპონსორი უმდიდრესი კომპანია "კაზროსგაზი" გახდა, მწვრთნელად კი "ასტონ ვილაში" ნამუშევარი ინგლისელი მწვრთნელი **ჯონ გრეგორი** მიიწვიეს, რომელიც, ბოლოს ისრაელის "აშდოდში" მუშაობდა.

**მერაბ მამულაშვილი**


ზაზა ჭელიძე (მარცხნივ)

ინტერვიუ ვალტერ მაძარი

# ცრუმორწმუნე ინოვატორის საფეხბურთო ფილოსოფია

ვალტერ მაძარი დღევანდელი „ნაპოლის“ მთავარი შემოქმედია და რა გასაკვირია, რომ იტალიურ საფეხბურთო სამყაროში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ახალი თაობის მწვრთნელებს შორის ის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია და შედეგებიც შესაბამისი აქვს. მართალია, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ნეაპოლელები ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტენ, მაგრამ მთლიანობაში თუ შევხედავთ ბოლო წლების მოვლენებს, სამხრეთელები გიგანტური ნაბიჯებით მიიწევენ წინ. იტალიურ პრესაში მაძარის საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ...

**- ამბობენ, რომ ცრუმორწმუნე ხართ, რაც ნეაპოლელებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. როგორც ჩანს, ნეაპოლელებმა ტოსკანელ მაძარიზე დიდი გავლენა მოახდინეს...**

- მთავარია, რომ ცრურწმენები საერთოდ არ მიშლის ხელს საქმეში ბოლომდე დავიხარჯო. თავის დაზოგვა არ მჩვევია, საკუთარ თავს ყოველთვის მაქსიმალურად ვწურავ და იმავეს ვითხოვ სხვებისგანაც. თუმცა, ვაღიარებ, რომ ცრუმორწმუნე ვარ და როდესაც ყველაფერი კარგად მიდის, უწყინარი რიტუალების ჩატარება მჩვევია. ეს თვისება ყოველთვის მქონდა, როგორც ჩანს, ცრურწმენებისადმი ლტოლვა ტოსკანელებსაც გვახასიათებს.



ვალტერ მაძარი

**- ცნობილია ისიც, რომ ხმამაღლა ფიქრი გახასიათებთ და ხშირად, საკუთარ თავს ელაპარაკებით. ამასთან, ისეთი ფრაზა შეიძლება წამოგცდეთ, რომლითაც ვინმეს გაანაწყენებთ...**

- დიახ, ესეც მართალია... დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფრის გაგების შემდეგ, მკითხველი გიჟად არ ჩამთვლის. ასეთი ვარ და არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ შევიცვალო. სწორედ ასე გამომდის ეფექტურად საქმის კეთება და შესაბამისად, თავს არ ვიზღუდავ. შეგირდებმაც კარგად იციან ეს ყველაფერი და თუ ფიქრში ვინმეზე ცუდი წამომცდა, ამას ყურადღებას არ აქცევენ. ვამაყობ ჩემი შეგირდებით და ვიცი, რომ მათთან სერიოზული პრობლემა არასდროს შემექმნება.

**- „ნაპოლიში“ 1998/1999 წლების სეზონში რენცო ულივიერის თანაშემწედ მუშაობდით. რა შეიცვალა მას შემდეგ კლუბში?**

- მას შემდეგ ათ წელიწადზე მეტი გავიდა და რა გასაკვირია, რომ პრაქტიკულად ყველაფერი შეიცვალა. მაშინ კლუბი კრიზისში იყო და სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა, დღეს კი წინ მივდივართ და დიდი გეგმები გვაქვს. საერთოდ, მას შემდეგ ფეხბურთიც კი ძალიან შეიცვალა, ბევრად უფრო სწრაფი გახდა და ჩემი აზრით, კიდევ უფრო საინტერესო.

**- „ნაპოლი“ მერვე გუნდია თქვენს სამწვრთნელო კარიერაში და ალბათ ყველაზე ძლიერი...**

- რა თქმა უნდა, „ნაპოლი“ ყველაზე ძლიერი გუნდია, რომელიც გამიწვრთნია. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ შესაძლებლობები ჯერ სრულად არ გვიჩვენებია და პროგრესს განვაგრძობთ. სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში პრობლემები გვაქვს, მაგრამ ეს არ მაშინებს, უახლოეს მომავალში ყველაფერი დალაგდება.

**- თქვენი საბაზო ტაქტიკა 3-4-3-ია, თითქოს შემტევი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „ნაპოლის“ ყველაზე სახიფათო იარაღი კონტრშეტევაა. როგორ უთავსებთ ერთმანეთს შემტევ ტაქტიკას და კონტრიერიშებს?**

- შემტევი, ან დაცვითი შეიძლება იყოს მხოლოდ სტრატეგია, აი ტაქტიკა კი რთული მექანიზმია და მასზე ასე ორი სიტყვით ვერაფერს ვიტყვით. 3-4-3 ეფექტური სქემაა იმისთვის, რომ მეტოქის იერიში ჩაშალო და მყისვე, შეტევაზე გადახვიდე, ამასთან, კონტრშეტევაში მთელი გუნდი ჩაერთოს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ინოვატორი ვარ და მხოლოდ ერთ სქემას, ერთ სტრატეგიას არ ვეყრდნობი. თითქმის ყველა თამაში ინდივიდუალურია აბსოლუტურად ყველა საკითხში.

**- ესეკიელ ლავეცი, მარეკ ჰამშიკი, ედინსონ კავანი, გორან პანდევი, ედუარდო ვარგასი - როგორ ახერხებთ, რომ ნაწყენი არც ერთი არ დატოვოთ?**

- მაშინ ანტონიო კონტემ რა თქვას, რომელსაც განაცხადში კოლოსალური რაოდენობის თავდამსხმელი ჰყავს? - სინამდვილეში, სრულებით არ ვფიქრობ იმაზე, ვინ დარჩება ნაწყენი და გამოვდივარ ყოველთვის გუნდის ინტერესებიდან. იყო გარკვეული პრობლემები გორან პანდევთან, მაგრამ შემდეგ, ყველაფერი დალაგდა. გორანი მიხვდა, რომ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია და მასზე დიდ იმედებს ვამყარებ.

**- რომელიმე გუნდზე თუ გაქვთ სწორება, მაგალითად „ბარსელონაზე?**

- კარგად ვიცი თუ როგორი სათამაშო სტილი მიესადაგება ყველაზე მეტად „ნაპოლის“ და ვცდილობ, რომ ამისგან მაქსიმუმი ამოვიღო. „ბარსელონას“ მხოლოდ ერთ რამეში ვბაძავ და ეს გამარჯვებულის მენტალიტეტია. კატალონიური გრანდი დღეს ისტორიას წერს და ამ წარმატების მთავარი საწინდარი მაინც ძლიერი მენტალიტეტი მგონია. აი სწორედ ამას ვცდილობ, შეგირდებს საკუთარი თავის რწმენა გავუღვივო.

**- რომელი გირჩევნიათ, ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის“ ბარიერი გადალახოთ თუ სერია A-ში მესამე პოზიცია დაიკავოთ?**

- თუ მარტო „ჩელსის“ ბარიერი უნდა გადავლახოთ და შემდეგ გამოვვარდეთ, მაშინ არჩევანს სამეულზე შევაჩერებდი. ისე კი, რა აზრი აქვს ლიგის საგზურის მოპოვებას, თუკი იქ წარმატებას შენთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, დღეს, როგორც მინიმუმ არანაკლებ მნიშვნელოვანია „ჩელსის“ ბარიერის გადალახვა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. დანარჩენი მაისში გამოჩნდება, დავსხდებით სეზონის ბოლოს და ყველაფერს გავაანალიზებთ.

**- მარჩელო ლიპის თქმით, „ნაპოლი“ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს იტალიაში. რომელი უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, სანახაობრივი ფეხბურთი თუ შედეგი?**

- მთავარია, დინამიკური, ეფექტური ფეხბურთი ვითამაშოთ, რომელიც გულშემატკივრებს მოეწონებათ და შედეგი თავისთავად მოვა. საერთოდ, მგონია, ერთი მეორეს გარეშე უბრალოდ არ არსებობს. არ შეიძლება, რომ სანახაობრივი ფეხბურთი იყოს წამგებიანი და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ლიპის მადლობას ვუხდი ამ სიტყვებისთვის, მისი აზრი ჩემთვის ყოველთვის გამორჩეულად საინტერესო და ფასეულია.

**- როგორ ფიქრობთ, „ნაპოლი“ უკვე გამოვიდა დიეგო მარადონას ჩრდილიდან?**

- დიეგო მარადონამ „ნაპოლის“ ისტორია დაწერა და ნეაპოლში ეს არასდროს დაავიწყდებათ. თუმცა, ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ საფეხბურთო ქალაქმა მხოლოდ წარსული მოგონებებით არ იცხოვროს და ვგონებ, ეს ძალიან კარგად გამოგვდის. ნეაპოლში ის ემოცია დაბრუნდა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო, ეს კი ყველაზე მეტად მახარებს.

მილანი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მარჯვნივ)

# იბრა დასაჯეს!

იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე აქტუალური თემა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** წითელი ბარათია, რომელიც მან „მილანი“-„ნაპოლის“ შეხვედრაში მიიღო. მატჩის მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როდესაც ერთ-ერთ ეპიზოდში შვედი ფორვარდი მსაჯთან მოკამათე **სალვატორე არონიკას** მიეპარა და თავში ხელი ჩაარტყა - არბიტრი იქვე იყო და ბუნებრივია, რომ ეპიზოდი არ გამოჰპარვია... წინასწარი ვარაუდით, ზლატანს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელოდება და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, „იუვენტუსთან“ მატჩის გამოტოვება მოუწევს. ამიტომ, მილანური გრანდის მთელი ხელმძღვანელობა იმის მცდელობაშია, რომ როგორმე „ლეგა კალჩოს“ სადისციპლინო კომიტეტმა იბრას მაქსიმუმ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმაროს. აი რას ამბობს „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი:**

„იბრაჰიმოვიჩი გასაგდები იყო მოედნიდან და ამაში მატჩის არბიტრს ნამდვილად ვეთანხმები, მაგრამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აშკარად გადამეტებულია. რადგან არასპორტულ საქციელს ჰქონდა ადგილი, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია კიდევ გასაგებია, მაგრამ სამს ვერაფრით შევურიგდებით. თუკი სადისციპლინო კომიტეტი გავრცელებულ ცნობებს დაადასტურებს და უმკაცრეს სასჯელს გამოიტანს, გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ“.

იბრაჰიმოვიჩის საქციელი დაგმო „მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა,. **მასიმილიანო ალეგრიმ** და შემდეგი განაცხადა: „თავიდან ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ როდესაც ვიდეოფირი ვნახე, დავრწმუნდი, რომ ზლატანი გასაძევებელი იყო მოედნიდან. ძალიან სამწუხაროა, რომ რიგ ეპიზოდებში იბრას უჭირს თავის კონტროლი და ამისთვის გასულ სეზონშიც არაერთხელ დავზარალდით. იმედია, ეს ბოლო ინციდენტი იქნება მისი მონაწილეობით. რაც შეეხება დისკვალიფიკაციას, დიდი იმედი მაქვს, რომ სადისციპლინო კომიტეტი იბრას მაქსიმუმ ორმატჩიან უქმობას გამოუწერს“.

**P.S.** წუხელ გაირკვა, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

მოსაზრება

# ლიპი: იუვე ბრუნდება



ლეგენდარული **მარჩელო ლიპის** თქმით, „იუვენტუსი“ მზად არის იმისთვის, რომ იტალიური საკლუბო ფეხბურთის სათავეში დიდი ხნით მოვიდეს - სხვანაირად რომ ვთქვათ, „ვეკია სენიორა“ მზადაა კალჩოში დომინანტის როლი დაიბრუნოს. ლიპის მოსაზრებას აპენინებზე ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობიან და ბუნებრივია, მისი კომენტარი თითქმის ყველა წამყვან გამოცემაში დაიბეჭდა - მოვუსმინოთ მარჩელოს:

„როდესაც კონტეს „იუვენტუსს“ ვუყურებ, ის გუნდი მახსენდება, რომელსაც მე ვწვრთნიდი და რომელმაც აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო. ტურინელი გულშემატკივრები ისევ ამაყობენ საყვარელი გუნდით და ეს არის უმთავრესი. ამ ყველაფერს ახალი სტადიონიც უწყობს ხელს, სადაც ყოველთვის საოცარი საფეხბურთო ატმოსფეროა. „იუვე“ მწვერვალებს დაიპყრობს და ჩემი აზრით, მალე დაიბრუნებს იტალიური საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანის როლს. რაც მთავარია, „იუვეს“ ნიჭიერი მწვრთნელი, ანტონიო კონტე უდგას სათავეში, რომელმაც ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაც ჭკვიანურად გამოიყენა. საერთოდ, კონტეს, გადაწყვეტილებების აბსოლუტურ უმრავლესობაში ორივე ხელით ვეთანხმები“.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



## უცხოური ფეხბურთი

● საფრანგეთის ჩემპიონატი. გამოხმაურება

# ბრწყინვალე 35 წუთი

საფრანგეთის ჩემპიონატის XXII ტურში უმთავრესი ყურადღება "მარსელისა" და "ლიონის" მატჩმა მიიქცია. ბუნებრივია, გამარჯვებათა გზებზე შემდგარი ვიცე-ჩემპიონი აღნიშნულ შეხვედრაში, მით უფრო საკუთარ "ველოდრომზე", ფავორიტად მიიჩნეოდა. პროვანსელთა კოშმარული სტარტის შემდეგ ისინი საჩემპიონო რბოლიდან ჟურნალისტებმა ნაადრევად ჩამოწერეს, თუმცა **დიდიე დეშამის** გუნდი 27 ნოემბერს "პარი სენ-ჟერმენთან" მოგების შემდეგ მკვდრეთით აღდგა და მას მერე 12 შეხვედრაში გუნდს 11 მოგება (მათ შორის 8 ზედიზედ) და ფრე ჰქონდა. ამის წყალობით, სამხრეთელებმა ცხრილში მდგომარეობა გამოისწორეს და მე-5 ადგილზე გადაბარგდნენ.

"ლიონთან" თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. მაყურებელმა პირველ გოლს სულ 15 წუთი უცადა. **ბრანდაოს** დარტყმა თავისუფალ პოზიციაში მყოფ **ბენუა შეირუს** მიუვიდა - 1:0. მასპინძლებმა უპირატესობა ხელთ იგდეს და რამდენიმე წუთი "ლიონი" საკუთარ ნახევარზე გამოკეტეს. ზუსტად 19 წუთში შედეგიანი შეტევა შეირუმ წამოიწყო და ბრანდაოს მადლობა საგოლე გადაცემით გადაუხადა – 2:0. თითქოს ყველაფერი იმას მოასწავებდა, რომ მასპინძლებს უპირატესობა უნდა განევრცოთ, მაგრამ ორიოდე წუთში პირიქით მოხდა. **ჯიმი ბრიანმა ბაფეტიმბი გომისს** ბურთი ქუსლით დაუგდო. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი კარიდან რამდენიმე მეტრში იდგა და ბუნებრივია არ აუცილებია – 2:1. ტაიმის მიწურულს კი **სულეიმან დიავარამ** ბურთი პრაქტიკულად უწყინარ სიტუაციაში საკუთარ კარში ჩაჭრა – 2:2.

მეორე ტაიმში გუნდები უფრო მეტ ყურადღებას დაცვას აქცევდნენ, ასე რომ, მატჩი მოსაწყენ სანახაობად იქცა. საგოლე სიტუაციები მხოლოდ კანტიკუნტად იქმნებოდა. ყველაფერი ასევე ჩამთავრდა.

### მატჩის შემდგომ

**რემი გარდი** (ლიონი): *"თუკი იმას გავითვალისწინებთ, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ამ მატჩში, მაშინ შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყო. თუმცა დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება მაინც დამრჩა, რადგან ანგარიშში წინ გასვლის შანსი ნამდვილად გვქონდა და ამით ვერ ვისარგებლეთ. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩემმა გუნდმა ორბურთიანი ფორა ამოქაჩა. ვაღიარებ, რომ ამ მხრივ ცოტა გაგვიმართლა კიდეც. სეზონის პირველ ნახევარში ბიჭები უფრო დავწინაურდით, თუმცა შემდეგ ეს უპირატესობა ქარს გავატანეთ. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მეტოქემ ფსიქოლოგიური უპირატესობა მოიპოვა. მას იმის შანსიც კი ჰქონდა, რომ ანგარიშში წინ გასულიყო. მატჩის ბოლო წუთებში უკვე ძალები აღარ გვყოფნიდა. აშკარაა, რომ ამის მიზეზი მატჩების ძალიან მჭიდრო გრაფიკია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს უშუალო კონკურენტებთან (რენი, ლილი, ლიონი) 7 ქულა ავიღეთ, ცხრილში ისინი ისევ გვისწრებენ. მთავარია ჩემპიონატის ბოლო ტურებამდე*



დიდიე დეშამი

*აგრესიულები იყვნენ. სწორედ ეს თვისება გვაკლდა "მარსელთან" ყველაზე მეტად. შედეგით უკმაყოფილონი უნდა ვიყოთ ჩვენც და ჩვენი მეტოქეც. "პარი სენ-ჟერმენმა" და "მონპელიემ" ხომ თავისი მატჩები მოიგეს. ძნელი იქნება, მაგრამ ვეცდებით, რომ მათთან ჩამორჩენა როგორმე გავაბათილოთ".*

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *"ერთდროულად იმედგაცრუებულიც ვარ და არც ვარ. არა იმიტომ, რომ დიდებული 35 წუთი ჩავატარეთ და ორი ბურთით მოვახერხოთ დადებითი დინამიკის შენარჩუნება".*

აქვე შემოგთავაზებთ XXII ტურის სიმბოლურ ნაკრებს:

**სირიგუ** (პსჟ) – **რევეიერი** (ლიონი), **სიანი** (ბორდო), **ანდრე ლუისი** (ნანსი), **ბედიმო** (მონპელიე) – **კოადი** (ვალანსიენი), **შეირუ** (მარსელი), **ობრანიაკი** (ბორდო) – **კაბელა** (მონპელიე), **დანიკი** (ვალანსიენი), **ნენე** (პსჟ).

**ლევან ბიბილაშვილი**

● ბაიერნი



ჯერდან შაჩირი კარიერას სავარაუდოდ მიუნხენის ბაიერნში გააგრძელებს

# შაჩირი მიუნხენში? ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია!

მიუნხენის „ბაიერნის" ბუნდესლიგურ განაცხადში ყველაზე ცოტა ფეხბურთელია და მიმდინარე სეზონში რეკორდმაისტერმა უკვე ყველა მოთამაშე გამოიყენა. მიუხედავად ამისა, მიუნხენელები ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე არ გააქტიურებულან. **ფრანკ რიბერის** კი, რამდენიმე დღის წინ, კრიტიკასავით წამოსცდა, სათადარიგოთა სკამი არ გვივარგაო. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ „ბაიერნისგან" ხმაურიან ტრანსფერებს ზაფხულში უნდა ველოდოთ. „კიკერის" ცნობით, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა პირველ გარიგებაზე მუშაობა უკვე დაიწყეს.

ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბაზელის" 20 წლის უნიჭიერესი ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირი** ზაფხულში მიუნხენში გადაბარგდება. „კიკერი" წერს, რომ ბავარიელები „ბაზელის" ცაცია ლიდერს უკვე ფაქტობრივად ყველაფერზე შეუთანხმდნენ. რაც შეეხება ფასს: ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ „ბაიერნი" „ბაზელს" შაჩირის სანაცვლოდ 10-დან 12 მილიონ ევრომდე გადაუხდის და ახალგაზრდა ფეხბურთელი მიუნხენურ გრანდთან კონტრაქტს 2014 წლამდე გააფორმებს. დიდი შანსია, რომ შაჩირიმ „ბაიერნთან" ხელშეკრულებას ხელი ამავე კვირაში მოაწეროს.

შაჩირი საკმაოდ ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელია, „ბაზელში" უმეტესად მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. იანვარში მას „გალათასარაიში" ეპატიჟებოდნენ. მიუნხენური კლუბის ბოსებს უნდათ, რომ ტრანსფერი 22 თებერვლამდე გადაწყდეს, რადგან ამ დღეს რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ რაუნდში სწორედ „ბაზელს" ხვდება.

**გოტფრიდ ლენცი**

● კაიზერის მოსაზრება

# ბეკენბაუერი: ახლა დორტმუნდია ფავორიტი!

„ჰამბურგთან" 1:1-ს „ბაიერნისთვის" ლიდერობის დაკარგვა მოჰყვა, ლიდერობის დაკარგვას კი პესიმიზმი. მიუნხენური კლუბის საპატიო პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** მიაჩნია, რომ გერმანიის ჩემპიონატის მე-20 ტურის შემდეგ „ბაიერნი" ბუნდესლიგის უპირველესი ფავორიტი აღარაა.

*„დორტმუნდის „ბორუსია" გერმანიის მოქმედი ჩემპიონია და იურგენ კლოპის გუნდი სატურნირო ცხრილს ახლაც ერთპიროვნულად ლიდერობს. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ბუნდესლიგის უმთავრეს ფავორიტად უკვე „დორტმუნდი" უნდა მივიჩნიოთ,* - წერს 66 წლის კაიზერ-ფრანცი გაზეთ „ბილდის" ფურცლებზე და იქვე დასძენს, - *კლოპს მოვუწოდებ, თავი დაანებოს თვალთმაქცობას და იმის მტკიცებას, რომ ფავორიტი მაინც „ბაიერნია" და რომ ჩემპიონი რეკორდმაისტერი გახდება."*

ბეკენბაუერს კარგად ესმის, რატომაც იქცევა კლოპი ასე – მას უნდა, რომ თავის ფეხბურთელებს ზეწოლა აარიდოს და მათ „მეცხრე ცაზე ყოფნის" საშუალება არ მისცეს, რადგან ეს დასჯადი ფენომენია, მაგრამ: *„როცა „დორტმუნდი" მე-20 ტურის შემდეგ ცხრილს ლიდერობს, მთელი საფეხბურთო გერმანიის დაცინვაა იმის მტკიცება, რომ მთავარ ფავორიტად მაინც „ბაიერნი" რჩება,"* - მიაჩნია ბეკენბაუერს.



ფრანც ბეკენბაუერის აზრით, გერმანიის ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი დორტმუნდის ბორუსიაა

მისი აზრით, მიუნხენურ გრანდს მეორე წრეში ის სიმსუბუქე აკლია, რაც **იუპ ჰაინკესის** გუნდს სეზონის პირველ ნახევარში ყველაზე მეტად ამშვენებდა. სამაგიეროდ, „კაიზერ-ფრანცის" თქმით, ეს სიმსუბუქე დორტმუნდელებმა დაიბრუნეს.

*„ბაიერნს" ახლა ურთულესი პერიოდი ელის, რადგან ჩემპიონთა ლიგაშიც მოუწევს ასპარეზობა, დორტმუნდელებს კი ეს პრობლემა აღარ აქვთ,"* - წერს ბეკენბაუერი.

**გოტფრიდ ლენცი**

● რომა

# დე როსი ჯალოროსის ერთგულია!

## ხუთწლიანი კონტრაქტი და ხელფასი 5.5 მილიონი

მორჩა, გადაწყდა: როგორც მოსალოდნელი იყო, **დანიელე დე როსიმ** „რომას" სამუდამო ერთგულება შეჰფიცა და „ჯალოროსისთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2017 წლამდე აქვს. შეგახსენებთ, რომ მის ძველ ხელშეკრულებას ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურებოდა.

ახალი ხელშეკრულების მიხედვით, ზაფხულიდან დე როსის ხელფასი წელიწადში 5.5 მილიონი ევრო იქნება. ჩვენი იტალიელი კოლეგები ფიქრობდნენ, რომ დე როსის ახალ ხელშეკრულებაში ჩაიდებოდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც, დანიელეს „რომადან" აზარგება გარკვეული თანხის სანაცვლოდ მაინც შეეძლებოდა, მაგრამ ოფიციალურად დადასტურებული ცნობით, ასეთი პუნქტი არ არსებობს.

გუშინ, 28 წლის ნახევარმცველმა, რომელიც „რომას" აღზრდილია და „ჯალოროსის" ფანებს **ფრანჩესკო ტოტის** შემდეგ ყველაზე მეტად უყვართ, აღიარა, რომ ბოლო დროს სხვა კლუბებთანაც ჰქონდა მოლაპარაკებები, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილება მაინც „რომას" სასარგებლოდ მიიღო.

*„გულისთქმას მივენდე და „რომაში" დარჩენა გადავწყვიტე. ბოლოს ტვინმაც „რომასთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება მიკარნახა. ვიგრძენი, რომ აქ ყველაფერი მაქვს, რაც მჭირდება. იმისათვის, რომ ჩემი ფეხბურთი ვითამაშო, სწორედ „რომა" მჭირდება,"* - განაცხადა დე როსიმ პრესკონფერენციაზე.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები



რობინ ვან პერსი

## ვან პერსი საუკეთესოთა შორის

"ბლექბერნთან" შეხვედრამდე **რობინ ვან პერსისა** და მის ლეგენდარულ თანამემამულე **დენის ბერგკამპს** "არსენალის" მაისურით თანაბარი რაოდენობის გოლი, 120-120 ჰქონდათ გატანილი. მოგეხსენებათ, რობინმა "ვარდებთან" ჰეთთრიკი შეასრულა და ამ შედეგით "მეთოფეთა" ყველა დროის სნაიპერებს შორის მე-10 ადგილზე გადაინაცვლა. პირველზე, რა თქმა უნდა, განუმეორებელი **ტიერი ანრია**, ვისაც ვან პერსიმ ერთი გოლი ამ შეხვედრაშიც გაატანინა. მაშ ასე, ათეული ასე გამოიყურება:

1. **ტიერი ანრი** 228 (375 თამაში); 2. **იან რაიტი** 185 (288); 3. **კლიფ ბასტინი** 178 (396), 4. **ჯონ რედფორდი** 149 (481); 5. **ჯიმი ბრაენი** 139 (232), 6. **ტედ დრეიკი** 139 (184), 7. **დაგ ლიშმენი** 137 (244); 8. **ჯო ჰალმი** 125 (374); 9. **დევიდ ჯეკი** 124 (156); 10. **რობინ ვან პერსი** 123 (238).

## ტრავმები სენტ ჯეიმს პარკზე

"ნიუკასლმა" გულშემატკივარს აცნობა, რომ "ასტონ ვილასთან" ტრავმირებული ფეხბურთელების **რაიან ტეილორისა** და **ლეონ ბესტის** მდგომარეობა მართალია მსუბუქი არ არის, მაგრამ არც ყველაზე უარესი ვარაუდები გამართლდა. პირველს გაშლილი ფეხი **სტინ უორნოკმა** პირდაპირ კოჭში ჩაარტყა და ამის მიუხედავად ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია. ბედშავი ტეილორი მოედნიდან საკაცით გაასვენეს. რამდენი ხანი გაუცდება მას, ჯერჯერობით უცნობია. მუხლი დაიზიანა, თუმცა დამოუკიდებლად შეძლო მოედნის დატოვება ლეონ ბესტმა. ექიმები შიშობდნენ, რომ მას ჯვარედინი მყესები ექნებოდა გაწყვეტილი, თუმცა გუშინ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ დაჭიმულობაა. ბესტს სამკურნალოდ თვე-ნახევარი დასჭირდება.

## ჰოჯსონს საფრთხე ემუქრება

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, იმის გამო, რომ "ვესტ ბრომვიჩი" შინ ამაზრზენად თამაშობს და მიმდინარე სეზონში შინ უკვე მე-8 თამაში წააგო, კლუბის ხელმძღვანელობამ მას ულტიმატუმი წაუყენა. 64 წლის სპეციალისტი გამოასწორებს შედეგებს ან თანამდებობას გამოეთხოვება. მომდევნო ტურში "ვულვზთან" წაგება მას შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტურის გამოხმაურება

# რა სარგებლობა მოაქვს რობენს?

## პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ბაიერნს ჰოლანდიელის გარეშე უკეთესი შედეგები ჰქონდა

**საუკეთესო ფეხბურთელები**

20 ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ. |
|---|---|---|
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.35 |
| 2. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.36 |
| 3. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.58 |
| 4. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 2.60 |
| 5. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.61 |
| 6. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.62 |
| 7. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.65 |
| 8. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.74 |
| 9. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.74 |
| 10. როელ ბრუვერსი | ბორუსია (მ) | 2.75 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 19 | 16 | 8 | 24 |
| 2. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 18 | 15 | 7 | 22 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 20 | 14 | 7 | 21 |
| 4. მარიო გომესი | ბაიერნი | 19 | 17 | 3 | 20 |
| 5. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 18 | 15 | 5 | 20 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 18 | 12 | 6 | 18 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 19 | 8 | 9 | 17 |
| 8. რაული | შალკე | 19 | 10 | 5 | 15 |
| 9. მოჰამედ აბდელაუ | ჰანოვერი | 17 | 11 | 2 | 13 |
| 10. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 18 | 6 | 7 | 13 |



არიენ რობენი ინდივიდუალისტია

**დაცვის ხაზში აშკარა, დასაჯერებელ პრობლემებს ისიც დაემატა, რომ მიუნხენის „ბაიერნს" ამ ბოლო დროს კრეატივშიც უჭირს – არიენ რობენი და კომპანია აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, ამ ასპექტშიც მოიკოჭლებენ. შედეგი კი უკვე სახეზეა: დორტმუნდის „ბორუსიამ" მეორე წრის სამ ტურში არა მარტო გალიდერება (თანაც, ერთპიროვნულად), არამედ ფავორიტის სტატუსის მოპოვებაც მოახერხა.**

### სად გაქრა ბაიერნის თავდაჯერება?

*„ჩვენ თამაშიდან თამაშამდე უნდა ვიფიქროთ – ეს გამოთქმა ბუნდესლიგაში ძალიან პოპულარულია და თითქმის ყოველი მეორე ამას ამბობს. მე ასე ვიტყოდი: ჩვენ ყველა თამაშს უნდა ვიგებდეთ და მხოლოდ გერმანიის ჩემპიონობა გვინდა!"* - „ბაიერნის" შემტევი ნახევარმცველი **თომას მიულერი** „ჰამბურგთან" 1:1-ის შემდეგ ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებული ჩანდა. უნდოდა, ამ განცხადებით ეჩვენებინა, რომ რეკორდმაისტერში ყველა ძველებურად თავდაჯერებულია, მაგრამ პირიქით გამოუვიდა – ნერვები ხომ მაშინ ეშლებათ ხოლმე, როცა თავდაჯერებას კარგავენ.

„ბაიერნელების" თავდაჯერებისთვის პრობლემური ის არის, რომ მინიმუმ ამ უქმეების შემდეგ, რეკორდმაისტერი ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი აღარ არის, რაც, სავსებით შესაძლებელია, იმის ბრალიც იყოს, რომ თავად მიულერი მარჯვენა ფლანგზე აღარ თამაშობს და **ტონი კროოსმა** გამთამაშებლის პოზიციიდან საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე გადაინაცვლა...

„დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპს** კი, რა თქმა უნდა, ძალიან გაუხარდა ის, რომ „ბაიერნმა", „შალკემ" და „გლადბახმა" წაიფორხილეს.

### კლოპის ჩინური

თუ გერმანული გესმის, კლოპის ინტერვიუების ყურება და მოსმენა ერთ რამედ ღირს. წინა კვირას დორტმუნდელთა დამრიგებელმა განაცხადა, ჩემპიონობის შესახებ კითხვას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვუპასუხებ, თუ ჩინურად დამისვამთო. ერთმა ჟურნალისტმა ეს დაუმახსოვრა და „ნიურნბერგთან" გამარჯვების შემდეგ, რასაც „ბორუსიას" გალიდერება მოჰყვა, კლოპს ის კითხვა ჩინურად გაუმეორა, მანამდე კი ერთი კვირის წინანდელი განცხადებაც შეახსენა – ოღონდ, გერმანულად. *„კითხვის გერმანული ნაწილი ვერ გავიგე!"* - ასეთი იყო „კლოპის" პასუხი...

მოქმედი ჩემპიონი მწვრთნელი კითხვებს აი, ასეთი ხუმრობებით იგერიებს, მაგრამ რად გვინდა მისი პასუხი – ისედაც ცხადია, რომ იურგენი ზედიზედ მეორე ჩემპიონობაზე ოცნებობს. და ეს ოცნება უკვე ძალიან რეალურია! თავად განსაჯეთ: „ნიურნბერგთან" 2:0-ის შემდეგ „დორტმუნდს" ბუნდესლიგაში უკვე 14-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კლოპის გუნდი წამყვანი ფეხბურთელების ტრავმიანობას ჯერჯერობით უმტკივნეულოდ უმკლავდება. სეზონის დასაწყისში დორტმუნდელთა ტოპთავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი** იყო დაშავებული, რომელიც **რობერტ ლევანდოვსკიმ** იდეალურად შეცვალა და მეტიც: პოლონელი BVB-ს ახალ ტოპგოლეადორად ჩამოყალიბდა. პირველი წრის მიწურულს „ბორუსიას" დაცვის ბურჯი **ნევენ სუბოტიჩი** და ძირითადი შემადგენლობის ნახევარმცველი **სვენ ბენდერი** დაუშავდნენ და გუნდი ამ პრობლემებსაც გაუმკლავდა. ახლა კი, „დორტმუნდის" „მთავარი მარგალიტი" **მარიო გიოტცეა** ლაზარეთში და ტრავმირებულთა სიას ამ უქმეებზე ბენდერიც (უკვე მეორედ) შეემატა. კლოპის გუნდი კი მაინც იგებს!

### არიენ რობენი, ლუქს პრობლემა?

მიუნხენში სიამოვნებით იხსენებენ სეზონის დასაწყისს და იმ პერიოდს, როცა „ბაიერნი" ბუნდესლიგაში დომინირებდა. ეს „ოქროს ხანა" 19 ნოემბრამდე გაგრძელდა – იმ დღემდე, სანამ მიუნხენში დორტმუნდელები არ ჩავიდნენ და რეკორდმაისტერი „ალიანს არენაზე" 1:0 არ დაამარცხეს. მას მერე ბავარიული კლუბის საქმეები ნელ-ნელა უკან-უკან წავიდა და მიუნხენში დღემდე აქტუალურია კითხვა: ეს **ბასტიან შვაინშტაიგერის** ტრავმის ბრალი იყო, თუ **არიენ რობენის** დაბრუნების?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია, ფაქტი კი ერთია: იმ რვა შეხვედრიდან, რომლებშიც რობენმა თავიდანვე ითამაშა, ბავარიელებმა მხოლოდ ოთხი მოიგეს! თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დორტმუნდელებს ახლა გიოტცე ჰყავთ დაშავებული, „ბაიერნისთვის" ალიბად არც შვაინშტაიგერის ტრავმა გამოდგება – მით უმეტეს, რომ ბასტიანი მეორე წრეში ჯანმრთელია. გასულ უქმეებზე, ჰამბურგში, რობენი მიუნხენელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო კი იყო, მაგრამ ექსპერტები იხსენებენ, ჰოლანდიელის გარეშე გუნდი კოლექტიურად უტევდა და წარმატებებსაც აღწევდა, არიენი კი ინდივიდუალისტად რჩებაო.

თანაც, რობენის დაბრუნების შემდეგ მიულერი ფლეიმეიკერის პოზიციაზე დაბრუნდა, კროოსმა კი საყრდენის ადგილზე გადაინაცვლა. შედეგი: გაუარესდა როგორც მიულერის, ისე კროოსის მარგი ქმედების კოეფიციენტები. ფაქტია, რობენი იუპ ჰაინკესისთვის ლუქს-პრობლემად იქცა. „გლადბახის" თავკაც **ლუსიენ ფავრს** კი ასეთი პრობლემები არ აწუხებს...

### როისის სანტიმეტრები

**მარკო როისს** „ვოლფსბურგთან" მატჩის 69-ე წუთზე შეეძლო, გაეტანა გოლი, რომელიც მიონხენგლადბახის „ბორუსიას" უაღრესად მნიშვნელოვან სამ ქულას მოუტანდა, მაგრამ მიმდინარე სეზონის აღმოჩენამ, რომელიც „მგლების" მეკარე **დიეგო ბენალიოსთან** ერთი-ერთზე დარჩა, კარს რვა მეტრიდან ააცილა. მატჩის შემდეგ როისმა ყველას მოუბოდიშა, მათ შორის თანაგუნდელ **მაიკ ჰანკესაც**, რომელიც იმ მომენტში უკეთეს პოზიციაში იყო და პასის შემთხვევაში ნაღდად გაიტანდა.

თუმცა, ვოლფსბურგში ორი ქულის დაკარგვამ „გლადბახზე" ცუდად არ უნდა იმოქმედოს, რადგან **ფელიქს მაგათის** გუნდი აღარ არის ისეთი არასტაბილური, როგორიც პირველ წრეში იყო. დარწმუნებულები ვართ, „მგლები" სეზონის ბოლომდე კიდევ მოუმატებენ და ცხრილში არაერთი საფეხურით დაწინაურდებიან. ასე რომ, „გლადბახს" „შალკესგან" განსხვავებით, რეალურად, ფეხი არ დასცდენია.

### ტურის დაბრუნება: შალკე ექსდორტმუნდელმა ზიდანმა გაამწარა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მონინავე ოთხეულიდან, ლოგიკურად, ყველაზე მარტივი მატჩი „შალკეს" ჰქონდა: გელზენკირხენელები „მაინცს" მასპინძლობდნენ. 1:1 კი მართლა ცუდი შედეგია, თუმცა შალკელები თამაშით უნდა იყვნენ კმაყოფილები – გაშვებული გოლის შემდეგ **ჰუუბ სტევენსის** გუნდმა მაგრად მოუმატა, ანგარიშიც გაათანაბრა და გამარჯვების გოლამდე სულ ცოტა დააკლდა.

ვითომ დამთხვევაა ის, რომ „შალკეს" გოლი ყოფილმა დორტმუნდელმა **მოჰამედ ზიდანმა** გაუტანა? ეს უკანასკნელი „მაინცში" სწორედ BVB-დან დაბრუნდა (ტრანსფერი იმ კვირაში განხორციელდა) და პირველივე თამაშში სასიცოცხლო მნიშვნელობის გოლი შეაგდო. თანაც, ამით ყოფილი თანაგუნდელები გაახარა.

### განგაში ბერლინში: სკიბე აგებს და აგებს!

როცა ბერლინის „ჰერტას" მწვრთნელობას თანხმდებოდა, **მიხაელ სკიბე** ამაზე უარეს დასაწყისს უკიდურესად კოშმარულ სიზმარშიც ვერ ნახავდა: **ლევან კობიაშვილის** გუნდმა სკიბეს ხელში მესამე თამაშიც წააგო და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ჰერტას" ბუნდესლიგის მეორე წრე ასე ცუდად მანამდე არასდროს დაუწყია!

უპრიანია, შეგახსენოთ, რომ ბერლინელებმა პირველი წრე **მარკუს ბაბელის** ხელში საკმაოდ კარგად ჩაატარეს და ეს მწვრთნელი შეფებმა მათთან დაპირისპირების გამო მოხსნეს (ბაბელმა კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელება არ ისურვა).

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, წინა კვირას სკიბემ და „ჰერტას" კაპიტანმა **კრისტიან ლელმა** გასახდელში მაგრად იჩხუბესო. ჰო, „ჰანოვერთან" ბერლინელთა კაპიტანი უკვე კობიაშვილი იყო! კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ხვალ „ჰერტას" გერმანიის თასზე მორიგი ურთულესი თამაში ელის – „გლადბახთან"! და ამ შეხვედრას სკიბესთვის მორიგი წაგების სუნი ასდის.

### მე-20 ტურის სიმბოლური ნაკრები

(3-4-3, კიკერი)

იაროსლავ დროზნი (ჰამბურგი, III) – სებასტიან ლანგკამპი (აუგსბურგი, I), ნიკოლჩე ნოველსკი (მაინცი, I), ბენედიქტ ჰიოვედესი (შალკე, II) – იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (ბორუსია /დ/, III), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი, III), სებასტიან კელი (ბორუსია /დ/, II), მანუელ ხურადო (შალკე, I) – მოჰამედ ზიდანი (მაინცი, I), კლაუდიო პისარო (ვერდერი, V), პაოლო გერერო (ჰამბურგი, II).

ის, რაც მოჰამედ ზიდანმა დორტმუნდის „ბორუსიაში" ორი წლის მანძილზე ვერ შეძლო, „მაინცში" დაბრუნების შემდეგ პირველივე ტურში მოახერხა: ეგვიპტელი თავდამსხმელი „შალკესთან" კარგი თამაშისა და გატანილი გოლის გამო „კიკერმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. სასიამოვნო სიურპრიზია ისიც, რომ სიმბოლურში „მაინცისა" და „აუგსბურგის" მცველები (!) გამოჩნდნენ.

**ტურის გმირი**

**კლაუდიო პისარო (ვერდერი, II)**

პერუელმა თავდამსხმელმა „ფრაიბურგს" დუბლი რომ შეუსრულა, ეს მისთვის ამ სეზონში რიგით მე-14 და მე-15 გოლები იყო, რითაც **პისარომ** ბუნდესლიგაში გატანილი გოლების რაოდენობა 157-მდე გაზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვერდერის" ფორვარდი ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო არაგერმანელი თავდამსხმელია. გერმანელების ჩათვლით საუკეთესოებს შორის კი პერუელი ლეგენდარულ **ფრიც ვალტერთან** ერთად მე-12 ადგილზეა. ერთ შეხვედრაში ერთზე მეტი გოლი პისარომ უკვე 28-ედ გაიტანა და ლეგიონერებს შორის ამ კვოტითაც საუკეთესოა. სხვათა შორის, მეორე ადგილზე **ჯოვანი ელბერია** (27). ორი ან მეტი გოლი კი პისარომ მე-17 მატჩში გაიტანა და ამ მხრივ მხოლოდ **რუდი ფიოლერს** (22) ჩამორჩება. კონკრეტულად „ფრაიბურგის" კარი მაქვს უკვე 10-ჯერ აქვს დალაშქრული, „ვერდერის" ბოლო 25 გოლიდან კი, 20-ში უშუალო მონაწილეობა მიიღო...

● გერმანიის თასი. 1/4 ფინალის წინ

# დღეს კილში დიდი ფეხბურთია!

## ...იქ გერმანიის ჩემპიონი ჩადის

| | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ჰოლშტაინ კილი-ბორუსია (დ) | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 22:00 |
| ჰერტა-ბორუსია (მ) | 22:00 |
| შტუტგარტი-ბაიერნი | 23:30 |

დღეს და ხვალ, გერმანიის თასის მეოთხედფინალური მატჩებია. პირველი ნახევარფინალისტი დღეს გამოვლინდება, დანარჩენი სამი კი – ხვალ. მეოთხედფინალს საღამოს გერმანიის მოქმედი ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას" და ამ ეტაპამდე სენსაციურად მოსული, მეოთხელიგელი „ჰოლშტაინ კილის" პაექრობა გახსნის.

„ჰოლშტაინ კილი" პირველი მეოთხელიგელია ბოლო 11 წლის განმავლობაში, რომელმაც გერმანიის თასის მეოთხედფინალში გააღწია და ეს ამ გუნდისთვის უკვე უდიდესი მიღწევაა. აღსანიშნავია, რომ 11 წლის წინათ ასეთივე წარმატებას „მაგდებურგმა" მიაღწია. კილელებმა ამ სეზონში გზიდან ჯერ მეორებუნდესლიგური კლუბები, „კოტბუსი" და „დუისბურგი" ჩამოიცილეს, მერვედფინალში კი ელიტის წარმომადგენელი „მაინციც" დაამარცხეს. ეს ყველაფერი კი უდიდესი მონდომების, ბრძოლისუნარიანობისა და რა თქმა უნდა, იღბლიანობის დამსახურებაცაა.

ახლა კი, „ჰოლშტაინ კილს" უმაღლესი კალიბრის მეტოქე ელის: გერმანიის მოქმედი ჩემპიონი და ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ლიდერი, დორტმუნდის „ბორუსია". „შავ-ყვითლებს" **მარიო გიოტცეს** შემდეგ **სვენ ბენდერიც** მძიმედ დაუშავდათ, თუმცა წესით, უსუსტესი მეტოქის დამარცხება მათ გარეშეც არ უნდა გაუჭირდეთ. ფაქტია, რომ ბენდერს ნახევარდაცვის ცენტრში 19 წლის **ლაიტნერი** შეცვლის და შესაძლოა, BVB-ს მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე სათადარიგო ფეხბურთელი ათამაშოს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



„კუბას" და კაგავას „ჰოლშტაინთან" იოლი გასეირნება ელით?

ლა ლიგა. XXI ტურის შეჯამება

# ლა ლიგა, ხედი კოსმოსიდან

## მარსელინო: ცოცხალი თავით არ გადავდგები! სევილია: ჩვენი მწვრთნელი - უკვე მიჩელია!


მარსელინოს სევილიადან წასვლა არ უნდოდა, ის გააგდეს

„რეალი" და „ბარსელონა" სხვებს უკვე კოსმოსიდან ეთამაშებიან. არა, ხდება ხოლმე, როცა ერთ-ერთი მათგანი წაიფორხილებს (წლეულს, უფრო ჩემპიონი) ან როგორც ამ ტურში მოხდა, რთულად მიაღწევს მიზანს, მაგრამ მარათონისთვის სახელად ლა ლიგა, ეს ზღვაში წვეთია. 21-ე ტურის შემდეგ ლიდერმა „რეალმა" მესამეადგილოსან „ვალენსიასთან" ქულათა სხვაობა უკვე 18-მდე (!) გაზარდა, მეოთხეადგილოსან „ლევანტესთან" კი - 23 (!) ქულამდე. წარმოიდგინეთ, თეორიულადაც კი 23 ქულის „ამოქაჩვას" 8 ტური უნდა, პრაქტიკულად კი ეს შეუძლებელია. მაშ, რატომაც არა კოსმოსი?

ამ ტურში ყველაზე კარგ თამაშს „ვისენტე კალდერონზე" ველოდით, მაგრამ ყველაზე ცუდი კი ვიხილეთ. ვფიქრობთ, უნდა შევეგუოთ, რომ არგენტინელი **დიეგო სიმეონეს** ხელში „ატლეტიკო" ყოველთვის იქნება ანგარიშგასაწევი ძალა, მაგრამ ალბათ არასოდეს ითამაშებს სანახაობრივ ფეხბურთს. სამაგიეროდ, მატჩში 25 ჯარიმა „ლოს კოლჩონეროსს" გარანტირებული აქვს. ერთიც, ნელ-ნელა არაგონელებთა გამოტირება გვმართებს, „სარაგოსა" იმ გუნდს არა ჰგავს, რომელსაც ამ სიტუაციიდან თავის დახსნა შეუძლია...

შესავალის დამთავრებას კი იმით ვაპირებთ, რითაც უნდა დაგვეწყო - ჩვენი გუშინდელი წინასწარმეტყველება ახდა, „სევილიას" ხელმძღვანელები კარგად ჩაწვდნენ იმას, რომ **მარსელინო გარსია ტორალის** მოხსნის დროა. თუმცა წინასწარმეტყველება ნამეტანი „ხმამაღალი ნათქვამია" ამ სიტუაციაში.

### ბარსა-რეალობა

„რეალი" ჯიქურ მიიწევს მიზნისკენ, მადრიდული დერბი არ გამოვიდა თვალსასეირო, სამაგიეროდ იყო დაძაბული, „ხეტაფემ" იბრძოლა. რომ არა **სერხიო რამოსის** თავური, ვინ იცის, იქნებ გარეუბნელებს ეს ბრძოლა დაფასებოდათ კიდეც. მოკლედ, „რეალი" ისევ 7 ქულით უსწრებს ჩემპიონს და, როგორც ჩანს, ამ ტიტულს დაათმობინებს კიდევაც.

არ გეგონოთ, რომ „რეალს" მეტი მომენტი არ შეჰქმნია, მაგრამ „სამეფო კლუბის" შემტევებმა ეს მომენტები ანიავეს და ანიავეს. განსაკუთრებით თავი **ქარიმ ბენზემამ** „გამოიჩინა". ამის გამო „ხეტაფეს" შეეძლო მეტოქის დასჯა, მაგრამ „სამეფო კლუბი" **აისა გამესმა** იხსნა. არ გეგონოთ, **იკერ კასილიასის** ახალი შემცვლელია, ეს ამ თამაშის არბიტრია, ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ანტიგმირი - მან 100%-იანი პენალტი არ დანიშნა, როცა **პეპემ** საჯარიმოში ხელით ითამაშა. „სამეფო კლუბში" ისევ გოლის ავტორ რამოსს, **კრიშტიანო რონალდოს** და **მესუთ იოზილს** გამოვყოფდით. **კაკა** და ბენზემა კი ყველაზე სუსტები იყვნენ. აი, ასე მოიგო „რეალმა" ზედიზედ მე-8 მატჩი სტუმრად ლა ლიგაში.

**აიტორ კარანკა:** *„ჩვენ ვეთამაშეთ ძლიერ მეტოქეს ძალიან ცუდ ამინდში. უპირატესობა სულ ჩვენი იყო და ყველა შანსი რომ გამოგვეყენებინა, სოლიდური ანგარიშით მოვიგებდით".*

„ბარსელონამ" აღმაფრენის გარეშე, მაგრამ მაინც დაამარცხა „რეალ სოსიედადი" - 2:1. გუნდში მხოლოდ ერთი კაცი იყო, რომლის თამაშიც აღფრთოვანებას მოგვგვრიდათ - **ლიონელ მესი** - თუმცა არგენტინელმა ჯადოქარმაც ერთი-ორი საოცარი უზუსტობა დაუშვა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ლეოს გოლი და განსაკუთრებით მისი საგოლე პასი **კრისტიან ტელიოს** მისამართით, დიდებული იყო. **ხოსეპ გვარდიოლამ** სასტარტოში სამი ფეხბურთელი ათამაშა სარეზერვო გუნდიდან, **კვენკა** (თუმცა ამ უკანასკნელს უკვე პირველი გუნდის წევრი ეთქმის), ტელიო და **ჯონათან დოს სანტოსი**. ბუნებრივია, ყველაზე ბედნიერი იმ დღეს „კამპ ნოუს" 20 წლის ტელიო ტოვებდა, რომელმაც სადებიუტო გოლი გაიტანა ლა ლიგაში. ყველაზე ცუდად კი ეს შაბათი **სერხიო ბუსკეტსს** ემახსოვრება, რომელიც მეტოქეს ძალიან უხერხულად შეეჯახა. საბრალო ბუსკეტსს 15 ნაკერი დაადეს და ექიმთა საერთო დასკვნით, ის კიდევ სასწაულებრივად გადაურჩა სერიოზულ ტრავმას. სხვათა შორის, ეს თამაში იმით იყო გამორჩეული, რაც ასე იშვიათია თანამედროვე ფეხბურთში - „ბარსელონამ" საკუთარი სკოლის 8 აღზრდილი გამოიყვანა, ხოლო „რეალ სოსიედადმა" - 9.

### მესი vs რონი

ჩვენი „ტურნირი", ლა ლიგის არ იყოს, ეკვატორს გადაცდა. კრიშტიანო რონალდო კვირას იუბილარი იყო, 27 წლის შესრულდა, ანუ, წესით, ფორმის პიკზე უნდა იყოს და ასეც არის. ლეო მესი მასზე სამი წლით უმცროსია და კარიერის პიკი ჯერ კიდევ წინ აქვს, თუმცა რონალდოს, ოდნავ, მაგრამ მაინც უკვე სჯობნის.

„ხეტაფესთან" 1:0 მოგებულ შეხვედრაში რონალდომ 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 4-ჯერ დაარტყა, 2-ჯერ ზუსტად, გოლი და საგოლე პასი არ მიუთვლია. სამაგიეროდ, სამჯერ მოხვდა ოფსაიდში და მის წინააღმდეგ 6-ჯერ იუხეშეს.

ლეო მესიმ „რეალ სოსიედადთან" 2:1 მოგებულ შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა: კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, 5-ჯერ ზუსტად, ერთხელ გაიტანა, ერთხელ გაატანინა, მის წინააღმდეგ ორჯერ დაჯარიმდნენ. მოკლედ, ეს რაუნდი არგენტინელისაა, რომელიც 13:11 დაწინაურდა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

goal.com. 4-3-3

დიეგო **ალვეში** (ვალენსია, 1) - **ტიტო** (რაიო ვალეკანო, 1), **სერხიო რამოსი** (რეალი, 3), ადილ **რამი** (ვალენსია, 6), ხოსე მანუელ **კასადო** (რაიო ვალეკანო, 1) - მესუთ **იოზილი** (რეალი, 5), ბორხა **ვალერო** (ვილიარეალი, 3), ანტუან **გრიზმანი** (რეალ სოსიედადი, 3) - ხუან **ალბინი** (ესპანიოლი, 1), ფერნანდო **ლორენტე** (ბილბაო, 3), კრისტიან **ტელიო** (ბარსელონა, 1).

ფერნანდო ლორენტე შესანიშნავ ფორმაშია და მან ამ ტურშიც შეინარჩუნა ადგილი რჩეულთა შორის, იგივე ითქმის მესუთ იოზილზეც. მე-6-ედ მოხვდა სიმბოლურში „ვალენსიას" ფრანგი მცველი ადილ რამი. არიან დებიუტანტებიც, რომელთაგანაც, რა თქმა უნდა, კრისტიან ტელიოს გამოვყოფთ.

### ტურის გმირი

**ხუან ალბინი (ესპანიოლი)**

შეცვლაზე შესულმა ალბინმა 92-ე წუთზე „სან მამესზე" 3:3 გახადა ანგარიში და „ესპანიოლისთვის" უმნიშვნელოვანესი ქულა იხსნა.

### ტურის ფრაზები

**პეპე მელი:** *„მალიორკას" თითქმის არაფერი შეუქმნია და მაინც მოგვიგო, ეს კი ძალიან მაფიქრებს"*, - „ბეტისის" თავკაცი კუნძულზე 0:1 მარცხის შემდეგ.

**მარსელო ბიელსა:** *„ძალიან დამწუხრებული ვარ, მაგრამ არა გაბრაზებული, რა გაბრაზებული, დღეს მე ბიჭების თამაშით ამაყი ვარ"*, - არგენტინელი სპეციალისტი „ესპანიოლთან" 3:3-ის შემდეგ.

**აიტორ კარანკა:** *„რა ვქნა, მართლა არ შემიმჩნევია პეპეს ხელი და ტყუილად ვალიარო?"* - ჟოზე მოურინიოს ასისტენტი საკამათო ეპიზოდზე.

**ფილიპ მონტანიე:** *„ფრის შანსი გვქონდა"*, - „კამპ ნოუზე" 1:2 მარცხის მერე დანანებით ნათქვამი.

**მარსელინო:** *„შანსი არაა, არ გადავდგები!"* - „სევილიას" თავკაცი მოხსნამდე 24 საათით ადრე.

**უნაი ემერი:** „ძალიან მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ თამაშის არ წაგება", - „ვალენსიას" თავკაცი მადრიდული ფრის შემდეგ.

### ტურის მხვერპლი

ლა ლიგის ცხრილის შუაში გაჩხერილი „სევილიას" ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, მიიღო გადაწყვეტილება და 46 წლის მარსელინო გარსია ტორალი სახლში გაუშვა. ბოლო 7 მატჩში ანდალუსიელებმა მხოლოდ 2 ქულა მოიპოვეს. ასე რომ, „რასინგიდან" ზარ-ზეიმით მოყვანილი მწვრთნელი დაითხოვეს. სხვათა შორის, მარსელინოს სტარტი იმედისმომცემი იყო - პირველი 9 ტური დაუმარცხებლად.

წუხელვე „სევილიამ" ახალი თავკაცის ვინაობა დაასახელა, ის „რეალის" ლეგენდა **მიჩელია**, რომელიც საქმეს დღეიდან შეუდგება. მიჩელმა სეზონის ბოლომდე მოაწერა კონტრაქტს ხელი, რომელიც ავტომატურად გაგრძელდება, თუკი „სევილია" ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს.

### ტურის სტატისტიკა

*(**შენიშვნა:** წუხანდელი მატჩის მონაცემები არ არის შესული)*

21 გოლი ტურში (2,33 მატჩში). 2 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 4 ფრედ დასრულდა და 3 სტუმრებმა მოიგეს. ტურში მსაჯებმა 53 ყვითელი და 4 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **არავინ**

დუბლი - **არავინ**

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ხაირო სამპერიო** (რასინგი, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 89 000 - **„კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 7 600 - **„სიუტატ დე ვალენსია"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 20 - **ბილბაო, სევილია**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 9 - **ბარსელონა**

ყველაზე მეტი ჯარიმა: 25 - **ატლეტიკო**

ყველაზე მეტი კუთხური: 13 - **ბილბაო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: 9 - **რეალი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 66% - **ბარსელონა**

**ბილბაო-ესპანიოლი 3:3**

**საუკეთესო:** ფერნანდო ლორენტე (ბილბაო)

**ლევანტე-რასინგი 1:1**

**საუკეთესო:** ვალდო (ლევანტე)

**მალიორკა-ბეტისი 1:0**

**საუკეთესო:** გონსალო კასტრო (მალიორკა)

**ხეტაფე-რეალი 0:1**

**საუკეთესო:** სერხიო რამოსი (რეალი)

**ბარსელონა-სოსიედადი 2:1**

**საუკეთესო:** კრისტიან ტელიო (ბარსელონა)

**სპორტინგი-ოსასუნა 1:1**

**საუკეთესო:** დეიან ლეკიჩი (ოსასუნა)

**სევილია-ვილიარეალი 1:2**

**საუკეთესო:** დიეგო ლოპესი (ვილიარეალი)

**სარაგოსა-ვალეკანო 1:2**

**საუკეთესო:** ხოსე მანუელ კასადო (რაიო ვალეკანო)

**ატლეტიკო-ვალენსია 0:0**

**საუკეთესო:** დიეგო ალვეში (ვალენსია)

**ბომბარდირები:** 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), გონსალო იგუაინი (რეალი); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 11 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 10 - ქარიმ ბენზემა (რეალი).

**ასისტენტები:** 13 - ანხელ დი მარია (რეალი); 11 - მესუთ იოზილი (რეალი); 9- ლიონელ მესი (ბარსელონა); 8 - დანი ალვეში (ბარსელონა); 6 - ჩავი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი).

**ზამორას ტროფეი:** 0,62 (გოლი მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,9 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,14 - ხავი ვარასი (სევილია); 1,16 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,19 - გუსტავო მუნუა (ლევანტე).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### XXI ტური

**გუშინ**

**გრანადა-მალაგა 2:1**

**გრანადა (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - ნიომი, ი. ლოპესი, ბ. გომესი, სიკეირა - იებდა, მ. რიკო - ხარა, კ. მარტინში (84. უჩე), ბენიტესი (70. ენრიკე) - იგჰალო (85. ფ. რიკო).

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - კასორლა, მარესკა (69. რესიო), ტულალანი, ბუონანოტე (61. დუდა) - სება ფერნანდესი (79. ხუანმი), რონდონი.

**გოლები:** 1:0 იგჰალო (57), 1:1 რონდონი (68), 2:1 ი. ლოპესი (81)

**გაფრთხილება:** მ. რიკო, ბ. გომესი, იებდა, ნიომი - გამესი

**გაძევება:** დემიკელისი (84)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 14-11; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 11-8 (8-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 21 | 18 | 1 | 2 | 71-19 | 55 |
| 2. ბარსელონა | 21 | 14 | 6 | 1 | 61-13 | 48 |
| 3. ვალენსია | 21 | 10 | 7 | 4 | 32-23 | 37 |
| 4. ლევანტე | 21 | 9 | 5 | 7 | 27-25 | 32 |
| 5. ესპანიოლი | 21 | 9 | 5 | 7 | 25-24 | 32 |
| 6. ბილბაო | 21 | 7 | 9 | 5 | 33-28 | 30 |
| 7. ატლეტიკო | 21 | 8 | 6 | 7 | 32-28 | 30 |
| 8. მალაგა | 21 | 8 | 4 | 9 | 25-31 | 28 |
| 9. ოსასუნა | 21 | 6 | 10 | 5 | 23-33 | 28 |
| 10. ხეტაფე | 21 | 7 | 6 | 8 | 22-27 | 27 |
| 11. სევილია | 21 | 6 | 8 | 7 | 22-24 | 26 |
| 12. ვალეკანო | 21 | 7 | 4 | 10 | 25-32 | 25 |
| 13. მალიორკა | 21 | 6 | 7 | 8 | 18-25 | 25 |
| 14. გრანადა | 21 | 7 | 4 | 10 | 16-28 | 25 |
| 15. სოსიედადი | 21 | 6 | 6 | 9 | 23-30 | 24 |
| 16. ბეტისი | 21 | 7 | 2 | 12 | 23-30 | 23 |
| 17. ვილიარეალი | 21 | 5 | 8 | 8 | 20-29 | 23 |
| 18. რასინგი | 21 | 4 | 10 | 7 | 18-26 | 22 |
| 19. სპორტინგი | 21 | 5 | 4 | 12 | 20-39 | 19 |
| 20. სარაგოსა | 21 | 2 | 6 | 13 | 16-38 | 12 |




იუბილარი, ბავშვობაში და დღეს

ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი. გამოხმაურება


ალექს ფერგიუსონმა ვილაშ ბოაშს დუელი პირწმინდად მოუგო

# დიდი სანახაობა

შეიძლება ძალიან ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ ასეა: ფეხბურთი სწორედ ისეთი თამაშების გამო გვიყვარს, 5 თებერვალს "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" შორის რომ გაიმართა. ვინც თამაშს უყურა, სხვაგვარი შთაბეჭდილება ალბათ ძალიან ცოტას თუ დარჩებოდა. "მანჩესტერმა" პრემიერლიგაში მესამედ მოახერხა 0:3 ჩამორჩენის გაბათილება. 1992 წლის 26 დეკემბერს "შეფილდ უენსდისთან" შეხვედრა 3:3 დამთავრდა, 2001 წლის 29 სექტემბერს კი "ეშმაკებმა" "ტოტენჰემთან" 5:3 იმარჯვეს.

**ანდრე ვილაშ ბოაშს** დაცვაში **ეშლი კოული** და **ჯონ ტერი** დააკლდა. ის იძულებული გახდა, მარცხენა მცველად **ჟოზე ბოსინგვა** გამოეყენებინა, კაპიტნის ნაცვლად კი ძირითადში **გარი კეჰილი** გაემწესებინა. მასპინძელთა ძირითადში არ იყვნენ ტრავმირებული **ფრენკ ლემპარდი** და **რამირესიც**. მათ ნაცვლად **მიკაელ ესიენი** და **ფლორან მალუდა** დადგნენ. აქედან გამომდინარე პორტუგალიელმა მწვრთნელმა გუნდის ტრადიციულ სქემას ცოტა გადაუხვია. სერ **ალექს ფერგიუსონმა** კი პირიქით, ზუსტად ის შემადგენლობა დააყენა, რასაც ყველა ელოდა.

პირველ წრეში ამ გუნდებმა უცნაური მატჩი ჩაატარეს. "იუნაიტედმა" მეტოქე 3:1 დაამარცხა, მიუხედავად იმისა, რომ სულ ოდნავ უკეთ თამაშობდა. კვირას კი საწინააღმდეგო მოხდა. ამჯერად "ჩელსიმ", ისე, რომ რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა არ ჰქონია, 3 გოლი გაიტანა. მიუხედავად ანგარიშში სხვაობისა, ვილაშ ბოაშის ახალი სქემა რეალურად არ მუშაობდა. "ჩელსის" განლაგება 4-2-3-1-ს უფრო ჰგავდა, ვიდრე 4-2-1-3-ს. მათ შორის სხვაობა მინიმალურია, მაგრამ მნიშვნელოვანი. ლონდონელები არ თამაშობდნენ განსაკუთრებულ პრესინგს. მალუდა და **სტარიჯი** "იუნაიტედის" განაპირა მცველებს ბურთის ამოტანისას არ აწუხებდნენ. დაცვითი ფუნქციების შესრულებისას კი სიღრმეში იწევდნენ და ესიენისა და **მეირელეშის** გასწვრივ დგებოდნენ. **ფერნანდო ტორესთან** ყველაზე ახლოს კი **ხუან მატა** თამაშობდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: **უეინ რუნი** უბურთოდ ნაკლებად მუშაობდა. როგორც წესი, ის ხშირად იხევს სიღრმეში, რათა მისმა გუნდმა ცენტრში უპირატესობა შექმნას. კვირას კი ის მეირელეშსა და ესიენს იმდენად არ აწუხებდა. სამაგიეროდ, მეტად იყო კონცენტრირებული შეტევაზე.

**ბრანისლავ ივანოვიჩს** მუდმივად ჰქონდა **ეშლი იანგთან** გამკლავების პრობლემა. "მანიუს" შუახაზელი ხან ცენტრისკენ იწეოდა, ხან მეტოქის მოტყუებას ცდილობდა, ხან კიდევ უბრალოდ სისწრაფის წყალობით სცდებოდა მას. იანგი და **ანტონიო ვალენსია** არ იყვნენ ისეთი პროდუქტიულები, როგორიც ჩვეულებრივ. ეს ყველაფერი კი **რაიან გიგზის** სუსტი თამაშის წყალობით. ვეტერანი ვერაფრით ახერხებდა პასებით თანაგუნდელთა მომარაგებას. თავის მხრივ ამის მიზეზი იყო ის, რომ "იუნაიტედს" ცენტრში ნაკლები ხალხი ჰყავდა.

მეორე გოლისას მარჯვნივ მოთამაშე მატა (ზოგადად მთელი სეზონის მარცხნივ თამაშობს) ცენტრისკენ შეიჭრა და ტორესის პასით ფანტასტიკური ბურთი გაიტანა. მესამე გოლის შემდეგ კი ფერგიუსონმა გუნდში სერიოზული ცვლილებები შეიტანა. შოტლანდიელმა იანგის ნაცვლად **ხავიერ ერნანდესი** შეუშვა, ფლანგზე კი უელბეკი გადასწია. მექსიკელმა გუნდს შეტევაში სისწრაფე შემატა, რამაც "ჩელსი" აიძულა, დაცვაში უფრო დიდი ძალები გადაესროლა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა მეორე ცვლილება, როცა **რაფაელის** ნაცვლად **პოლ სქოულზი** გამოვიდა. მარჯვენა მცველად ვალენსია დადგა, ცენტრიდან ფლანგზე კი გიგზმა გადაინაცვლა. სქოულზმა თამაში დაალაგა და "იუნაიტედის" შეტევებს სათავეში ჩაუდგა. "ჩელსი" იძულებული გახდა, დაცვაში ჩამდგარიყო, რამაც მეტოქეს მთელი ფრონტი გაუთავისუფლა. მასპინძლები ბურთს ვეღარ ანაწილებდნენ. თითქოს, არც სურდათ დიდხანს მისი შენარჩუნება. ხოლო როცა რამდენიმე პასს გადააბამდნენ, შეტევისთვის ზედმეტად მარტივ გამოსავალს ეძებდნენ. მათ ვერაფრით მოახერხეს ტემპის დაგდება. ვერც მოახერხებდნენ, რადგან შემადგენლობაში ერთადერთი ფეხბურთელი ჰყავდათ, ვინც იცის, თუ როგორ კეთდება ეს. შეცდა ვილაშ ბოაშიც, როცა **რომეუ** შეუშვა, რადგან ის ბურთს ძალიან იოლად კარგავდა და თანაც ამის გამო მატა ცენტრიდან მარცხენა ნახევარმცველად გადავიდა. ყოველივე ამის წყალობით "იუნაიტედმა" ბურთი საბოლოოდ ჩაიგდო ხელთ და ლოგიკური შედეგიც მიიღო.

### მატჩის შემდგომ

**ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *"მიმაჩნია, რომ 2 ქულა დავკარგეთ, რადგან მეორე ტაიმის პირველ 10 წუთს თუ გამოვაკლებთ, ძალიან კარგად ვთამაშობდით და მეტოქეს აშკარად ვჯობდით. ძალიან რთულია 3:0-ის შემდეგ შეხვედრას დაუბრუნდე. ფეხბურთელებმა ამისთვის ძალიან დიდი ძალები გაიღეს. ნეიტრალური მაყურებლისთვის შეხვედრა კარგი სანახავი გამოდგა. "ჩელსიმ" ამ სანახაობაში თავისი დიდ როლი ითამაშა. საერთო ჯამში ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ.*

*რუნი ძალიან ბევრს ვარჯიშობდა "ბოლტონთან" გაფუჭებული პენალტის შემდეგ. აშკარაა, ამან თავისი შედეგი გამოიღო. ჩვენ მიერ მოპოვებული ორივე თერთმეტმეტრიანი სამართლიანი იყო. თუმცა შეიძლებოდა ოთხი პენალტიც კი დაგვერტყა. ერნანდესის შემოყვანის დროს, რასაკვირველია, ვრისკავდით. ასეც უნდა მოვქცეულიყავით. სიმართლე გითხრათ, ახლა ვფიქრობ, რომ ჯობდა "ჩიჩარიტო" სასტარტოში დამეყენებინა. მან მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნა. სერიოზულ ზეწოლას ახორციელებდა "ჩელსიზე" უელბეკიც. ის ძალიან კარგი ბიჭია და რა თქმა უნდა მისგან დიდი თავდამსხმელი დადგება. რაც შეეხება დავიდ დე ხეას: მისი რეაქცია მატას საჯარიმოს დროს ფანტასტიკური იყო. ბურთი ზუსტად შორეულ, მაღალ კუთხეში მიდიოდა. დავიდმა ულაპარაკოდ დიდი წვლილი შეიტანა შედეგის მიღწევაში. მე მისით კმაყოფილი ვარ. დავიდს მთელი თავისი ბრწყინვალებით 3-4 წელიწადში ვნახავთ. დიახ, ის რამდენჯერმე შეცდა, მაგრამ ეს იმის გამო მოსდის, რომ ჯერ მხოლოდ ადაპტაციას გადის ინგლისურ ფეხბურთთან. მისთვის აქ ბევრი რამ ჯერ კიდევ უჩვეულოა".*

**ანდრე ვილაშ ბოაში** (ჩელსი): *"ვფიქრობ, გვაქვს უფლება კმაყოფილები ვიყოთ ჩვენი თამაშით. მატჩს დიდხანს ვაკონტროლებდით და დიდ უპირატესობას ვფლობდით. გვქონდა სერიოზულ ფორაც. "იუნაიტედს" შეუძლია თავი გამარჯვებულად იგრძნოს, რადგან მათ სამბურთიანი უპირატესობა გაგვიბათილეს. იმედგაცრუებულები ვართ, რომ ყველაფერი ასე მოხდა. ყველაფერი ჩვენს ხელში იყო, მაგრამ მოგება ხელიდან გავუშვით. ცოტა უცნაური იყო დღეს მსაჯობაც. პირველ წრეში "ოლდ ტრეფორდზე" არბიტრის ორი შეცდომის გამო ორი ბურთი ვერ გავიტანეთ, დღესაც რაღაც ამის მსგავსი ხდებოდა".*

### გუშინ

**ლივერპული-ტოტენჰემი 0:0**

**ლივერპული** (4-3-3): რეინა – აგერი, შკრტელი, გ. ჯონსონი, კელი – სპირინგი, ადამი, ჯერარდი – ბელამი (73. დაუნინგი), კეროლი, კუიტი (66. სუარესი)

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ფრიდელი – კინგი, დოუსონი, ასუ-ეკოტო, უოლკერი – პარკერი, ჯ. ლივერმორი – კრანჩარი (87. როუზი), მოდრიჩი ბეილი – ადებაიორი (71. საა)

**გაფრთხილება:** სუარესი, შკრტელი - პარკერი, ბეილი

**კუთხური:** 7-4, **ჯარიმა:** 7-13, **თამაშგარე:** 2:0 **კარში დარტყმა:** 10-6(5-3), **ბურთის ფლობა:** 54%-46%

მაყურებელი: 44461

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 24 | 18 | 3 | 3 | 63-19 | 57 |
| 2. იუნაიტედი | 24 | 17 | 4 | 3 | 59-24 | 55 |
| 3. ტოტენჰემი | 24 | 15 | 5 | 4 | 44-25 | 50 |
| 4. ჩელსი | 24 | 12 | 7 | 5 | 44-29 | 43 |
| 5. არსენალი | 24 | 12 | 4 | 8 | 46-34 | 40 |
| 6. ნიუკასლი | 24 | 12 | 6 | 6 | 36-31 | 42 |
| 7. ლივერპული | 24 | 10 | 9 | 5 | 28-21 | 39 |
| 8. სანდერლენდი | 24 | 9 | 6 | 9 | 33-24 | 33 |
| 9. ნორვიჩი | 24 | 8 | 8 | 8 | 34-39 | 32 |
| 10. სუონსი | 24 | 7 | 9 | 8 | 26-29 | 30 |
| 11. ევერტონი | 24 | 8 | 6 | 10 | 24-27 | 30 |
| 12. სტოკ სიტი | 24 | 8 | 6 | 10 | 23-36 | 30 |
| 13. ასტონ ვილა | 24 | 6 | 10 | 8 | 29-33 | 28 |
| 14. ფულჰემი | 24 | 6 | 9 | 9 | 29-35 | 27 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-34 | 26 |
| 16. ქუინზ პარკი | 24 | 5 | 6 | 13 | 25-41 | 21 |
| 17. ვულვზი | 24 | 5 | 6 | 13 | 27-44 | 21 |
| 18. ბოლტონი | 24 | 6 | 2 | 16 | 28-49 | 20 |
| 19. ბლექბერნი | 24 | 4 | 6 | 14 | 34-54 | 18 |
| 20. უიგანი | 24 | 3 | 7 | 14 | 21-49 | 16 |

**ბომბარდირები:** 22 – რობინ ვან პერსი (არსენალი), 16-16 – სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), დემბა ბა (ნიუკასლი), 15 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), 12-12 იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი), ედინ ჯეკო (მანჩესტერ სიტი)

დაპირისპირება

# ასოციაცია კაპელოს წინააღმდეგ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენლები 3 თებერვალს ნაკრების კაპიტან **ჯონ ტერის** დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ რასისტული სკანდალის დასრულებამდე მას კაპიტნობა ჩამოერთვა. მათ ეს ნაბიჯი იმით ახსნეს, რომ სურდათ, "ბრალდების შემდეგ საზოგადოების მხრიდან ფეხბურთელზე ზეწოლა შერბილებულიყო". ტერის შემდეგ გადაწყვეტილების შესახებ ნაკრების თავკაცსაც აცნობეს. ასოციაციის ხელმძღვანელობამ საქმე ისე მოაგვარა, რომ **ფაბიო კაპელოსთვის** აზრი არ უკითხავს, რის გამოც იტალიელმა სპეციალისტმა წყენა არ დამალა და განაცხადა, რომ ასოციაციას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მსგავსი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდა. იტალიელმა იქვე დაამატა, ჯონი ჩემთვის ისევ კაპიტნად რჩებაო. *"მე არ ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას. ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე დევიდ ბერნშტეინს (ასოციაციის პრეზიდენტი. რედ.) და ვუთხარი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ამის გაკეთება არასამართლიანი იყო. გაიმართება სასამართლოს სხდომა, რომელიც გაარკვევს, დამნაშავეა თუ არა ჯონი ამ საქმეში, მანამდე კი უკეთესი იქნებოდა, რომ ფეხბურთელს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულება გაეგრძელებინა"*, – ამბობს კაპელო.

ასოციაციაში კი პირიქით ფიქრობენ, რომ ფაბიო კაპელომ ნაკისრი ვალდებულებები თავად დაარღვია, რის გამოც პასუხისგება მოუწევს. ოფიციალური განცხადება ამ საკითხზე ჯერ არ გავრცელებულა, თუმცა ასოციაციის ყოფილი დირექტორის **დევიდ დევისის** თქმით, ინგლისური ფეხბურთის ხელმძღვანელობა კაპელოს საჯარო განცხადებით ძალიან უკმაყოფილო დარჩა. *"დიახ, ჩემთვის ასოციაციის ხელმძღვანელთა პოზიცია ცნობილია. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მათ რამდენჯერმე ველაპარაკე და ვიცი, რომ საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ. ეს ორგანიზაცია კოლექტიურად აგებს პასუხს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუკი მას საჯარო მსჯელობის თემად არ ვაქცევთ. არ ვიცი, რა სანქციები ელის კაპელოს, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ისინი იქნება,"* – განუცხადა BBC-ის დევისმა.


საფეხბურთო ასოციაცია ფაბიო კაპელოსაც ემუქრება

რეინჯერსი

# და მაინც, კრიზისი!

"რეინჯერსის" მთავარ მწვრთნელ **ალი მაკოისტს** კლუბში შექმნილი სიტუაციის გარკვევა სურს. ეს ბუნებრივიც არის, როცა ხელმძღვანელობა ალთასაა, თავად კი ბალთას. "ჩაფრების" მფლობელის **კრეიგ უაიტის** თქმით, ის, რაც ახლა გლაზგოურ გრანდში ხდება, ჯერ კიდევ არ არის კრიზისი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაკოისტი ასე არ ფიქრობს და პრესასთან საუბრისას ამას არც მალავს.

კვირას "რეინჯერსმა" "აიბროქსზე" შოტლანდიის თასის 1/8-ფინალში "დანდი იუნაიტედთან" 0:2 წააგო. არის სერიოზული შანსი, რომ გუნდმა სეზონი ტიტულების გარეშე დაასრულოს. ჯერ კიდევ უქმეებამდე, უაიტი გულწრფელად აცხადებდა, რომ უახლოესი რამდენიმე კვირა კლუბის ისტორიაში შეიძლებოდა ურთულესი აღმოჩენილიყო, თუმცა იქვე აცხადებდა, მოვლენათა განვითარების ნებისმიერი ვარიანტი წინასწარ გვაქვს გათვლილი და ყველაფრისთვის მზად ვართო. სიტუაცია კი კლუბში მას მერე დაიძაბა, რაც "რეინჯერსის" წინააღმდეგ საქმე საგადასახადო ტრიბუნალმა აღძრა. დავა რამდენიმე ათეულ მილიონ ევროს ეხება.

ფინანსური პრობლემების გამო ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა გუნდი. მაკოისტი უბრალოდ იძულებული გახდა, გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **ნიკიცა იელავიჩი** გაეყიდა. მისი შემცვლელი კი კლუბმა ვერ მოძებნა. *"კრიზისიდან გამოსავალი სიტუაციის დეტალური ანალიზის შედეგად უნდა მოვნახოთ. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება ჩვენს თავს. გაურკვევლობა, აი, რა არის ჩემი, ჩემი შტაბისა და მთლიანად გუნდის უმთავრესი პრობლემა. საქმე სერიოზულ სასამართლო პროცესს ეხება და ამიტომ დღეს შექმნილ სიტუაციას ყველაზე მეტად სწორედ სიტყვა "კრიზისი" აღწერს. არ ვიცი, რამდენად ეხება ეს ფეხბურთელებს. იმედი მაქვს რომ არა... თუმცა ყველას სახელით ვერ ვილაპარაკებ"*, – განაცხადა ალი მაკოისტმა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**


ალი მაკოისტი შექმნილ სიტუაციაში ცოტა დაბნეულია

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბულგარეთის ტურნირი

# ბულგარული სამჯერ ორ-ორი ოქრო-ვერცხლი

შაბათ-კვირას ქართველმა ბერძენ-რომაელებმა კიდევ ორი მედალი მოიპოვეს სოფიაში დამთავრებულ დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის მემორიალზე - **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) ჩემპიონი გახდა, **ქემალ ხარაბაძე** (55) - მეორეზე გავიდა. ამდენად, ჩვენი ნაკრები ბულგარეთიდან ექვსი მედლით ბრუნდება - სამივე სინჯის ორ-ორი ჯილდოთი. ტურნირის პირველ დღეს ჩემპიონი **სოსო ჯაბიძე** (96) გახდა, **მანუჩარ ცხადაია** (74) მეორეზე გავიდა, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) კი - მესამეზე.

გეგეშიძემ ბულგარულ არენაზე ოთხი შეხვედრა ჩაატარა. აქედან პირველსა და ფინალურში, შესაბამისად სომეხ **ჰრაჩ ჰოვანისიანთან** და ბულგარელ **ნიკოლაი ბაირიაკოვთან** დამატებითი დრო დასჭირდა, მეორე წრეში მასპინძელ **ნიკოლაი დობრევთან** ოქმში ტექნიკური მოგება უწერია, ნახევარფინალში კი კიდევ ერთ სომეხს, **ტიგრან სამაკიანს** 3:0; 1:0 მოუგო. ფინალში ის თავიდან 2:1 დაწინაურდა ბაირიაკოვთან, თუმცა მეორე პერიოდი სუფთად დათმო - 0:6. საბედნიეროდ, დამატებითში იჭიდავა ძლიერად და 4:0 იმარჯვა. გეგეშიძეს დიდი ხნის განმავლობაში




აწუხებდა ტრავმები, რასაც მისი აქამდელი წარუმატებლობის ძირითად მიზეზად ასახელებდნენ. იმედია, ეს პრობლემა საბოლოოდ წარსულში დარჩა და მომავალშიც წარმატებით გააგრძელებს გამოსვლას. მას საქართველოს პირველობაზე ტრავმის გამო არ უჭიდავია, ის შეჯიბრება კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონმა **რევაზ ნადარეიშვილმა** მოიგო. ამდენად, წონის ლიდერობაზე სერიოზული პრეტენზიაც განაცხადა, მაგრამ სოფიაში ფავორიტის იმიჯი ვერ გაამართლა - მოლდოველ **იური მალაის** კი მოუგო ორ პერიოდში 4:0, მაგრამ მეორე შეხვედრა სწორედ ბაირიაკოვთან დათმო. ნადარეიშვილმა მოგებით დაიწყო - პირველ პერიოდში 1:0 იმარჯვა, მაგრამ მომდევნოებში ვერაფერს გახდა და ჯერ 0:1 წააგო, დამატებითში კი 0:3 დამარცხდა. სანუგეშოშიც პირველივე შეხვედრა დათმო თურქ **საბან კარატასთან**.

ამ წონაში იასპარეზა ოლიმპიურმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა **მანუჩარ კვირკველიამაც**, რომელსაც, თავდაპირველი ინფორმაციით, ჩვეულ 74-ში უნდა ეჭიდავა. ის პირველივე წრეში დამარცხდა ირანელ **მაჯიდ ალიარიფაიზაბადისთან** ძირითად დროში.

ქემალ ხარაბაძე აქამდე 60 კილოგრამში ჭიდაობდა, მაგრამ 55-ში შექმნილი მწვავე საკადრო პრობლემების გამო მწვრთნელებმა მისი ამ წონაში ჩამონაცვლება გადაწყვიტეს. მით უფრო, ფიზიკური მასაც ხელს უწყობს - 60 კილოგრამიც არაა და ბევრის დაკლებაც არ უწევს. ამიტომ მწვრთნელებმა ექსპერიმენტს მიმართეს, რამაც გაამართლა კიდეც - ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლებს თუ ვენდობით, ის ფინალში მსაჯებმა დაჩაგრეს მასპინძელ **ალექსანდრ კოსტადინოვთან**. მასპინძლებისადმი მსაჯთა მიკერძოება არ გვიკვირს, მაგრამ არაორგანიზებულობით ცნობილმა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (FILA) კიდევ ერთხელ გაგვაოცა - ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ტურნირის შედეგებში ხარაბაძე რატომღაც... სომხეთის წარმომადგენლადაა ჩაწერილი... იმედია, ამ ლაფსუსს ჩვენი ფედერაცია მალევე გამოასწორებინებს FILA-ს.

არ ვიცი, რამდენად კმაყოფილია ხარაბაძის ჭიდაობით ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** და დატოვებს თუ არა ისევ ამ წონაში. შედეგიდან გამომდინარე, უნდა დატოვოს, თუმცა ამ შემთხვევაში საკადრო პრობლემა უკვე 60-ში იჩენს თავს. იქ საქართველოს ჩემპიონი **ირაკლი ჭოჭუაა**, რომელმაც სოფიაში კარგად კი დაიწყო გამოსვლა - ირანელ **ბენამ მორადი ბალოოტესარს** პირველ პერიოდი 2:0 მოუგო, თუმცა ეს მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა და მომდევნო ორი 0:3; 0:2 წააგო. 31 წლის ჭოჭუა შინაურ ტურნირებში ძლიერად ჭიდაობს, მაგრამ ცუდია, რომ უცხოეთშიც ისე კარგად ველარ გამოდის. თუმცა დარჩიას 60-ში არჩევანი მაინც აქვს საქართველოს ვიცე-ჩემპიონ **ფირუზ წულუკიძის** სახით. ის ქვეყნის პირველობაზე ჭოჭუასთან კი დამარცხდა, მაგრამ ფრიად თვალსასეირო ორთაბრძოლა გაუმართა, რომელშიც საბოლოოდ გამოცდილებამ იმარჯვა.

სოფიაში წარუმატებლად გამოვიდნენ და პირველივე წრიდან გამოვარდნენ ჩვენი ფალავნები მძიმე წონაშიც. **გურამ ფერსელიძეც** და **სერგო გოგისვანიძეც** შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებნენ და კარგადაც იასპარეზეს. განსაკუთრებით - ფერსელიძემ, რომელმაც ლატვიელ **მარიუს გრიგელისს** წმინდად აჯობა. გოგისვანიძემ ამ ეტაპზე მასპინძელ **მიროსლავ მეთოდიევის** წინააღმდეგობა მესამე პერიოდში დასძლია (საერთო ანგარიშია 5:1), ძირითად ბადეში კი თურქ მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **ემინ ოზთურქთან** ძირითადშივე წააგო - 0:4. ფერსელიძემ შვედ **იოჰან ეურენს** თავიდან 1:0 მოუგო, მაგრამ მომდევნოებში 0:3; 0:6 დამარცხდა. ასევე წარუმატებლად გამოვიდა **პაატა ბაკურიძეც** 66-ში.

ტურნირის პერიპეტიებიდან ორი დიდი ჩემპიონის ამბავს გამოვარჩევთ. თავდაპირველად ეგვიპტელ ოლიმპიურ ჩემპიონ **კარამ მოჰამად გაბერ იბრაგიმზეც** შევაჩერებთ ყურადღებას, რომელიც 96 კილოგრამიდან ქვედა წონაში, ეტყობა, მსოფლიოს ჩემპიონ **აბდელ ფათახის** კონკურენციას გამოდევნა (საინტერესოა, რომ ფათახმა ის ტიტული 84-ში მოიპოვა 2006 წელს ჩინურ ჩანჯოუში). გაბერ იბრაგიმმა რუმინელ **პარვან დორიანს** კი სძლია, მაგრამ საშუალო დონის ლატვიელ **ლაიმუტის ადომაიტისს** ვერაფერი მოუხერხა. სოფიაში სპორტს დაუბრუნდა სომხური წარმოშობის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიადისა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **არა აბრაჰამიანი** (84), რომელიც 1999 წლიდან შვედეთში ცხოვრობს და ის ტიტულებიც სკანდინაველებს მოუტანა. ის ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია და პეკინშიც ერთ-ერთ ფავორიტად ჩავიდა. მეოთხედფინალშიც გავიდა, იქ კი მომავალ ჩემპიონთან, იტალიელ **ანდრეა მინგუზისთან** დამარცხდა. აბრაჰამიანი ამას მსაჯებს აბრალებდა და ფრიადაც შემოსწყრა მათ, თუმცა რაღას იზამდა, შეჯიბრება მაინც გააგრძელა და ბრინჯაოც მოიპოვა. მთავარი ამბებიც ამის შემდეგ დატრიალდა - მსაჯებზე გულმოსულმა უარი თქვა ჯილდოს მიღებაზე, რისთვისაც 4-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. სასჯელის ვადა უკვე ამოიწურა და აბრაჰამიანიც შეუდგა მორიგი ოლიმპიადისთვის სამზადისს, ოღონდ ასაკ და წონამომატებულმა 36 წლის ფალავანმა ზედა წონაში - 96-ში გადაინაცვლა. ამან სოფიაში მაინც ვერ უშველა და პირველივე შეხვედრაში დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**




რეგიონი


გივი ზაუტაშვილი

# ტურნირი საჩუქარი!

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზმა შიდა ქართლის ღია პირველობას უმასპინძლა ჭაბუკ (1998-2000 წწ) ძიუდოისტთა შორის. შეჯიბრება ცნობილი სპეციალისტის **გივი ზაუტაშვილის** დაბადებიდან 74 წელს მიეძღვნა. მისი სახელობის ტურნირი ტრადიციულია და ათ წელზე მეტია ტარდება. ასპარეზობა ორგანიზებული იყო შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაციის (პრეზიდენტი **ბორის გოგიჩაიშვილი**), ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი **ანზორ თენაძე**) და იუბილარის მეგობარისა და თანამოაზრის **გურამ პაპიტაშვილის** მიერ. *„მადლიერი ვარ ორგანიზატორების, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩემი დაბადების დღესთან დაკავშირებით ასეთ ძვირფას საჩუქარს მიძღვნიან. რამდენჯერმე საერთაშორისო სტატუსითაც ჩატარდა - ამიერკავკასიის გუნდებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობა წლეულსაც კარგი გამოვიდა. კონკურენციის დონეც მოსაწონი იყო და ამიტომ გუნდურ ჩათვლაში თითქმის თანაბრად გადანაწილდა ადგილები“*, - გვითხრა გივი ზაუტაშვილმა. მანვე გადასცა გამარჯვებულებს და პრიზიორებს თასები, მედლები და სამახსოვრო საჩუქრები.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს**

27 კგ. გიორგი ლურსმანაშვილი (ქარელი)
30 კგ. არმაზ არჩუაძე (გორი)
34 კგ. ნოდარ გელაშვილი (ხაშური)
38 კგ. ზურაბ კახნიაშვილი (გორი)
42 კგ. ვაჟა მარჯანიძე (ქარელი)
46 კგ. რობიზონ ბეგლარიშვილი (გორი)
50 კგ. თორნიკე გრიგალაშვილი (ხაშური)
55 კგ. ლუკა მაისურაძე (ხაშური)
60 კგ. ოთარ გოგიძე (გორი)
+60 კგ. ნიკა სიდამონიძე (ქარელი)

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

ძიუდო. სარეიტინგო ტურნირი

# ხალხმრავლობა ახალგაზრდებში

ამ უქმეებზე ბოლნისმა ანზორ მარგველანის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლა, რომელსაც წლეულს სარეიტინგო სტატუსი მიენიჭა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ ამგვარი შეჯიბრებები მიმდინარე სეზონიდან შემოიღო, რაც შიდა რეიტინგის დანერგვას ისახავს მიზნად, როგორც ეს მოწინავე ქვეყნებშია.

მარგველანის ტურნირი აქამდეც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალგაზრდებში, რადგან ის ნაკრებში მოსახვედრად ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრება იყო, ახალმა სტატუსმა კი მისდამი ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა. ეს მონაწილეთა რაოდენობასაც დაეტყო - მემორიალში 274 მოზარდი ასპარეზობდა, რაც შთამბეჭდავი ციფრია. წონითი კატეგორიების მიხედვით რეკორდი 73-მა კილოგრამმა დაამყარა, სადაც 67 სპორტსმენი გამოდიოდა, 53 ათლეტი ჭიდაობდა 66 კილოგრამში... პირველ დღეს შეჯიბრება გვიან, 23 საათზე დამთავრდა. მეორე დღეს შედარებით ცოტა მონაწილე იყო, რაც დიდთოვლობამაც განაპირობა. ორგანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი ხალხმრავლობის მიუხედავად, მასპინძლის ტვირთს თავი შესანიშნავად გაართვეს და შეჯიბრებამ ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მსგავს ტურნირებზე ფედერაციის წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა, რაც ასევე დადებითად მოქმედებს წესრიგის დამყარებაზე. ახალგაზრდების მომდევნო სარეიტინგო შეჯიბრებას მარტში ყვარელი უმასპინძლებს, თუმცა ფედერაცია საიმისოდ უკვე გაცხრილვის სისტემას შემოიღებს (სავარაუდოდ, კვოტებს), სპორტსმენთა ასეთი მოზღვავება თავიდან რომ აიცილონ.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**55 კგ.** 1. გიორგი ნათთრალაშვილი (თბილისი), 2. მინდია ლოლიჯაშვილი, 3. გიორგი საჩალელი (ორივე - შიდა ქართლი), მირზა გუჯეჯიანი (ქვემო ქართლი).

**60 კგ.** 1. ვაჟა მარგველაშვილი (შიდა ქართლი), 2. გიორგი გუგულაშვილი, 3. გელა კელიხაშვილი (ორივე - თბილისი), ბექა შავდათუაშვილი (შიდა ქართლი).

**66 კგ.** 1. ბექა ვიბლიანი (ქვემო ქართლი), 2. ირაკლი ლომიძე, 3. ანდრო ბერუაშვილი, ტრისტან ფეიქრიშვილი (სამივე - შიდა ქართლი).

**73 კგ.** 1. ფრიდონ გიგანი (ქვემო ქართლი), 2. აპოლონ ზურაბიანი (თბილისი), 3. ალექსანდრე ნანიევი (კახეთი), ლევან გუგავა (იმერეთი).

**81 კგ.** 1. ბექა დონლვანი (მცხეთა-მთიანეთი), 2. თეიმურაზ ხაჩიძე (თბილისი), 3. ალექსანდრე ზაალიშვილი (შიდა ქართლი), ოთარ ტყეშელაშვილი (იმერეთი).

**90 კგ.** 1. ლაშა ტაველური, 2. გიორგი სეტიელი, 3. თორნიკე ოთინაშვილი (სამივე - თბილისი), რევაზ წულუკიძე (აჭარა).

**100 კგ.** 1. გიორგი ქავთარაძე, 2. გურამ თუშიშვილი (ორივე - თბილისი), 3. გიგა თაყაძე (შიდა ქართლი), შმაგი ონიანი (ქვემო ქართლი).

**+100 კგ.** 1. გიორგი ზაქარიაძე, 2. გიორგი ლაზუაშვილი, 3. როსტომ ხახალეიშვილი (სამივე - იმერეთი), ბექა ფოფხაძე (შიდა ქართლი).

შეკითხვა „ლელოს“



**შეკითხვა:** შარშან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **რევაზ ნადარეიშვილი**. მაინტერესებს, საიდანაა წარმოშობით ეს სპორტსმენი და ვინ არის მისი მწვრთნელი?

**ნიკა ქარუმიძე**
კასპი

**პასუხი:** 20 წლის რევაზ ნადარეიშვილი აბაშიდანაა. ის აგერ უკვე 6 წელიწადია ცნობილ მწვრთნელთან **ბიჭიკო შელიასთან** იმაღლებს ოსტატობას. მწვრთნელი ამჟამად 78 წლისაა და ასაკის მიუხედავად, ენერგიულად აგრძელებს შეგირდთა დაოსტატებას.

## მილოცვა

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 50 წელს ულოცავს ვეტერან მოფარიკავეს, ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის გამარჯვებულს და პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერს **ვლადიმერ აფციაურს**.



ცხენოსნობა

# მსოფლიოში ყველაზე პროგრესირებადი მხედარი ქართველია


შალვა გაჩეჩილაძე

ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა 2012 წლის იანვრის სიახლეები, სადაც აღნიშნულია, რომ გასულ თვეში მსოფლიოში ყველაზე პროგრესირებად ახალგაზრდა მხედრად აღიარებულია ქართველი ცხენოსანი, 24 წლის **შალვა გაჩეჩილაძე**, რომელმაც ამას წინათ ბაქოში მსოფლიო თასის ეტაპის („კავკასიის ლიგა“) გრან-პრი მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამ სპორტსმენმა იგივე ჯილდო 2009 წელსაც დაიმსახურა.

ზემოხსენებულ ინფორმაციაში აღნიშნულია ისიც, რომ შალვა გაჩეჩილაძემ და გერმანელმა მხედარმა **რენე ტებელმა**, რომელიც 40 წლისაა, რეიტინგი 66 ადგილით გაიუმჯობესეს.

შალვა გაჩეჩილაძის ოცნებაა მონაწილეობა მიიღოს ოლიმპიურ თამაშებში, თუ ეს ახლა არ მოესწრება, მომავალში მაინც. შევახსენებთ, რომ ცხენოსნობა სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც 50-60 წელს გადაცილებული მხედრებიც გამოდიან სარბიელზე. გეტყვით იმასაც, რომ ჯერ ქართველ ცხენოსანს, საქართველოს სახელით, ოლიმპიურ თამაშებში არ უასპარეზია.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

ინტერვიუ ანზორ მარტყოფლიშვილთან

# რაც მიუღებელია, უნდა შევცვალოთ

**ანზორ მარტყოფლიშვილი ქართული სპორტის ერთ-ერთი გამოცდილი მუშაკია. ძიუდოს ფედერაციის მიერ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გამართულ შეჯიბრებებზე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთაგან უფრო მეტად სწორედ მას ვხედავთ. შესაბამისად, ის ადგილზე არსებულ ვითარებას საკუთარი თვალით ხედავს. ამ ინტერვიუშიც ძირითადად მხოლოდ რეგიონებში პრობლემების თაობაზე ვისაუბრეთ.**

- ბატონო ანზორ, ვიდრე დავკონკრეტდებით ზოგადად გაგვაცანით რეგიონებში არსებული ძიუდოს პრობლემები...

- განსაკუთრებით მოსაწესრიგებელი იყო აღრიცხვის საკითხი, რის გამოც ნოემბერსა და დეკემბერში ფედერაციამ სპეციალური ჯგუფები მიავლინა ყველა რაიონში არსებულ ძიუდოს სკოლებსა თუ სექციებში შექმნილი მდგომარეობის გასაცნობად. დეტალურად აღვწერეთ მწვრთნელთა და მოსწავლეთა რაოდენობა, შევისწავლეთ დარბაზების მდგომარეობა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ზოგან ტატამებიც არ აქვთ და ხალიჩებ-



ზე ავარჯიშებენ მოსწავლეებს. ძალიან ბევრია არასტანდარტული დარბაზი. მოგეხსენებათ, სეზონის განმავლობაში არაერთი შეჯიბრება ტარდება სხვადასხვა ასაკში, მაგრამ ყველა მათგანი არ აკმაყოფილებს ძიუდოს ფედერაციის მოთხოვნებს.

**- რეგიონებში გამართული ტურნირებისას ხშირად ორგანიზაციული მხარე მოიკოჭლებს.**

- გეთანხმებით, რომ ორგანიზაციული მხარე ბევრ ტურნირზე დასახვეწია, რასაც მეტწილად შეჯიბრების ისეთ დარბაზში გამართვა განაპირობებს, სადაც ტრიბუნები არ არის და მაყურებელს ტატამთან უწევს დგომა და ზოგჯერ ტატამზეც გადადის, რაც დაუშვებელია. გადავწყვიტეთ, თუ დარბაზში 200-მდე მაყურებლის მოთავსების საშუალებაც არ არის, შეჯიბრება აღარ ჩატარდეს.

**- საქართველოს ჩემპიონატებზე საასპარეზოდ რეგიონებისთვის კვოტების რეგულირება როგორ ხდება?**

- კონკრეტული დრო არ არის დაწესებული. ვითარება გვკარნახობს. ამჟამად ქვეყნის ჩემპიონატებზე თითოეულ წონით კატეგორიაში ყველაზე მეტი, ოთხ-ოთხი ფალავანის გამოყვანის უფლება აქვთ თბილისს, შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, კახეთს და იმერეთს. სხვებისთვის ორი, ან ერთი მონაწილეც საკმარისია. ჩემპიონატში თითო წონაში 32 ძიუდოისტზე მეტი არ უნდა იყოს. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი რეგიონი კვოტის გაზრდას გვთხოვდა. მაგრამ ერთია სურვილი და სხვაა შესაძლებლობა. როდესაც ამ რეგიონის გუნდი მხოლოდ ცალკეულ წონებში ახერხებს მონაწილეობას და კვოტით გამოყოფილი გუნდის სრულად დასაკომპლექტებლად სხვა რეგიონიდან „თხოულობს“ ძიუდოისტებს, ჩვენთვის მიუღებელია. ეს რაიონებში ძიუდოს განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.

**- რეგიონებში პრობლემატურია კვალიფიციური მწვრთნელების საკითხიც. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ მწვრთნელად არ უნდა მუშაობდეს ადამიანი მხოლოდ იმის გამო, რომ მას ადრე ძიუდო უჭიდავია.**

- ცხადია, ეს საქმისადმი არასწორი დამოკიდებულებაა და უნდა მივხედოთ. ცოტა ხნის წინათ სემინარზე ისეთი მწვრთნელები ვნახე, რომლებმაც ძიუდოს ელემენტარული ტერმინოლოგია არ იცოდნენ. ერთ რაიონში სტუმრობისას კი, მწვრთნელს რომ ვთხოვე თავისი გუნდის შემადგენლობა დაეწერა, ძიუდოისტების წონითი კატეგორიებიც კი ვერ მიუთითა სწორად. დაწერა ის წონები, რომლებიც სპორტის ამ სახეობაში უბრალოდ არ არსებობს. რასაკვირველია, ასეთი მწვრთნელები ფალავანს ვერ გაზრდიან, მათ ან უნდა ისწავლონ, ან ჩვენ უნდა შევცვალოთ ასეთები.

**- შეჯიბრების რიგიანად გამართვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მსაჯების კომპეტენციაცაა...**

- დღესდღეობით 24 არბიტრი ჰყავს ძიუდოს ფედერაციას. აქედან 5 საერთაშორისო კატეგორიისაა, დანარჩენები ეროვნულის. მსაჯობის დონის ასამაღლებლად გამუდმებით ვმუშაობთ. არბიტრებიც მონდომებულნი არიან. საამისოდ კარგი საშუალებაა სემინარები. ამას წინათ, თბილისის მსოფლიოს თასის წინ, ევროპის ძიუდოს კავშირის მსაჯთა კოლეგიის კომისრის ვასილი სმოლინის ხელმძღვანელობით ჩატარდა მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს მწვრთნელებსა და არბიტრებში.

**- მართალია ეს უშუალოდ რეგიონებს არ შეეხება, მაგრამ საინტერესოა თქვენი მოსაზრება ძიუდოს წესებში შეტანილი ერთ-ერთი ბოლო ცვლილების შესახებ, რომელიც ასპარეზობის დროს მწვრთნელს თავისი შეგირდისთვის კარნახის უფლებას უკრძალავს.**

- ახალი წესებით კარნახი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეჩერებულია პაექრობა. ჩემი აზრით, ხშირად ეს კარნახი კი არა, უთავბოლო ყვირილი იყო. ზოგი მწვრთნელი, უბრალოდ, აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ ეყვირა და არც აკვირდებოდა რას უძახდა შეგირდს, ან იგებდა თუ არა ძიუდოისტი მის კარნახს. მთავარია, რაღაცას ხომ იძახდა. ეს იწვევს აჟიოტაჟს და აურზაურს დარბაზში. ვფიქრობ, რომ არ არის ურიგო თუ სპორტსმენი ტატამზე თავად მიიღებს გადაწყვეტილებებს შეხვედრის მსვლელობისას, ან ბოლოს და ბოლოს კარგი მწვრთნელი ხელითაც მშვენივრად მიუთითებს, რის გაკეთება ჯობია კონკრეტულ ეპიზოდში.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო

ჭადრაკი



# აგრესიული გოგონები და მშვიდობიანი ვაჟები

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობის მე-5 ტურის პარტიები გაიმართა. აგრესიულობით გოგონები გამოირჩეოდნენ - მათი ყველა პარტია შედეგიანად დამთავრდა, ვაჟებში კი 12-დან 5 შეხვედრა ზავით დასრულდა. ყაიმზე შეთანხმდნენ ლიდერები: ირაკლი ბერაძე-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ნოე თუთისანი-შალვა ნადირაშვილი, ირაკლი კელეპტრიშვილი-ნიკა ვოლკოვი, ხოლო გიორგი სიბაშვილმა შავი ფიგურებით კახაბერ ნერეთელს სძლია, ალექსანდრე ებრალიძემ გიგლა ბენიძეს მოუგო. ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით ისევ ბერაძე მეწინავეობს. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ქუმსიაშვილი და სიბაშვილი ჩამორჩებიან.

გოგონებში ორხელისუფლებიანობაა: გუშინ ანა შამათავამ შავი ფიგურებით სეხნია ანა კუჭავას სძლია, ნატო იმნაძემ კი თეთრებით ნანი უნაფქოშვილი დაამარცხა. ორივე გამარჯვებულს 4,5-4,5 ქულა აქვს. 4-4 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს მარიამ ჭოლაძე და მარიამ ვალიშვილი ინაწილებენ, რომლებმაც შავებით ლიკა კობეშავიძეს და ადა კაკუტიას აჯობეს.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: **გოგონები.** შამათავა-მ.ჭოლაძე, კობეშავიძე-იმნაძე, ვალიშვილი-მაჭარაშვილი, თ.ჭოლაძე-კუჭავა, უნაფქოშვილი-გოგიშვილი, ჯიბუტი-ჯავახიშვილი; **ვაჟები.** სიბაშვილი-ბერაძე, ქუმსიაშვილი-თუთისანი, ნადირაშვილი-ებრალიძე, ვოლკოვი-ჟორდანია, ჭკუასელი-კელეპტრიშვილი.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# აეროფლოტი დღეს იწყებს

გუშინ მოსკოვის სასტუმრო „კოსმოსში“ საზეიმოდ გაიხსნა „აეროფლოტის“ მე-11 საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომლის პროგრამაში შედის სამი ღია ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად და ბლიცტურნირი. ასპარეზობის საპრიზო ფონდია 150.000 ევრო. A ტურნირში ჯილდოებისთვის (67.000 ევრო. პირველი ადგილი-20.000, მეორე-მეხუთე ადგილები - 10.000, 7.000, 4.000 და 3.000 ევრო) ოცდარვა ქვეყნის 77 წარმომადგენელი იბრძოლებს. თურქი მუსტაფა ილმაზისა (2521) და მონღოლი ბაიარშიხან გუნდავაას (2478) გარდა, ყველა დიდოსტატია. მათ შორის არიან ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი **ბადურ ჯობავა** (რეიტინგი 2704) და **ნაზი პაიკიძე** (2411), რომელმაც ამას წინათ რუსეთის თასის ეტაპზე ქალთა შორის მეორე-მეხუთე ადგილები გაიყო.



ბადურ ჯობავა

ტურნირის რეიტინგფავორიტია მასპინძელი ევგენი ტომაშევსკი (2740). ქართველების გარდა, მას მეტოქეობას გაუწევენ ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი, 2705), კრიშნან სასიკირანი (ინდოეთი, 2700), ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი, 2714), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული პაველ ელიანოვი (უკრაინა, 2690), ვლადიმირ აკოპიანი (სომხეთი, 2685), ბუ სიანჭი (ჩინეთი, 2670), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2736), ევგენი ალექსეევი (რუსეთი, 2670), ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი, 2632), ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი, 2647) და სხვები. საგულისხმოა, რომ მამაკაცებს ქალთაგან პაიკიძესთან ერთად ჩინელი მანდილოსნები – ცზიუ ვენძიუნი (2552) და შენ იანი (2447) გაეჯიბრებიან. A ტურნირის გამარჯვებულს 2012 წლის ივლისში დორტმუნდის წრიულ ტურნირში მიიწვევენ.

B ჯგუფში (116 მოჭადრაკე, პრიზები: 1. 10.000, 2. 6000, 3. 3500, 4. 2000, 5. 1500 ევრო) ერთადერთი წარმომადგენელი გვეყოლება - ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი, 18-წლიანებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი **მერი არაბიძე** (2358), რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე დიდოსტატებთან მოუწევს პაექრობა. ესენი არიან: პრასად არუნი (ინდოეთი, 2530), ალექსეი კისლინსკი (ჩეხეთი, 2535), ტიგრან კოტანჯიანი (სომხეთი, 2533), ვიტალი კუნინი (გერმანია, 2537), ინდოეთის ქალთა ნაკრების წევრები – რუთ რადმინი (2383) და სვამინათან სოუმია (2280), მანდილოსნებში ევროპის ექსჩემპიონი ეკატერინა ატალიკი (2581), ჩინელები – ვენ იანი (2543), სიაოვენ ჟანი (2348) და სხვები.

პირველი პარტიები დღეს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# ქართველები იტალიაში

## ნინო წიკლაური გიგანტში მესამეა

ევროპის ზამთრის კურორტებზე გრძელდება საერთაშორისო ტურნირები სამთო თხილამურობაში. ბოლო სამი დღის განმავლობაში გოგონათა შორის შესანიშნავად იასპარეზა **ნინო წიკლაურმა**: გუშინ მან იტალიაში (Fondo Grande Folgaria) ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირზე გიგანტურ სლალომში მოსინჯა ძალები, სადაც პირველობისთვის 64 მონაწილე იბრძოდა. წიკლაურმა ორი დისტანციის ჯამში 2.08,13-ით მესამე ადგილი დაიკავა. პირველ-მეორე ადგილებზე მასპინძლები – მიჩელე სპერანზონი (2.05,98) და ჯულია ბადალონი (2.06,73) გავიდნენ. ბაკურიანელი **სუსანა გავა** (2.15,06) მე-18 ადგილით დაკმაყოფილდა.



ნინო წიკლაური

ნინო წიკლაური კვარცხლბეკთან ახლოს იყო 4 თებერვალსაც პასო ოქლინში, სადაც მოთხილამურეები სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჩვენებური მესამე ადგილზე გასულ მასპინძელს – მარტინა ჰოკერს (1.48,25) მხოლოდ 0,03 წამით ჩამორჩა და მე-4 ადგილს დაყაბულდა. სუსანა გავა აქ 26-ე იყო, ელენე გედევანიშვილის ძმამ - **დიმიტრი გედევანიშვილმა** (1.39,17) და **სოსო ჯაფარიძემ** (1.41,40), შესაბამისად, 21-ე და 27-ე ადგილები დაიკავეს. ჩვენი ბიჭები ფონდო Fondo Grande Folgaria-ში გუშინწინ 9 ქვეყნის 137 წარმომადგენელს ეცილებოდნენ სლალომში პირველობას. დიმიტრი გედევანიშვილმა 1.41,80-ით მეთვრამეტე ადგილი დაიკავა. მას 6 საფეხურით ჩამორჩა ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის მონაწილე **ნიკოლოზ კოზანაშვილი** (1.45,89). პირველი-მესამე ადგილები, შესაბამისად, იტალიელმა დავით და ვილამ (1.38,37), ავსტრიელმა მანუელ ანევანტერმა (1.38,88) და შვეიცარიელმა ქვირინ შნურიგერმა (1.39,35) დაიკავეს. გოგონებში სუსანა გავა (1.59,06) 28-ე იყო, ნინო **წიკლაურმა** კი პირველი დისტანცია ვერ ჩაამთავრა. კვარცხლბეკის სამივე საფეხური გოგონებშიც იტალიელებმა დაიკავეს. გუშინ ვაჟთა გიგანტურ სლალომში სოსო ჯაფარიძეს 2.01,67-ით მე-8 ადგილი ერგო, დიმიტრი გედევანიშვილს (2.02,95) – მეთოთხმეტე, ნიკოლოზ კოზანაშვილმა კი მეორე დისტანციაზე ვერ იყოჩალა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**



# ხსოვნა

## ჩვენთვის ლელოელი იყო

**ერთგული თანამდგომნი, რომლებიც გულით ხარობდნენ ქართული სპორტის წარმატებებით და ასევე გულით უყვარდათ „ლელო,“ ჩვენს გაზეთს, არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, არასდროს დაჰკლებია. უპირველესად ესენი იყვნენ თვით ამ სფეროს წარმომადგენლები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მართვის სათავეში იდგა. ნარგიზა მესხმა თითქმის 50 წელიწადი გაატარა ქართული სპორტის სამსახურში და მის ცოცხალ მემატიანედ დარჩა ბოლომდე.**

**ათეული წლები „ლელო“ იყო საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო და ამ უწყებიდან გაზეთის კურატორი სწორედ ქალბატონი ნარგიზა მესხი გახლდათ. ის იყო ჭკვიანი, გონებამოქნილი მრჩეველი, სიახლის ბიძგის მიმცემი და, როცა საჭირო იყო, თავგამოდებული ქომაგიც.**

**ლელოელები დიდად ვაფასებდით მის კეთილგანწყობას და გონიერებას, ამიტომაც ჩვენთვისაც ესოდენ მძიმე იყო 2010 წლის ბოლოს ამ ქვეყნიდან მისი განშორება.**

**დღეს ნარგიზა მესხს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. ვნანობთ, და ღრმად ვწუხვართ, რომ საიუბილეო თარიღს მოსაგონარით ვიხსენებთ.**

**ლელოელები**

## კალათბურთი

● ქართველები იტალიაში





# რეკორდ-მანუ

## ტრინჩიერი მსაჯებს: შერმადინს თქვენი ყურადღება არ სჭირდება!

კვირას ღამით იტალიის ჩემპიონატში ოთხი ქართვლის სამმა გუნდმა ითამაშა და მხოლოდ ერთმა მოიგო - „დინამო სასარიმ“ „კრემონას“ 91:76 აჯობა. მაინცდამაინც ამ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა ჩვენიანს, **ნიკა მეტრეველი** სათადარიგო იყო.

**მანუჩარ მარკოიშვილმა** მიმდინარე სეზონში იტალიის ჩემპიონატში რეკორდ-მატჩი ჩაატარა, თუმცა მისმა და **გიორგი შერმადინის** „კანტუმ“ მოულოდნელად შინ „ვენეციასთან“ დათმო - 73:78.

**ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსს“ კი მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრების კარგი შანსი ჰქონდა - მდევარ „მილანს“ უმასპინძლა, თუმცა შედარებით დიდი ბიუჯეტის მქონე მილანელებმა არაფერი დათმეს და 80:68 იმარჯვეს.

■ ■ ■

„დინამოს“ თამაშზე სალაპარაკო ბევრი არაფერია, რადგან მეტრეველს არ უთამაშია. დანარჩენ ორ შეხვედრაზე კი ვრცლად უნდა შევჩერდეთ.

ხუთშაბათს „კანტუმ“ **დევიდ ბლატის** გაწვრთნილი ისრაელის „მაქაბი“ დაამარცხა. ცხადია, ებრაელებზე უკეთესი გუნდი ვენეციელებს არ ჰყავთ, ეს მატჩის პირველ ტაიმშიც გამოჩნდა: საწყისი 12 წუთის შემდეგ კანტუელები 30:21-ს იგებდნენ. დროის ამ მოკლე მონაკვეთში მანუჩარმა 15 ქულის ჩაგდება მოასწრო, მაშინ, როცა მისი თანაგუნდელებიდან 5 ქულაზე მეტი არავის ჰქონდა.

დიდი შესვენების წინ მასპინძლები 11 ქულით გაიჭრნენ წინ - 48:37. თუმცა უკანახაზელი **კლარკის** სიზუსტის წყალობით ვენეციელებმა მესამე პერიოდში სიტუაცია გამოასწორეს და სირენამდე 7 წუთით ადრე სულაც 65:61 დაწინაურდნენ. სწორედ ამ დროს აბობოქრდა ქართული დუეტი: შერმადინმა 4 ქულა ჩააგდო, მარკოიშვილმა სამიანი, მათ შორეული ტყორცნით **მაძარინო** წაეხმარა და „კანტუმ“ ლიდერობა დაიბრუნა - 71:67. დარჩენილ სამ წუთში ქართველთა გუნდმა ორად ორი ქულა მიითვალა, მაშინ, როცა ვენეციელებმა ენერგიულად შეუტიეს და 78:73 გაიმარჯვეს.

როგორც წესი, ეტაპობრივი დალმავლობა დაღლილობას ბრალდება ხოლმე. ამას ხაზი „კანტუს“ დამრიგებელმა **ანდრეა ტრინჩიერიმაც** გაუსვა:

*- ევროლიგაზე „მაქაბისთან“ მომქანცველი მატჩის შემდეგ მხოლოდ 48 საათი დავისვენეთ, რაც ძალების სრულად ალსადგენად საკმარისი არ აღმოჩნდა. ვერაფრით მოვახერხეთ ვენეციელი კლარკის შეჩერება, რომელიც 33 ქულამდე ავიდა. შეტევაში კი მხოლოდ მანუჩარ მარკოიშვილის იმედად ვიყავით. ამასთან, წაგების კიდევ ორ მიზეზს დავასახელებ: სუსტი დაცვა პერიმეტრზე და მეორე - ჩვენს მეფარე გიორგი შერმადინს მსაჯები საკმარისზე მეტ ყურადღებას უთმობენ.*

გიორგიმ ხუთი შენიშვნის გამო მატჩის ბოლო ორი წუთი ვერ ითამაშა. მან მოედანზე 13 წუთი გაატარა, 10 ქულა (4/3 ორქულიანი, 5/4 საჯარიმო), 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა.

როგორც გითხარით, მანუჩარმა არაერთი პირადი მაჩვენებელი გააუმჯობესა: მიმდინარე ჩემპიონატში სარეკორდო 34 წუთი ითამაშა; სარეკორდო 22 ქულა ჩააგდო; მარგი ქმედების მაჩვენებელიც მაქსიმალური ჰქონდა - 30. შეგახსენებთ, რომ მანუჩარს იტალიის პირველობაზე ყველაზე მეტი, 25 ქულა ერთი წლის წინათ, 14 თებერვალს „მონტეგრანაროსთან“ მატჩში აქვს ჩაგდებული.

■ ■ ■

ვიქტორ სანიკიძე 11 მოხსნით ტურის ლიდერებშია. მას ერთით უსწრებს და პირველ ადგილზეა ბენეტონელი **მარკუს გორე.** „მილანთან“ ქართველმა ფორვარდმა მხოლოდ 3 წუთი დაისვენა, 37 წუთში 8 ქულა (8-დან 4 ორქულიანი), 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

მეოთხე პერიოდამდე თანაბარ გუნდებს რომ შეშვენით, თამაში ისე მიმდინარეობდა, 31-ე წუთისთვის ტაბლოზე ოთხი ხუთიანი ეწერა, თუმცა მეოთხე ათწუთეულის დასაწყიში „მილანი“ 12:5 გაიქცა და გამარჯვებულის ვინაობა 38-ე წუთზე გაარკვია. საბოლოოდ 80:68 სტუმართა სასარგებლოდ.

■ ■ ■

„ვირტუსს“ 19 ტურის შემდეგ 12 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა („მონტეპასკისა“ და „მილანს“ ჩამორჩება), ერთით ნაკლები გამარჯვება უწერია „კანტუს“. ასეთივე შედეგი, 11 მოგება, 8 მარცხი აქვს ნიკა მეტრეველის „დინამოს“, რომელიც კანტუელებთან და აველინოელებთან მეექვსე-მერვე ადგილებს იყოფს.

მომდევნო ტურში, 12 თებერვალს „ვირტუსი“ კრემონაში ითამაშებს, „დინამო“ - მილანში, „კანტუ“ - პესაროში. 16-დან კი იტალიის თასი დაიწყება.

■ ■ ■

აქვე ერთ სატრანსფერო სიახლეზე. „კანტუს“ დაემატა მაღალი დონის გამთამაშებელი **დორონ პერკინსი**, რომელიც გასულ სეზონში „მაქაბის“ ღირსებას იცავდა, საშუალოდ 14.2 ქულასა და 5 პასს აგროვებდა.

● სუპერლიგა. შსს-აკადემია

# ენტონი და ჯასტინი

## ქართული პიცა და ცომის ბურთი

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის გახსნით მატჩში „შსს-აკადემიამ“ ბათუმში პარასკევს ითამაშა. გუნდს ვერ დაეხმარნენ ახალწვეულები **ჯასტინ ტაბსი** და **ენტონი მუდი**, რომლებიც საქართველოში იმ ღამით ჩამოვიდნენ. შაბათს თბილ ქუდებში გამოწყობილებმა სტუ-„სამედიცინოს“ მატჩს ტრიბუნებიდან მიადევნეს თვალი. პარალელურად არც ჩვენთან საუბარი დაიზარეს.

*- საქართველო რამდენადაც შორია, იმდენად ლამაზია. ლევან მიქაბერიძე (შსს-ს საკალათბურთო გუნდის სპორტული დირექტორი) აქამდეც მეუბნებოდა, რომ საინტერესო ქვეყანაში მოვდიოდი. ასეცაა,* - დაიწყო ჯასტინ ტაბსმა.

საქართველოში რა კერძები მოგეწონა - ასეთი კითხვა ხშირად ისმის და მის დასმას არც ვაპირებდი, მაგრამ ჯასტინმა თავად გაიხსენა:

*- თამამად ვიტყვი: თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ერთი კერძი ჩემი „ფავორიტი“ საჭმელების სიას სათავეში ჩაუდგა. ესაა ქართული პიცა, ხაჭაპური. მომეწონა ცომის ბურთი ხორცით* (თავად მიხვდებით, რაზეა ლაპარაკი - ავტორი).

თანამემამულეს ენტონი მუდიმაც კვერი დაუკრა:

*- ამერიკაში, NBA-ს განვითარების ლიგაში 7 მატჩი ჩავატარე. ზოგჯერ მქონდა კარგი შედეგიც, თუმცა სათამაშო დროის სიმცირით უკმაყოფილო გახლდით და ამიტომ ჩემს აგენტს საზღვარგარეთის ვარიანტზე მუშაობა ვთხოვე. როცა შსს-ს წინადადება გამაცნო, დავინტერესდი, ბევრი არ მიფიქრია, კონტრაქტი გავაფორმე.*

მუდი მომავალზეც სერიოზულად ფიქრობს:

*- ვეცდები, საქართველოში შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო, აქ კარგი თამაში წარმატებული ევროპული კარიერის საწყისად გამოვიყენო.*

ტაბსი და მუდი პოზიციურადაც გავიცნოთ. ენტონი მუდი (1989 წელსაა დაბადებული) 182 სმ სიმაღლის გამთამაშებელია:

*- კოლეჯების ლიგაში ქულებს უხვად ვაგროვებდი, თუმცა კალათბურთი არაერთი კომპონენტისგან შედგება და რაც საერთო წარმატებისთვის იქნება საჭირო, მეც იმას გავაკეთებ.*

ჯასტინ ტაბსი (1987) შედარებით მაღალი, 190 სმ სიმაღლისაა და უფრო ათლეტურიც. სწორედ ამიტომ, იგი უნივერსალური კალათბურთელია:

*- უფრო ხშირად მსროლელის პოზიციაზე ვთამაშობ, თუმცა შემიძლია გამთამაშებლობაც და მსუბუქი ფორვარდობაც. შსს-ს მწვრთნელი სადაც მეტყვის, მეც იქ დავდგები.*

როგორც ჩანს, ტაბსი საქართველოში ჩამოსვლამდე იცნობდა მომავალ თანაგუნდელებს:

*- როცა შსს-ში გადმოსვლა გადავწყვიტე, გუნდის შემადგენლობას გადავხედე. დამხვდნენ ტრეისი სმიტი და ლარი ბლერი. ლარი ამერიკაშიც კარგად თამაშობდა და აქაც გამორჩეული უნდა იყოს. ვიმედოვნებ, ახალ თანაგუნდელებს ჩვენც მალე შევეწყობით.*





● თემიდა

# მასი: კუპატაძეს ევროპაში მაღალი რეპუტაცია აქვს

გუშინ მოგახსენეთ, რომ საქართველოში ფიბა-ევროპის ინსტრუქტორი, ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის ჩინოსანი **ვიქტორ მასი** უნდა ჩამოსულიყო. მან გუშინ სასტუმრო „სიმპათიაში“ ქართველი არბიტრების, კომისრებისა და მატჩების მომსახურე მდივნებისთვის სემინარი ჩაატარა, რომელსაც მსაჯთა კავშირის შემადგენლობა სრულად დაესწრო.

კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** ასეთი კომენტარი გააკეთა:

*- ვიქტორ მასიმ ჩვენს მსაჯებს, კომისრებსა და მდივნებს ბევრი ეპიზოდი უჩვენა და რეკომენდაციები მისცა. მართალია, 2010 წლის შემდეგ კალათბურთის წესებში ძირეული ცვლილებები არ შესულა, მაგრამ არის არაერთი პუნქტი, რომლის ინტერპრეტაციაც სხვა ხედვას მოითხოვს. სწორედ ასეთ მომენტებზე გაამახვილა ბატონმა მასიმ ყურადღება და იმედია, მისი სემინარები ჩვენებისთვის დადებითად ჩაივლის.*

თავად ვიქტორ მასიმ აღნიშნა:

*- საქართველოში პირველად ვარ, მაგრამ ვიცი, რომ თქვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად პროგრესირებს. ვიცნობ ფიბა-ს კატეგორიის არბიტრ მაკა კუპატაძეს, რომელსაც ევროპაში საკმაოდ მაღალი პრესტიჟი აქვს. ვიმედოვნებ, წლების მანძილზე დაგროვებული ჩემი გამოცდილება ქართველებს დადებითად წაადგება.*



● ლეგიონი



# ოციანი ჰეინსი

საქართველოს ნაკრების ამერიკელმა წევრმა **მარკიზ ჰეინსმა** ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში 20 ქულა მოაგროვა, თუმცა ამით თავის გუნდს ვერაფერი უშველა: „გრან კანარია“ ბასკეთში „კახა ლაბორალთან“ 67:71 დამარცხდა.

ჰეინსი სასტარტო ხუთეულში იყო, 35 წუთში 20 ქულა 6-დან 3 ორქულიანს, 8-დან 4 სამიანის და 2-დან 2 საჯარიმოს რეალიზების შედეგად მოაგროვა. ქართული პასპორტის მქონე მეორე ამერიკელ **ტორინ გრინს** მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

7 მოგებითა და 12 მარცხით „გრან კანარია“ ცხრილში მე-13 ადგილზეა. მომდევნო შეხვედრას კუნძულელები 11 თებერვალს შინ, „ალიკანტესთან“ გამართავენ.

● ქართველი საბერძნეთში

# ოთხ-ოთხი და მეოთხე ადგილი

მას შემდეგ, რაც **ვლადიმერ ბოისა** ბერძნულ „პანიონიოსში“ გადავიდა, გუნდს თამაში არ წაუგია. ამჯერად დედაქალაქელებს პაოკი ემსხვერპლათ - 69:59.

სინტერესოა, რომ 10 ქულაზე მეტი მხოლოდ ერთმა პანიონიოსელმა მოაგროვა - **ვლადიმირ იანკოვიჩმა** 12 ჩააგდო. ვოვამ 21 წუთში 4-4 ქულა-მოხსნა მოაგროვა, რასაც 2 პასი მიამატა.

„პანიონიოსი“ კვლავ მეოთხე ადგილზეა (12 მოგება, 4 წაგება). მესამეადგილოსან „კოლოსოსს“ ერთით მეტი გამარჯვება აქვს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**






ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# დიდთოვლობამ საფრანგეთის აზარალა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში გასულ უქმეებზე ერთი გამოტოვებული შეხვედრა გაიმართა. **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონმა" სტუმრად ითამაშა „ბორდოსთან" და 10:31 დამარცხდა.

ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. ლიონელები ახლა 24 ქულით მე-12 ადგილზე არიან და დივიზიონის დატოვება ემუქრებათ. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში მე-16 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს, „ტულუზს", „კლერმონს", „ტულონს", „კასტრს" და „მონპელიეს" უკავიათ. მე-17 ტურის შეხვედრები მომავალ უქმეებზე გაიმართება.

**I დივიზიონი**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 60 ქულა, 2. კლერმონი - 54. 3. ტულონი - 45, 4. კასტრი - 44, 5. მონპელიე - 40, 6. სტად ფრანსე - 39, 7. მეტრო რასინგი - 37, 8. აჟენი - 36, 9. ბორდო - 36, 10. ბრივი - 28, 11. პერპინიანი - 27, 12. ლიონი - 24, 13. ბიარიცი - 24, 14. ბაიონი - 23.

**XVII ტური**

მონპელიე-პერპინიანი, ბიარიცი-ტულუზი, ტულონი-ბორდო, ლიონი-ბრივი, აჟენი-კასტრი, ბაიონი-სტად ფრანსე, კლერმონი-მეტრო რასინგი.

დიდთოვლობის გამო მე-19 ტურის ოთხი შეხვედრა გადაიდო საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში. „ქართული გუნდებიდან" აქ მხოლოდ ორმა ითამაშა. **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა და დავით დადუნაშვილის** „პერიგომ" სტუმრად წააგო დაძაბულ ბრძოლაში „ნარბონთან" - 19:21.

მიუხედავად იმისა, რომ პერიგოელებმა პირველი ტაიმი 3:12 წააგეს, 67-ე წუთისთვის 19:18-ს იგებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენებურთა გუნდმა გამარჯვების მომტანი ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო. აღსანიშნავია, რომ „პერიგოს" შემადგენლობაში ერთადერთი ლელო მესამეხაზელმა **გაუტიერ გიბუნმა** გაიტანა, რომელიც ესპანეთის ნაკრების წევრია.

მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილმა მოედანი 11 წუთის შემდეგ დატოვა, ზიბზიბაძე თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო. „პერიგოს" ახლა 21 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა.

**ზერო პეტრიაშვილისა და დავით ლოსაბერიძის** „პომ" სტუმრად წააგო პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტთან, მეორეადგილოსან „დაქსთან" - 9:27. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ. „პო" 55 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერს, **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლს" ცხრა ქულით ჩამორჩება.



დავით დადუნაშვილი და ალექსანდრე მარგველაშვილი (N 3)

**II დივიზიონი**

**XIX ტური**

ბეზიე-ექსი 18:16, ოში-ოიონაქსი 39:17, ნარბონი-პერიგო 21:19, დაქსი-პო 27:9, გრენობლი-ალბი (გადაიდო), ორიაკი-ბურგუენი (გადაიდო), კარკასონი-ტარბი (გადაიდო), ლა როშელი-მონ დე მარსანი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გრენობლი - 64 ქულა, 2. დაქსი - 61, 3. პო - 55, 4. მონ დე მარსანი - 52, 5. ლა როშელი - 51, 6. ალბი - 47, 7. ოში - 45, 8. ბურგუენი - 43, 9. კარკასონი - 43, 10. ექსი - 42, 11. ოიონაქსი - 42, 12. ტარბი - 41, 13. ორიაკი - 34, 14. ნარბონი - 28, 15. ბეზიე - 22, 16. პერიგო - 21.

**XX ტური**

ალბი-ოში, ექსი-ორიაკი, ოიონაქსი-ბეზიე, პერიგო-გრენობლი, კარკასონი-ლა როშელი, ბურგუენი-მონ დე მარსანი, დაქსი-ნარბონი, პო-ტარბი.

ექვსი ერი

# ჩვენ ციხიდან გამოვიქეცით

ექვსი ერის გათამაშების პირველი ტურის საუკეთესო მატჩი დუბლინში გაიმართა, სადაც უშელავათო და ძალიან ლამაზ ბრძოლაში უელსის ნაკრებმა ირლანდიის ეროვნულ გუნდს გამარჯვება ხელიდან მატჩის ბოლო წუთებზე გამოსტაცა.

ირლანდიელები, რომლებმაც პირველი ტაიმი 10:5 მოიგეს, მატჩის 67-ე წუთისთვის „წითელ ურჩხულებს" ექვსი ქულის სხვაობით 21:15-ს უგებდნენ. სტუმრებმა 75-ე წუთზე ანგარიში მინიმუმამდე შემცირება შეძლეს. ლელო ლეგენდარული **შეინ ვილიამსის** შემცვლელმა, გარემარბმა **ჯორჯ ნორსმა** გაიტანა - 20:21. თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე კი ფულბეკმა **ლი ჰალპფენიმ** საჯარიმოთი სტუმრებს გაამარჯვებინა - 23:21.

*„ჩვენ ძალიან გაგვიმართლა. მიმაჩნია, რომ უელსის ნაკრებმა თავისი შესაძლებლობების 70 პროცენტი გამოამჟღავნა. მაგრამ სტუმრად, უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში, თანაც მატჩის მიწურულს კაცნაკლულებმა, გუნდის მოთამაშეებმა ურყევი ნებისყოფა გამოიჩინეს.*

*სამწუხარო იყო სინბინი, რომელიც უდისციპლინობის გამო დავიმსახურეთ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ციხიდან გავეიქეცით. ჩვენ პირველი ნახევარი ახალ ზელანდიაშიც დავთმეთ სამოას ნაკრებთან მატჩში, მაგრამ ისევე როგორც მაშინ, ახლაც დიდი მოთმინებისა და დავალების ზედმიწევნით შესრულების წყალობით, ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში სტარტზე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ.*

*აღფრთოვანებული ვარ შეინ ვილიამსის შემცვლელი ჯორჯ ნორსის თამაშით. ის მსოფლიოს დონის მორაგბეა. „სამყურებთან" თამაშმა გვიჩვენა, რომ მას დიდი პოტენციალი აქვს.*

*სამწუხაროა, მაგრამ მომდევნო შეხვედრის გამართვამ შინ შოტლანდიის ნაკრებთან, შესაძლოა მეორეხაზელის, ბრედლი დევისის გარეშე მოგვიწიოს, რადგან, სავარაუდოდ, მის საქციელს სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს.*

*ჩვენ ვნახეთ ვიდეოფირზე ის მომენტი, როცა დევისი მეტოქეს ბინძურად ეთამაშა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის არაფრით განსხვავდებოდა, იმ ინციდენტისგან, რომელიც მსოფლიოს თასზე საფრანგეთთან ნახევარფინალში მოხდა. მაშინ სემ ვერბარტონს წითელი ბარათი უჩვენეს. ამჟამად კი არბიტრი მხოლოდ ყვითელს დაჰყაბულდა, არადა დარღვევა აბსოლუტურად იდენტური იყო. ერთი სიტყვით, დროა მსაჯებმა ამა თუ იმ ეპიზოდის სხვადასხვაგვარად განსჯა დაასრულონ,"* - თქვა უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა.**

გუნდის კაპიტანი **სემ ვერბარტონი** მეორე ტაიმს სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, ვინაიდან ფეხი დაიშავა და შესაცვლელი შეიქნა. ცხადია, ბრედლი დევისის საქციელიც არ გამოჰპარვია:

*„პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთი გაჭირვებით დავდიოდი. ფეხი საშინლად მტკიოდა. ექიმები 24 საათის განმავლობაში მეტყვიან, რამდენად სერიოზულია ტრავმა. თამაშს მეორე ტაიმს სათადარიგოთა სკამიდან ვუყურე და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დიდი ხანია ასეთი დინამიკური, ლამაზი ორთაბრძოლა არ მინახავს. ძალიან ვინერვიულე. მიხარია, რომ ყველაფერი ჩვენთვის კარგად დამთავრდა.*

*იმან, რაც ბრედლი დევისმა გააკეთა, მსოფლიოს თასის ნახევარფინალი გამახსენა. ამან ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა. ხომ შეიძლებოდა, მსაჯს ჩემთვისაც ყვითელი ბარათი ეჩვენებინა?"* - იკითხა უელსის ნაკრების კაპიტანმა.



ბურთით ჯორჯ ნორისი

ზე რაგბი



ჰეინკე მეიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოთხი წელი ძალიან გვიანია

ალბათ, სწორედ ასეთი განწყობაა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ქომაგებს შორის, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად **ჰეინკე მეიერი** დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ 2007 წლის მსოფლიოს თასზე ტრიუმფის შემდეგ „ბოკეს" მთავარი მწვრთნელის **ჯეკ ვაითის** შემცვლელად სწორედ მეიერი მოიაზრებოდა. მაგრამ ზედ ყრილობის გამართვის წინ თავისი კანდიდატურა **პიტერ დე ფილიერსმა** წამოაყენა. მოგეხსენებათ, რომ ის შავკანიანია და მაშინ პოლიტიკამ სალ გონებაზე გაიმარჯვა. ნაკრების მწვრთნელად დე ფილიერსი დაინიშნა.

ენაჭარტალა და რაგბიში საკმაოდ ცუდად გათვითცნობიერებულმა დე ფილიერსმა „ბოკე" ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ფიასკომდე მიიყვანა. სამხრეთ აფრიკის ნაკრები, რომელიც მსოფლიოს თასის მფლობელი და ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო, წარმოუდგენლად დააუძლურა. 2011 წლის მსოფლიოს თასს „ბოკეს" ელვარება ნამდვილად აკლდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდის მძლავრი თამაშის გარეშე, მსოფლიოს თასის გათამაშებამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დატოვა.

ჰეინკე მეიერს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. ვაიტის მიერ აწყობილი, დალაგებული გუნდი დანგრეული, განადგურებულია. მეიერმა, რომლის სახელთანაც პრეტორიის „ბლუ ბულზის" აღზევება არის დაკავშირებული, ყველაფერი თავიდან, ნულიდან უნდა დაიწყოს.

მისთვის ყველაზე მთავრი ამოცანაა, ეროვნულ გუნდში დააბრუნოს ის მოთამაშეები, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს და უკეთესი მერმისის საძებნელად ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მიაშურეს. ის საქმეს პრაგმატულად უდგება. ჰეინკემ გადაწყვიტა ინგლისში, საფრანგეთსა და იაპონიაში მოთამაშეებს თავად ჩააკითხოს და უკან, სამხრეთ აფრიკაში დაბრუნებაზე დაიყაბულოს.

მეიერის უმთავრესი საზრუნავი ცხრა ნომრის **ფური დუ პრის,** ფულბეკი **ფრანსუა სტეინის** და შერკინების ბურჯის **ხუთრო სტენკამპის** დათანხმებაა, რათა კარიერა „ბოკეში" განაგრძონ. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მიდგომა დუ პრისთან დაკავშირებით. თუ ტრავმებმა არ შეაწუხა, მეიერი მას გუნდის კაპიტნად მოიაზრებს. თუ არა და, ამ ფუნქციას გუნდის ლიდერს, მესამეხაზელ სხალკ ბურხერს დააკისრებს.

კიდევ ერთი, ყველაზე დიდი პრობლემა მეიერისთვის ის არის, რომ გუნდის შეკრებას 9 ივნისს ინგლისის ნაკრებთან გასამართავ მატჩამდე ერთი კვირით ადრე შეძლებს. ეს თამაში დურბანში გაიმართება და მისი ხელმძღვანელობით პირველი იქნება. „პომები" ის გუნდი არ არის ვინმეს იოლად დაეჩაგვრინოს, ამიტომ მეირის მიერ მოკლე დროში რადიკალური ცვლილებების განხორციელება, თვითმკვლელობის ტოლფასია.

რას უნდა ველოდეთ ჰეინკე მეიერისგან? სავარაუდოდ, როგორი სტილით ათამაშებს ის სამხრეთ აფრიკის ნაკრებს? უნდა ვიფიქროთ, რომ მეიერი უწინარესად შეეცდება სამხრეთაფრიკული რაგბის ტრადიციულად ძლიერი მხარეები წამოსწიოს წინ. რაც საკმაოდ მარტივი თამაშის მანერას გულისხმობს, რომელიც ფიზიკური ძალით უპირატესობის მოპოვებაზეა დამყარებული.

„ბლუ ბულზს" ხშირად აკრიტიკებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს გუნდი პრიმიტიული რაგბის მიმდევარი იყო. თუმცა, სწორედ თამაშის ასეთი მანერის წყალობით შეძლეს პრეტორიელებმა ზე რაგბიში ლიდერობის მოპოვება. ცხადია, მეიერი ამ გზას არაფრით გადაუხვევს.

ჰეინკე მეიერის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა იმითაცაა საინტერესო, რომ ზე რაგბის გათამაშებაში მოასპარეზე სამხრეთაფრიკელ მორაგბეებს დამატებითი სტიმული უჩნდებათ, რათა მწვრთნელს თავი მოაწონონ და ეროვნულ გუნდში ადგილი დაიმკვიდრონ.

თუმცა აქ ერთი საგულისხმო პრობლემა იჩენს თავს. სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირს უნდა, ზე რაგბის გათამაშებაში „სამხრეთელი მეფეები" ჩართონ. საამისოდ კი საჭირო გახდება, მომავალი წლიდან თხუთმეტი გუნდის ნაცვლად ზე რაგბიში თექვსმეტმა გუნდმა ითამაშოს, რაზეც ამ ტურნირის ორგანიზატორები უარს ამბობენ. სამხრეთაფრიკელებისთვის გამოსავალი ამ შემთხვევაში ის იქნება, რომ ამჟამად მოასპარეზე ხუთი კლუბიდან ერთს შეელიონ. ეს კი ქვეყნიდან მოთამაშეების გადინებას გამოიწვევს, რაც ნაკრებს და მთლიანად ამ ქვეყნის რაგბის მხოლოდ აზარალებს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# უცხოური სპორტი

ოლიმპიზმი



# ლონდონი 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცურვა

არენა: აკვატიკ ცენტრი, ჰაიდ პარკი (ღია წყალი)
ჩატარების თარიღი: 28 ივლისი-4 აგვისტო, 9-10 აგვისტო (ღია წყალი)
მედლების კომპლექტი: 34
ათლეტების რაოდენობა: 950

### კალენდარი

**28 ივლისი (4)**

22:30-00:35 400 მ. კომპლექსური, ფინალი (კაცები)
22:30-00:35 400 მ. თავისუფალი, ფინალი (კაცები)
22:30-00:35 400 მ. კომპლექსური, ფინალი (ქალები)
22:30-00:35 4×100 მ. თავისუფალ, ფინალი (ქალები)

**29 ივლისი (4)**

22:30-00:35 100 მ. ბატერფლაი, ფინალი (ქალები)
22:30-00:35 100 მ. ბრასი, ფინალი (კაცები)
22:30-00:35 400 მ. თავისუფალი, ფინალი (ქალები)
22:30-00:35 4×100 მ. თავისუფალ, ფინალი (კაცები)

**30 ივლისი (4)**

22:30-00:15 200 მ. თავისუფალი, ფინალი (კაცები)
22:30-00:15 100 მ. გულაღმა, ფინალი (ქალები)
22:30-00:15 100 მ. გულაღმა, ფინალი (კაცები)
22:30-00:15 100 მ. ბრასი, ფინალი (ქალები)

**31 ივლისი (4)**

22:30-00:20 200 მ. თავისუფალი, ფინალი (ქალები)
22:30-00:20 200 მ. ბატერფლაი, ფინალი (კაცები)
22:30-00:20 200 მ. კომპლექსური, ფინალი (ქალები)
22:30-00:20 4×200 მ. თავისუფალ, ფინალი (კაცები)

**1 აგვისტო (4)**

22:30-00:35 200 მ. ბრასი, ფინალი (კაცები)
22:30-00:35 200 მ. ბატერფლაი, ფინალი (ქალები)
22:30-00:35 100 მ. თავისუფალი, ფინალი (კაცები)
22:30-00:35 4×200 მ. თავისუფალ, ფინალი (ქალები)

**2 აგვისტო (4)**

22:30-00:05 200 მ. ბრასი, ფინალი (ქალები)
22:30-00:05 200 მ. გულაღმა, ფინალი (კაცები)
22:30-00:05 200 მ. კომპლექსური, ფინალი (კაცები)
22:30-00:05 100 მ. თავისუფალი, ფინალი (ქალები)

**3 აგვისტო (4)**

22:30-23:50 200 მ. გულაღმა, ფინალი (ქალები)
22:30-23:50 100 მ. ბატერფლაი, ფინალი (კაცები)
22:30-23:50 800 მ. თავისუფალი, ფინალი (ქალები)
22:30-23:50 50 მ. თავისუფალი, ფინალი (კაცები)

**4 აგვისტო (4)**

22:30-00:00 1500 მ. თავისუფალი, ფინალი (კაცები)
22:30-00:00 4×100 მ. კომპლექსურ, ფინალი (კაცები)
22:30-00:00 50 მ. თავისუფალი, ფინალი (ქალები)
22:30-00:00 4×100 მ. კომპლექსურ, ფინალი (ქალები)

**ღია წყალი**

**9 აგვისტო**

15:00 10 კმ. (ქალები)

**10 აგვისტო**

15:00 10 კმ. (კაცები)

### ცურვა ციფრებში

მონაწილე: 7 634 (4 530 კაცი, 3 104 ქალი) 185 ქვეყნიდან
ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე: იიპ ც ვა (ჰონგ კონგი, 11 წლის და 298 დღის) - 2004
ყველაზე ხანდაზმული მონაწილე: უილიამ ჰენრი (ბრიტანეთი, 46 წლის და 304 დღის) - 1906
ყველაზე ტიტულოვანი: მაიკლ ფელპსი (აშშ, 16 მედალი)
ყველაზე მეტი მედალი: აშშ (489 მედალი)

### ყველაზე ტიტულოვანები

(მინიმუმ სამი ოქრო)

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიკლ ფელპსი (აშშ) | 14 | 0 | 2 | 16 |
| 2. მარკ სპიტცი (აშშ) | 9 | 1 | 1 | 11 |
| 3. ჯენი ტომპსონი (აშშ) | 8 | 3 | 1 | 12 |
| 4. მეტ ბიონდი (აშშ) | 8 | 2 | 1 | 11 |
| 5. კრისტინ ოტო (გდრ) | 6 | 0 | 0 | 6 |
| 5. ემი ვან დაიკენი (აშშ) | 6 | 0 | 0 | 6 |
| 7. გერი ჰოლი (აშშ) | 5 | 3 | 2 | 10 |
| 8. იან ტორპი (ავსტრა) | 5 | 3 | 1 | 9 |
| 9. აარონ პირსოლი (აშშ) | 5 | 2 | 0 | 7 |
| 10. ჩარლი დანიელსი (აშშ) | 5 | 1 | 2 | 8 |
| 11. კრისტინა ეგერშეგი (უნგ) | 5 | 1 | 1 | 7 |
| 11. ტომ ჯაგერი (აშშ) | 5 | 1 | 1 | 7 |
| 13. დონ შოლანდერი (აშშ) | 5 | 1 | 0 | 6 |
| 14. ალექსანდრ პოპოვი (რუს) | 4 | 5 | 0 | 9 |
| 15. დარა ტორესი (აშშ) | 4 | 4 | 4 | 12 |
| 16. დაუნ ფრეიზერი (ავსტრა) | 4 | 4 | 0 | 8 |
| 16. კორნელია ენდერი (გდრ) | 4 | 4 | 0 | 8 |
| 18. ინგე დე ბრუინი (ჰოლ) | 4 | 2 | 2 | 8 |
| 18. როლანდ მატესი (გდრ) | 4 | 2 | 2 | 8 |
| 20. ჰენრი ტეილორი (ბრიტ) | 4 | 1 | 3 | 8 |
| 21. ჩარლზ დენიელსი (აშშ) | 4 | 1 | 2 | 7 |
| 21. ჯეისონ ლეზაკი (აშშ) | 4 | 1 | 2 | 7 |
| 23. მიურეი როუზი (ავსტრა) | 4 | 1 | 1 | 6 |
| 24. ჯანეტ ევანსი (აშშ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 24. იანა კლოჩკოვა (უკრ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 24. ჯონ ნაბერი (აშშ) | 4 | 1 | 0 | 5 |
| 27. კოსუკე კიტაჯიმა (იაპ) | 4 | 0 | 2 | 6 |
| 28. იონ ოლსენი (აშშ) | 4 | 0 | 1 | 5 |
| 29. ტამაშ დარნი (უნგ) | 4 | 0 | 0 | 4 |
| 29. ვლადიმირ სალნიკოვი (სსრკ) | 4 | 0 | 0 | 4 |
| 29. ლენი კრაიზელბურგი (აშშ) | 4 | 0 | 0 | 4 |
| 32. ნატალი კაფლინი (აშშ) | 3 | 4 | 4 | 11 |
| 33. პეტრია ტომასი (ავსტრა) | 3 | 4 | 1 | 8 |
| 34. ბრენტ ჰეკეტი (ავსტრა) | 3 | 3 | 1 | 7 |
| 35. ანდრეა პოლაკი (გდრ) | 3 | 3 | 0 | 6 |
| 36. პ. ვან დერ ჰუგენბანდი (ჰოლ) | 3 | 2 | 2 | 7 |
| 37. მიხაელ გროსი (გერ) | 3 | 2 | 1 | 6 |
| 38. ჯოშ დევისი (აშშ) | 3 | 2 | 0 | 5 |
| 38. დიუკ კაჰანამოკუ (აშშ) | 3 | 2 | 0 | 5 |
| 38. პაბლო მორალესი (აშშ) | 3 | 2 | 0 | 5 |
| 41. ლიბი ტრიკეტი (ავსტრა) | 3 | 1 | 2 | 6 |
| 41. რაიან ლოხტე (აშშ) | 3 | 1 | 2 | 6 |
| 43. იან კროკერი (აშშ) | 3 | 1 | 1 | 5 |
| 43. შეინ გოულდი (ავსტრა) | 3 | 1 | 1 | 5 |
| 43. ჯონ ჰენკენი (აშშ) | 3 | 1 | 1 | 5 |
| 46. ჩარლზ ჰიკოქსი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 46. რიე მასტენბროეკი (ჰოლ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 46. კარენ მეტჩუკი (გდრ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 46. ჯეფ როუზი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 46. შერონ სტაუდერი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 4 |
| 46. კრის ფონ სალტცა (აშშ) | 3 | 1 | 0 | 3 |
| 52. ანხელ მარტინო (აშშ) | 3 | 0 | 3 | 6 |
| 53. ჰენრი ტეილორი (ბრიტ) | 3 | 0 | 2 | 5 |
| 54. მარი მიგერი (აშშ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 54. ჯიმ მონტგომერი (აშშ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 54. მიშელ სმიტი (ირლ) | 3 | 0 | 1 | 4 |
| 57. მელისა ბელოუტი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ბრუკ ბენეტი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. მაიკ ბარტონი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. რიკ კერი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ტრეისი კალკინსი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. სტივენ კლარკი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. როუდი გეინსი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ჯოდი ჰენრი (ავსტრა) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ბარბარა კრაუზე (გდრ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ჰელენ მედისონი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. დები მეიერი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. სანდრა ნილსონი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. მარტა ნორელიუსი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. რიკა რაინიში (გდრ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. სტეფანი რაისი (ავსტრა) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ულრიკ რიხტერი (გდრ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ნორმან როსი (აშშ) | 3 | 0 | 0 | 3 |
| 57. ევგენი სადოვი (რუს) | 3 | 0 | 0 | 3 |



მაიკლ ფელპსი

### ქვეყნების მონაგარი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 216 | 153 | 120 | 489 |
| 2. ავსტრალია | 56 | 57 | 60 | 173 |
| 3. გდრ | 38 | 32 | 22 | 92 |
| 4. უნგრეთი | 24 | 24 | 17 | 65 |
| 5. იაპონია | 20 | 21 | 21 | 62 |
| 6. ჰოლანდია | 18 | 17 | 18 | 53 |
| 7. ბრიტანეთი | 16 | 24 | 30 | 70 |
| 8. გერმანია | 14 | 24 | 35 | 73 |
| 9. სსრკ | 12 | 21 | 26 | 59 |
| 10. შვედეთი | 8 | 14 | 13 | 35 |
| 11. ჩინეთი | 7 | 15 | 5 | 27 |
| 12. კანადა | 7 | 13 | 20 | 40 |
| 13. გაერთ. გუნდი | 6 | 3 | 1 | 10 |
| 14. რუსეთი | 5 | 5 | 5 | 15 |
| 15. საფრანგეთი | 4 | 11 | 18 | 33 |
| 16. იტალია | 4 | 4 | 9 | 17 |
| 17. ს. აფრიკა | 4 | 2 | 6 | 12 |
| 18. უკრაინა | 4 | 2 | 1 | 7 |
| 19. გფრ | 3 | 5 | 14 | 22 |
| 20. რუმინეთი | 3 | 2 | 4 | 9 |
| 21. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 4 |
| 22. ავსტრია | 2 | 6 | 6 | 14 |
| 23. დანია | 2 | 5 | 5 | 12 |
| 24. ზიმბაბვე | 2 | 4 | 1 | 7 |
| 25. ავსტრალაზია | 2 | 3 | 3 | 8 |
| 26. ახ. ზელანდია | 2 | 1 | 3 | 6 |
| 27. ბრაზილია | 1 | 3 | 7 | 11 |
| 28. საბერძნეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 28. პოლონეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 30. ბელგია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 30. კოსტა რიკა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 32. ბულგარეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 32. არგენტინა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 34. ს. კორეა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 34. იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 36. ესპანეთი | 1 | 0 | 3 | 4 |
| 37. სურინამი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 37. მექსიკა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 39. ტუნისი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 40. სლოვაკეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 41. ფინეთი | 0 | 1 | 3 | 4 |
| 42. კუბა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 42. ნორვეგია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 44. სლოვენია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 44. სერბეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 44. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 47. ფილიპინები | 0 | 0 | 2 | 2 |
| 48. შვეიცარია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 48. ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 48. ტრინიდადი | 0 | 0 | 1 | 1 |

## ოლიმპიური ამბები



გლობუსის თეატრი

### ლონდონელები ლონდონიდან გარბიან

რა თქმა უნდა, ოლიმპიადა – უდიდესი და ნანატრი მოვლენაა, რომელსაც ბევრი ბრიტანელი მოუთმენლად ელოდება. მაგრამ ყველას არ აქვს ამგვარი განწყობა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ბრიტანული ტურისტული სააგენტოს ვებგვერდზე ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთა დაახლოებით მესამედი 2012 წლის ზაფხულის თამაშების ჩატარების პერიოდში (27 ივლისი-12 აგვისტოს) ქვეყნის დატოვებას აპირებს. ამასთან, ამ მესამედის 67-მა პროცენტმა უკვე დაჯავშნა ტურისტული ტური.

ბრიტანელები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ: დიდ ნაწილს სურს აირიდოს თავიდან ტურისტთა ბრბოსთან შეხვედრა, რომელიც ოლიმპიადაზე დასასწრებად ჩავა ბრიტანეთში; სხვები ამბობენ, რომ ყოველთვის ამ დროს მიდიან დასასვენებლად; ზოგიერთებს იმედი აქვთ, რომ ფულის ეკონომიას შეძლებენ და უფრო მშვიდად გაატარებენ დროს უცხოეთის კურორტებზე, რადგან, მათი აზრით, ოლიმპიადის დროს იქ დროებით ფასები დაეცემა.

გამოკითხვის ორგანიზატორები გაოცებულნი დარჩნენ შედეგებით, რადგან არ ელოდნენ, რომ ასე ბევრი ბრიტანელი გაექცეოდა ოლიმპიადას. და მიუხედავად იმისა, რომ თამაშების მთავარი სარბიელი ლონდონი იქნება, ხალხი ბრიტანეთის სხვა ქალაქებიდანაც აპირებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაქცევას.

### არანაირი შეღავათი ფიფას

ინგლისი უკმაყოფილო დარჩა იმის გამო, რომ არ მიანიჭეს მსოფლიოს 2018 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება. ამის გამო ბრიტანულმა მხარემ ფიფასთვის სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა. ბრიტანეთის დედაქალაქის მერმა უარი განაცხადა ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობისას ფეშენებელურ სასტუმრო Dorchester-ში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკთა უფასოდ განთავსებაზე.

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო Dorchester, რომელიც ჰაიდ-პარკთან ახლოს მდებარეობს, საყოველთაოდ არის ცნობილი. "ლუქსის" კლასის უზარმაზარი ნომრები, რომელთა ფართობი სამოთახიანი ბინის ტოლფასია, ყოველთვის ფასობდა ცნობილ ადამიანებს შორის, მათ ფიფას ჩინოვნიკებშიც. მაგრამ 2012 წელს, ფედერაციის VIP-სტუმრებს ამ სასტუმროში არ დაასახლებენ. ინგლისელი ჟურნალისტები ხუმრობენ, რომ მათ მოუწევთ დამოუკიდებლად ეძებონ საცხოვრებელი და საუზმეც თავად მოიმზადონ.

მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე ინგლისის განაცხადი ყველაზე მომგებიანი ჩანდა ეკონომიკური და ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ ფიფამ არჩევანი რუსეთის სასარგებლოდ გააკეთა. არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ინგლისელმა საფეხბურთო ფუნქციონერებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია ფიფა-ს სასწრაფო რეორგანიზაცია.

### თეატრალური მარათონი

ლონდონის ცნობილი თეატრის - "გლობუსის" მსახიობები წლევანდელ გაზაფხულზე ექვსკვირიანი მარათონის მოწყობას აპირებენ. ისინი მსოფლიოს 38 ენაზე გადათარგმნილ **უილიამ შექსპირის** 38 პიესას ითამაშებენ. მარათონი 2012 წლის ოლიმპიადის გახსნას ეძღვნება.

მარათონის სტარტი 2012 წლის 23 აპრილს - უილიამ შექსპირის დაბადების დღეს არის დაგეგმილი. მაგალითად, პიესებს უჩვენებენ ჩინეთის ერთ-ერთ დიალექტზე, ან კიდევ ურდუსა და შონას დიალექტებზე. ურდუ - პაკისტანის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა, შონა კი ზამბაბვეში გამოიყენება.

ადრე "გლობუსში" პიესები ზულუსების დიალექტზე და პორტუგალიერ ენაზეც დაუდგამთ.

### თან მარათონი, თან ექსკურსია

ოლიმპიური მარათონის განახლებული მარშრუტი ლონდონის მთავარი ღირსშესანიშნაობების - ბუკინგემის სასახლის, წმინდა პავლეს ტაძრის, პარლამენტის რეზიდენციის გასწვრივ ჩაივლის. სტარტი და ფინიში ქალაქის ცენტრშია დაგეგმილი.

*"ეს მარშრუტი სპეციალურად არის შერჩეული სპორტსმენებისა და გულშემატკივრებისთვის. ის დაგვეხმარება დედაქალაქის მთელი სილამაზის დემონსტრირებაში"*, - ამბობს ლონდონის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **სებასტიან კოე**.

### დაქორწინება მავნებელია

ბრიტანელი სასულიერო პირები არ ურჩევენ ქვეყნის მოქალაქეებს ლონდონის ოლიმპიადის დღეებში დაქორწინებას.

ისინი პრაქტიკულად ყოველდღიურად უჩიჩინებენ თავიანთ მრევლს: *"არ დაგეგმოთ შეუღლება ოლიმპიადის ჩატარების დღეებში"*. როგორც ირკვევა, ბევრ მღვდელს მიაჩნია, რომ ზაფხულის თამაშების დროს ლონდონში სრული ქაოსი იქნება, შესაბამისად, ასეთ დროს ქორწინება არარეკომენდირებულია, რადგან საყოველთაო გაუგებრობამ, შესაძლოა, შეყვარებულების ურთიერთობას ავნოს.

კიდევ უფრო შორს წავიდა წმინდა იოანეს ეკლესიის მსახური **კეროლ რიჩარდსი**. მისი რეკომენდაცია იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ურჩევს ბრიტანელებს ოჯახის გარდაცვლილი წევრის ოლიმპიადის დღეებში დაკრძალვას. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დაამთხვიონ დასაფლავების თარიღი იმ დღეს, როცა ოლიმპიადაზე გადატვირთული სპორტული გრაფიკია და ბევრი მედალი თამაშდება. ამ ქაოსმა, შესაძლოა ზიანი მიაყენოს გარდაცვლილის სულს.

### იტალიას არმანი ჩააცმევს

საყოველთაოდ ცნობილი დიზაინერი, მოდის 77 წლის კლასიკოსი **ჯორჯო არმანი** ჩააცმევს ლონდონის ოლიმპიადისთვის იტალიის ოლიმპიურ ნაკრებს.

როგორც იტალური პრესა წერს, არმანი შეიმუშავებს სპორტსმენებისთვის აბსოლუტურად ყველა ტანსაცმელსა და სპორტულ ფორმას. ეს პირველი შემხვევაა იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ისტორიაში, როცა სპორტსმენების ეკიპირებას მაღალი მოდის სახლის ემბლემა დაამშვენებს.

თუმცა, თავად ჯორჯო არმანი პირველად არ ქმნის სპორტულ ტანსაცმელს. მან შეკერა კოსტიუმები ლონდონის "ჩელსისა" და მილანის "ინტერისთვის", აგრეთვე იყო ინგლისის ნაკრების დიზაინერი.

### BBC-ის დიდი გეგმები

BBC აპირებს გახსნას დროებითი რადიოსადგური, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობის დროს 20 დღის განმავლობაში იმუშავებს. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მედიაჰოლდინგს რადიოსადგურის შექმნა 200 ათასი ფუნტი სტერლინგი დაუჯდება.

საგულისხმოა ისიც, რომ მაუწყებლობა განხორციელდება არა მხოლოდ რადიოსიხშირეზე, არამედ სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით.

BBC-ის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალგაზრდული არხი - BBC3 ტურნირის მთავარ არხად გადააქციოს. დღეს ეს არხი მხოლოდ საღამოობით მუშაობს: ამ დროს ეთერშია საღამოს ტელეშოუ, მაგრამ ზაფხულში არხი, შესაძლოა, 24-საათიან მაუწყებლობაზე გადავიდეს. დღისით BBC3 გადასცემს სპორტული ტურნირების ახალ ამბებს. ტრანსლაციები ჰოლდინგს დაახლოებით 4.5 მილიონი ფუნტი დაუჯდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ამერიკული ფეხბურთი

# ნიუიორკელთა დღესასწაული

"ნიუ იორკ ჯაიანტსმა" მოიგო 2012 წლის Super Bowl. გადამწყვეტ მატჩში ნიუიორკულმა კლუბმა "ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი" დაამარცხა, რომელიც ფავორიტად მიიჩნეოდა. "ჯაიანტსმა" მეოთხე მეოთხედის ბოლო წუთზე გამოსტაცა გამარჯვება მეტოქეს.

Super Bowl-მა მართლაც გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. მატჩი დრამატული გამოვიდა, კარგი იყო **მადონას** შოუ შესვენებაზე, ხოლო **კელი კლარკსონმა** ჰიმნი უშეცდომოდ შეასრულა, რითაც პატრიოტიზმის გაკვეთილი მისცა **კრისტინა აგილერას**.

მატჩის წინ ხშირად იხსენებდნენ 2008 წელს. მაშინ Super Bowl-ში იგივე გუნდები თამაშობდნენ და გამარჯვება "ჯაიანტსმა" მოიპოვა.

თუმცა ამჯერად, ნიუიორკული კლუბი აუტსაიდერის როლში გამოდიოდა. რეგულარულ ჩემპიონატში არცთუ ისე შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ, გულშემატკივრებისთვის ფინალში გასვლაც სასიხარულო მოვლენა იყო. გადამწყვეტ მატჩში გამარჯვებაზე "ჯაიანტში" მოკრძალებით ლაპარაკობდნენ.

სამაგიეროდ, ბევრს ამბობდნენ და წერდნენ "პეტრიოტსის" კვოტერბეკზე **ტომ ბრეიდიზე**, რომლისთვისაც ეს უკვე მეხუთე Super Bowl იყო. მაგრამ ბრეიდი ფინალის ერთ-ერთი ანტიგმირი აღმოჩნდა – შეხვედრის დებიუტში სწორედ მან მისცა არარსებულ ადრესატს პასი, ბურთი მოედნის მიღმა გადავარდა და ამით "ჯაიანტსმა" ორი ქულა მიიღო, რამაც, შესაძლოა, განსაზღვრა კიდეც ამ მატჩის ბედი.

ნიუიორკელები პირველ მეოთხედში მეტოქეზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. შესანიშნავად თამაშობდა **ილაი მენინგი**, რომელმაც მალე პირველი თაჩდაუნი მიითვალა. მან **ვიქტორ კრუზის** გაქცევა დაინახა და ზუსტად გადასცა ბურთი.

პირველი მეოთხედის სტატისტიკა უცნაური იყო. 11 წუთზე მეტი ბურთი "ჯაიანტსის" ფეხბურთელებს ჰქონდათ, რომლებმაც 19 გათამაშების შესრულება მოასწრეს. "პეტრიოტის" მფლობელობაში კი ბურთი მხოლოდ 8 წამი იყო, რომლის დროსაც ჰქონდა ადგილი ბრეიდის უკვე ნახსენებ ჯარიმას.

სამაგიეროდ, მეორე მეოთხედში ბრეიდი უკვე თავის დონეზე ათამაშდა, თან "პეტრიოტსმაც" დაალაგა დაცვაში მოქმედება. "ნიუ ინგლენდმა" ჯერ თამაშიდან გოლით გაქვითა ანგარიში, დიდი შესვენებისთვის კი "პეტრიოტსს" 98-იარდიანი გმირული დრაივი გამოუვიდა. შესვენებამდე 18 წამით ადრე, "ჯაიანტს" ჩასათვლელ მოედნამდე მხოლოდ ოთხი იარდი აშორებდა. ბრეიდიმ 10 წამი იკმარა. "პეტრიოტსი" ლიდერის რანგში გავიდა შესვენებაზე.

მეორე მეოთხედის დასაწყისი "ჯაიანტს" კარგს არაფერს უქადდა. ბრეიდის თითქის ყველა პასი ზუსტი იყო და მალე **აარონ ერნანდესმა** დაიჭირა ტომის 12-იარდიანი გადაცემა და "ნიუ ინგლენდმა" მეორე თაჩდაუნი მიითვალა – 17:9.

და მაინც, "ნიუ იორკი" გამოცოცხლდა, თამაშიდან დარტყმა გამოიყენა და სამი ქულა გაქვითა. მესამე მეოთხედის ბოლოსკენ მცირე დაზიანება მიიღო ბრეიდიმ, "ჯაიანტსი" კი ამასობაში კიდევ უფრო მიუახლოვდა მეტოქეს - **ლოურენს ტაინესი** უზადოდ ურტყამდა - 15:17.

ბოლო მეოთხედში "ჯაიანტსს" იმედი მისცა მენინგების წყვილმა – ოთხი წუთით ადრე ილაიმ ნახევარ მოედანზე ბრწყინვალე პასი მისცა **მარიო მენინგს** და 82-ე ნომერმა სასწაულებრივ დაიჭირა ბურთი.

შემდეგ გათამაშებაში ამავე წყვილმა მიუახლოვა "ნიუ იორკი" 30-იარდიან ნიშნულს. შემდეგ მენინგმა კრუზი შეამჩნია და "ჯაიანტს" თაჩდაუნამდე 20 იარდი აშორებდა. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა, 15:17 და ტაინესი ფეხს ახურებდა დასარტყმელად.

დარტყმა არ შედგა და "პეტრიოტსმა" მეტოქეს თაჩდაუნი შეატანინა. მეოთხედის დასრულებამდე 57 წამით ადრე "ჯაიანტსი" წინ გაიჭრა – 21:17.

დადგა ტომ ბრეიდის დრო და მისი ორი გადაცემა მართლაც კარგი იყო, მაგრამ "ნიუ ინგლენდი" რესივერებმა დაალალატეს. გმირული მოგება არ გამოვიდა და ბრეიდსა და მის გუნდს მომენტალურად გაუფრინდათ ხელიდან მოგება. "ჯაიანტსმა" გაიმეორა 2008 წლის გმირობა. სხვათა შორის, ორი წლის წინაც თამაში ანალოგიური სცენარით ვითარდებოდა.



მატჩის MVP - ილაი მენინგი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ნეშს გზა ხსნილი აქვს

„ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ხელს არ შეუშლის თავის ვეტერან მცველს **სტივ ნეშს**, თუ ეს უკანასკნელი სხვა გუნდში მოისურვებს კარიერის გაგრძელებას. თუმცა ამ მომენტისთვის 37 წლის გამთამაშებელს ასეთი სურვილი არ გამოუთქვამს.

*„ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული - რა სურს მას"*, - ამბობს „ფინიქსის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

■ ■ ■

„ტორონტოს" პრეზიდენტმა **ბრაიან კოლანჯელომ** განაცხადა, რომ განიხილავს მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდის **ანდრეი კირილენკოს** მიწვევის შესაძლებლობას. „რეპტორზის" წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ მოთამაშის აგენტს, თუმცა ჯერ ოფიციალური წინადადება არ გაუკეთებიათ.

NBA-ში რუს ფორვარდს მხოლოდ „იუტაში" უთამაშია - იქ გამოსვლის პერიოდში მისი საშუალო სტატისტიკა 12.4 ქულას, 5.6 მოხსნასა და 2.8 შედეგიან პასს უდრიდა.

■ ■ ■

ქალაქ სიეტლის მთავრობა რვა თვის განმავლობაში ამუშავებდა ქალაქში NBA-ის კლუბის დაბრუნების გეგმას. ჟურნალისტების აზრით, სიეტლში შეიძლება გადავიდეს „საკრამენტო", თუ „კინგზი" ვერ შეძლებს ქალაქის მთავრობასთან მოლაპარაკება ახალი არენის აშენებასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ახალი მფლობელის მოსვლის შემდეგ, 2008 წელს „სიეტლ სუპერსონიქსი" ოკლაჰომაში გადავიდა და „თანდერი" დაირქვა.

სიეტლის მერია აპირებს ახალი ულტრათანამედროვე არენის აშენებას და მოლაპარაკებებისას ამ კოზირის გამოყენებას.

**ბოსტონი–მემფისი 98:80**

24:16, 19:19, 26:26, 29:19

**ბ:** გარნეტი (24+9 მოხსნა), პირსი (21+6 მოხსნა+6 პასი), რ. ალენი (12), უილკოქსი (12+5 მოხსნა), ჯონსონი (10), რონდონ (5+5 მოხსნა+14 პასი).

**მ:** გეი (21+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაიო (15), იანგი (10), კანინგემი (10+5 მოხსნა).

**მაიამი–ტორონტო 95:89**

31:27, 22:21, 22:14, 20:27

**მ:** ჯეიმსი (30+9 მოხსნა), უეიდი (25), ბოში (12+8 მოხსნა), ჩელმერსი (11).

**ტ:** დეროზანი (25), ბეილესი (17), კლეიზა (17+5 მოხსნა).



სტივ ნეში

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ცსკა-კრილია | 1:0 |
| კონკორდია-ტომი | 3:1 |
| ოგოლონი-კიოგე | 0:1 |
| გუანგჟოუ-დინამო (კ) | 0:4 |
| ლოზანა-ვოლენი | 3:0 |
| ბანიკი-რუხი | 2:2 |
| ლეხი-რუბინი | 1:3 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| ბასანო-ზუდტიროლი | 0:0 |
| **ინგლისი** | |
| ლივერპული-ტოტენჰემი | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| გრანადა-მალაგა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| მიუნხენი-კოტბუსი | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| მარიეჰამნი-ჰაკა | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| ესქისეჰირი-ბუიუქსეჰირი | 3:1 |
| [illegible]-მანისა | 0:1 |
| ყარაბუქი-სამსუნი | 2:1 |
| **[illegible] დივიზიონი** | |
| [illegible] | 3:0 |
| **კვიპროსი** | |
| ალკი-ერმისი | 3:0 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 3:2 |
| დინამო (მ)-სიბირი | 5:3 |
| **დანია** | |
| ესბერგი-ჰერნინგი | 2:5 |
| ოდენსე-სონდერიისკი | 2:1 |
| ოლბორგი-ფრედრიკშავნი | 4:0 |
| ჰერლევი-როდოვრე | 4:5 (ბ) |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. პატაია** | |
| როდიონოვა-ბრემონი | 6:4, 6:0 |
| სემა-კირსტეა | 2:6, 2:6 |

TV პროგრამა

**7 თებერვალი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ლივერპული-ტოტენჰემი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ფრაიბურგი-ვერდერი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. სოშო-ლილი.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
**00:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**01:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. რომა-ინტერი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სოსიედადი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-სიენა.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. შოტლანდია-ინგლისი.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - სპორტის სამყაროში.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** NBA Action.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ლეიკერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.
**12:45** სპორტ-NEWS.
**13:00** კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ – მაქაბი
**15:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. შოტლანდია-ინგლისი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ ორლეანი.
**21:30** NBA Action.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. გაელ მონფილსი-ტომაშ ბერდიხი. მონპელიე. საფრანგეთი.

კრივი

# კლიჩკომ წელიწადი დაგეგმა



ვლადიმერ კლიჩკო

სუპერმძიმე წონაში WBO-ის, WBA-სა და IBF-ის ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** 2012 წელს სამი ბრძოლის ჩატარება გადაწყვიტა. 3 მარტს, უკრაინელი ფრანგი **ჟან-მარკ მორმეკის** წინააღმდეგ გავა რინგზე, ივლისში ის ამერიკელ **ტონი ტომპსონთან** ბრძოლას გეგმავს, ოქტომბერში კი უმცროს კლიჩკოს კიდევ ერთი ბრძოლა ელის. ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნება მესამე მოწინააღმდეგე.

დღეისთვის კლიჩკო მორმეკთან ბრძოლისთვის ავსტრიის ალპებში ემზადება. ტომპსონი IBF-ის ტიტულის აუცილებელი პრეტენდენტია და მასთან უკრაინელი 7 ან 14 ივლისს იბრძოლებს. 2008 წელს ამერიკელი უკვე ეჩხუბა უკრაინელს და ნოკაუტით დამარცხდა.

უკანასკნელად, კლიჩკომ ერთ სეზონში სამი ბრძოლა 2008 წელს ჩაატარა. 2009 და 2011 წლებში ის ერთხელ გავიდა რინგზე, 2010 წელს - ორჯერ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ფილადელფია 5:2**

1:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 ანისიმოვი-8 (ჟირარდი-14, სტეპანი-22), 1:1 ბ. შენი-5 (ვორაჩეკი-22, ტელბოტი-11), 2:1 გაბორიკი-26 (სტეპანი-23, ანისიმოვი-16), 2:2 სიმონდსი-17 (ჰარტნელი-21, კ. ჟირუ-40), 3:2 დელ ზოტო-7 (გაბორიკი-17, ანისიმოვი-17), 4:2 დუბინსკი-6 (ბ. ბოილი-9, პრუსტი-11), 5:2 ფედოტენკო-7 (ჰაგელინი-11, ბ. რიჩარდსი-18).

**მონრეალი–ვინიპეგი 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 პასიორეტი-19 (ი. უებერი-11, პალუშაი-1), 2:0 ემელინი-2 (პლეკანეცი-25, დარში-5), 3:0 პლეკანეცი-11 (ტ. კაბერლე-22, სუბანი-17).

**ვაშინგტონი–ბოსტონი 1:4**

0:2, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 ლუჩიჩი-19 (პევერლი-27), 0:2 მარშანი-19 (პ. ბერჟერონი-30, მაკუეიდი-6), 0:3 სეგუინი-20 (მარშანი-19, პ. ბერჟერონი-31), 1:3 მ. იოჰანსონი-11 (მ. პერო-7, ჯ. უორდი-10), 1:4 პევერლი-9 (კ. კელი-11, ხარა-22).

**ნიუ ჯერსი–პიტსბურგი 5:2**

2:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-22 (ელიაში-33, პარიზე-26), 2:0 ვოლჩენკოვი-1 (კოვალჩუკი-27, პონიკაროვსკი-12), 3:0 ზუბრუსი-15 (კოვალჩუკი-28), 3:1 ნისკანენი-3 (კ. ო'რაილი-5, კუკი-10), 4:1 პარიზე-20 (ბერნიე-2, ე. გრინი-11), 4:2 მალკინი-29 (სალივანი-16), 5:2 კლარკსონი-20 (ბროდო-4).

ველოსპორტი

# კონტადორი სასტიკად დასაჯეს: ორი წელი და ჩამორთმეული ტიტული

ესპანელმა ველომრბოლმა **ალბერტო კონტადორმა** ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო დოპინგის გამოყენებისთვის. 2010 წელს, ტურ დე ფრანსის მსვლელობისას ესპანელის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - კლენბუტეროლი აღმოაჩინეს. ალბერტომ არაერთხელ განაცხადა, რომ არასოდეს გამოუყენებია დოპინგი.

2011 წლის იანვარში ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციამ კონტადორი ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, მაგრამ თებერვალში გააუქმა თავისი სასჯელი, რადგან სპორტსმენმა დაასაბუთა, რომ კლენბუტეროლი მის ორგანიზმში უხარისხო ხორცის მიღებით მოხვდა.


ალბერტო კონტადორი

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრეს ესპანეთის ფედერაციის გადაწყვეტილება. 2012 წლის 6 თებერვალს სასამართლომ კონტადორს ორწლიანი სასჯელი გამოუტანა.

დისკვალიფიკაცია ძალაში იმ დღიდანაა, როცა ესპანელი დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. მას საერთაშორისო ტურნირებზე 2012 წლის 6 აგვისტოდან შეეძლება გამოსვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ კონტადორი გამოტოვებს წლევანდელ ტურ დე ფრანსსა და ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს.

კონტადორს ტურ დე ფრანსზე 2007, 2009 და 2010 წლებში გაუმარჯვია. ახლა მას ჩამოართმევენ 2010 წელს მოპოვებულ ტიტულს. გამარჯვებულად გამოცხადდება ლუქსემბურგელი **ენდი შლეკი**, რუსი **დენის მენშოვი** მესამედან მეორე ადგილზე გადავა, ბრიტანელი **ბრედლი უიგინსი** - მეოთხედან მესამეზე.

ფორმულა 1. პრეზენტაციები

# დღეს ტესტები იწყება


ლოტუსი


ტორო როსო

ფორმულა 1-ის მორიგი გუნდი, რომელმაც 2012 წლის სეზონისთვის ახალი ბოლიდი წარადგინა, ფრანგული "ლოტუსი" იყო. საჯინიბოს ხელმძღვანელობამ პრეზენტაციისთვის საკუთარი ინტერნეტ-გვერდი გამოიყენა.

ენსტოუნის ბაზაზე შექმნილი ახალი ბოლიდი შავ და ოქროსფერ ფერებშია გადაწყვეტილი. "ლოტუსის" ინჟინრები არ ჩამორჩნენ "ტექნიკურ მოდას" და ამ შემთხვევაშიც მანქანის ცხვირზე ვხედავთ საფეხურს, რომელიც დამახასიათებელია 2012 წლის ბოლიდებისთვის.

"ლოტუსში" სხვა ბევრი სიახლეცაა. მთავარი ცვლილება პილოტების შემადგენლობას შეეხო, რომელიც ახალი სეზონის წინ მთლიანად შეიცვალა – **ბრუნო სენა** და **ვიტალი პეტროვი** მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** და ფრანგმა **რომენ გროსჟანმა** შეცვალეს.

საჯინიბოს ხელმძღვანელობა ამ დუეტზე დიდ იმედებს ამყარებს. პრეზენტაციაზე გუნდის შეფმა **ჟერარ ლოპესმა** განაცხადა, რომ "ლოტუსს" მრავალწლიანი პროგრამა აქვს შემუშავებული და გუნდი 2015 წლისთვის გეგმავს ტიტულისთვის სერიოზულ ბრძოლას.

■ ■ ■

გუშინ კი კიდევ სამი მანქანის პრეზენტაცია გაიმართა. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად აინტერესებდათ მსოფლიოს ჩემპიონის „რედ ბულის“ ახალი ბოლიდი. შარშანდელთან განსხვავებით, პრეზენტაცია ვირტუალური იყო - ფოტოები და ინტერვიუები გუნდის ვებგვერდზე დაიდო. თუმცა უკვე დღეს „რედ ბულს“ ხერესის ტრასაზე გაიყვანს **მარკ უებერი** და „ცოცხლად“ ბოლიდს იქ იხილავენ.

*„ჩვენ მარტივი მიზანი გვაქვს - უნდა დავიცვათ ორივე ტიტული. ერთხელ უკვე გავაკეთეთ ეს და 2011 წელს ძალიან მაღლა ავწიეთ თამასა, მაგრამ ყველა მიმართულებით მომატებასა და უფრო დიდი წარმატების მიღწევას ვაპირებთ.*

*ჩვენ არ შეგვიძლია მეტოქეთა მოქმედების კონტროლირება, რომელთა შორის სერიოზული კონკურენტები არიან. ახლა გუნდი მთლიანად საკუთარ სამუშაოზეა კონცენტრირებული, ძალთა თანაფარდობაზე კი ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ ვილაპარაკოთ“*, - განაცხადა „რედ ბულის“ შეფმა **კრისტიან ჰორნერმა.**

■ ■ ■

ზამთრის ტესტების დაწყებამდე ერთი დღით ადრე „ზაუბერმაც“ წარმოადგინა ახალი ბოლიდი. C31-ს შალითა გუნდის საპრიზო პილოტებმა **კამუი კობაიაშიმ** და **სერხიო პერესმა** გადააძვრეს.

გუნდის ფერები შეიცვალა, ასევე ახალია „ცხვირი“ (ეს უკვე ალარავის უკვირს) და უკანა ნაწილი. ბევრი კვანძი და დეტალი აეროდინამიკური ეფექტურობის გაზრდისთვის არის ოპტიმიზებული, მაგრამ საერთო ჯამში, C31 შარშანდელი C30-ის ევოლუციური გაგრძელებაა.

დღეს ახალი მანქანით ტესტებს **კამუი კობაიაში** დაიწყებს.

■ ■ ■

გუშინ, ბოლო რიგში „ტორო როსო“ იდგა. მან ხერესის ავტოდრომზე საკუთარი ბოქსების გვერდით მოაწყო პრეზენტაცია, რომელსაც გუნდის ახალი პილოტები - **დანიელ რიკარდო** და **ჟან-ერიკ ვერნი** ესწრებოდნენ. „ტორო როსოს“ ახალი ბოლიდის ინდექსია - STR7.

ბოლიდის „ცხვირი“ ორიგინალურად არის გადაწყვეტილი - მას არ აქვს „საფეხური“, როგორც „რედ ბულს“ ან სხვა ბევრ ბოლიდს, არამედ თითქმის ბრტყელი პროფილი გააჩნია.

STR7 - მესამე მანქანაა, რომელიც მთლიანად „ტორო როსოშია“ დამზადებული. გუნდმა სერიოზული თანხების ინვესტირება მოახდინა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და საჯინიბოში იმედოვნებენ, რომ ახალ სეზონში ეს ყველაფერი შედეგებს დაეტყობა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ზაუბერი


რედ ბული

## „ლელო“ მკითხველის ვერსიით
### საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და ათეული

**წლეულს** პირველად „ლელო“ ატარებს მკითხველთა გამოკითხვას **2011** წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

**მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.**

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე:* ***2 19 60 53,*** *ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე).*

**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს“ სპეციალური პრიზი გადაეცემა.*